პრეზიდენტი

განიხილეს საქართველოსა და ნატოს ურთიერთობის პერსპექტივა

26 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ორგანიზაცია „გარდამავალი დემოკრატიების პროექტის" ხელმძღვანელს, ამერიკის შეერთებული შტატების ნატოს კომიტეტის პრეზიდენტს ბრიუს ჯექსონს.

შეხვედრაზე იმსჯელეს საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთობაზე, ნატოს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში თანამშრომლობის განვითარებაზე, „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მიმდინარეობის საკითხებზე. მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს საქართველოს ნატოში გაწევრების პერსპექტივას. აღინიშნა ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სერიოზულად არის დაინტერესებული სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში, მათ შორის, სამხრეთ კავკასიის რეგიონში უშიშროების უზრუნველყოფით. სტუმარმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს მოსახლეობის პოზიციას საქართველოს ნატოში გაწევრების მხარდაჭერის თვალსაზრისით.

შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს, აგრეთვე, „დიდი აბრეშუმის გზის" განვითარების პერსპექტივაზე, გლობალური ეკონომიკური და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაზე, საქართველოს გეოსტრატეგიულ მდებარეობაზე და ამ მხრივ არსებული რესურსების სრულად ამოქმედებაზე.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

პარლამენტის თავმჯდომარე

ვითარება უახლოეს დღეებში გამოსწორდება

დედაქალაქისა და ქვეყნის მთელი ენერგეტიკული სამსახურების წარმომადგენლები შეიკრიბნენ 26 თებერვალს პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან. გამართულ შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ, აგრეთვე, დაბა წყნეთში მცხოვრები დევნილები, რომლებიც უკიდურესმა გაჭირვებამ აიძულა ამ დღეებში გადაეკეტათ თბილისისაკენ მომავალი ტრასა. როგორც გაირკვა, ერთობ რთული ვითარება შეიქმნა წყნეთის მოსახლეობის, მათ შორის იქ განთავსებული დევნილების ელექტროენერგიით მომარაგების საქმეში.

შეხვედრა საკმაოდ ემოციური იყო, მაგრამ საბოლოოდ კონსტრუქციულად წარიმართა. დევნილები კატეგორიულად აცხადებენ, რომ მათი სატკივარი სოციალურ პრობლემებს უკავშირდება და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი განხილვა პოლიტიკურ ჭრილში. „პატივისცემის ღირსნი არიან ის ადამიანები, რომლებიც უმძიმესი გაჭირვების მიუხედავად, ინარჩუნებენ კორექტულობას და შემხვედრი ნაბიჯებისათვის მზად არიან", — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ ჟურნალისტებთან საუბრისას. იგი იმედს გამოთქვამს, რომ შეხვედრას აუცილებლად მოჰყვება პოზიტიური შედეგები, წყნეთელები ელექტროენერგიას რაღაც გრაფიკით მაინც მიიღებენ და ეს გრაფიკი საკმაოდ მკაცრად იქნება დაცული.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ პრობლემის გადაჭრის გზებს ეტაპობრივად დასახავენ. პირველი ნაბიჯი კი იქნება ის, რომ 27 თებერვალს წყნეთში ავლენ და შექმნილ მდგომარეობას ადგილზე გაეცნობიან „ეი-ი-ეს-თელასის" გენერალური დირექტორი იგნასიო ირიბარენი, პარლამენტის ენერგეტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე რევაზ არველაძე, სხვა პასუხისმგებელი პირები.

საქინფორმი.

კანონმდებლები

მოისმინეს სახალხო დამცველის ანგარიში

ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 26 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში მოისმინეს. სახალხო დამცველის ნანა დევდარიანის გამოსვლა 2002 წლის პირველ ნახევარში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლების დაცვის მდგომარეობას ეხებოდა.

სახალხო დამცველის მოხსენებაში ლაპარაკია რელიგიური ექსტრემიზმის ფაქტებზე, პენიტენციურ სისტემაში არსებულ საგანგაშო ვითარებასა და სამხედრო ნაწილებში მომხდარ დარღვევებზე. ნანა დევდარიანმა ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ აუცილებელია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანა, ვინაიდან განსაკუთრებით ირღვევა ადამიანთა უფლებები წინასწარი დაკავების საკნებში. მისი შეფასებით, ასევე ხშირად ირღვევა უნარშეზღუდულ ადამიანთა უფლებებიც.

სახალხო დამცველის მოხსენებაში უარყოფითადაა შეფასებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს.

სახალხო დამცველის ანგარიშთან დაკავშირებით პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კამათი გაიმართა.

საქინფორმი.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ..."

„საქართველოს რესპუბლიკა" ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

შპს „საქართველოს რკინიგზა"
The Georgian Railway Ltd

საქართველოს რესპუბლიკა

სნკს
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №54 (4433) ხუთშაბათი, 27 თებერვალი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

კორუფციის წინააღმდეგ

ეს უკვე ეკონომიკურ დივერსიას უტოლდება

ბიუჯეტის სრულფასოვან ჩამოყალიბებას, მნიშვნელოვნად აფერხებს სამოხელეო აპარატში არსებული კორუფცია, რაც ქვეყნის მიზანდასახულ დასუსტებად, მისი სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ უმძიმეს დანაშაულად უნდა შეფასდეს. სხვაგვარ ინტერპრეტაციას ვერ მივცემთ იმ ფაქტებს, რომლებსაც ახლა გაგაცნობთ.

სახაზინო საანგარიშსწორებო ცენტრის დირექტორმა კახა ლომაძემ (გურიის სამხარეო პოლიციის თანადგომით იგი ახლახან დააკავეს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა) და ამავე ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა ზაზა გეგეშიძემ, 2001-2002 წლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურიდან კერძო პირების ანგარიშებზე, რამდენიმე კომერციულ ბანკში გადარიცხეს და, შესაბამისად, მიითვისეს 160.000 ლარი.

იხ. მე-2 გვ.

სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების სრული იგნორირებით, თ. ჯღამაძეს სასამართლო პროცესებში ფორმალური მონაწილეობისათვის, 2000-2001 წლებში, სხვადასხვა ფორმით, „საქენერგო-2000"-ის ხელმძღვანელებმა გადაუხადეს დიდძალი თანხა. ამასთან, თ. ჯღამაძეს მიღებული შემოსავლიდან ბიუჯეტთან არანაირი ანგარიშსწორება არ უწარმოებია. მან სახელმწიფო 6 მილიონი ლარით აზარალა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

გულის ბუხარი

უზნეობის მარათონი

მწერალსა და პუბლიცისტს, ეროვნული მოძრაობის ძველ წარმომადგენელს ციალა არდაშელიას კარგად იცნობს მკითხველი საზოგადოება. „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზეც ხშირად დაბეჭდილა მისი წერილები ჩვენი ყოველდღიურობის საჭირბოროტო საკითხებზე.

ქვეყნად ამჟამად არსებული მდგომარეობისადმი მიძღვნილი მასალების სერიალში „უზნეობის მარათონი", რომლის პუბლიკაციასაც დღეს ვიწყებთ, ქალბატონი ციალა გულისტკივილით საუბრობს ყოველი ჩვენგანისთვის მტკივნეულ პრობლემებზე, რომლებიც აძნელებენ ქვეყნის წინსვლას, საზოგადოებრივ განვითარებას, ძაბავენ ადამიანურ ურთიერთობებს, აუარესებენ მორალურ-ზნეობრივ კლიმატს, ხელს უწყობენ ცილისწამების, შუღლის, დაპირისპირების ატმოსფეროს შექმნას... ეს ის საკითხებია, რომელთა გადაწყვეტისთვის ყველამ ერთობლივად და უთუოდ უნდა ვიზრუნოთ.

სამწუხაროდ, აღმოჩენად არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ ამჟამად საქართველოში უზნეობის არნახული, არგაგონილი მარათონია გამართული. მავანნი და მავანნი თითქოს გამალებით ეჯიბრებიან ერთმანეთს, ვინ იპირველებს ზნედაცემულობაში. განსაკუთრებული პრიორიტეტით სარგებლობს **ცილისწამება.**

როგორც ჩანს, ჩვენს ზოგზოგ, ე. წ. პოლიტიკოსს ეს საქმიანობა უფრო ემარჯვება, ამაში უფროა გაწაფული, ისევე, როგორც გამორჩეული ბრძანდებიან ურთიერთ ლანძღვა-გინებაში, მუშტი-კრივში, მომხვეჭელობაში, სიხარბეში, ამპარტავნობაში, ადამიანთათვის თვალში ნაცრის შეყრაში... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ? ბევრ მათგანს, საასპარეზოდ პარლამენტი აურჩევია, ალბათ, თავისი ავყიობის და სხვა ამგვარი „ნიჭიერების" უკეთ წარმოსაჩენად, და იჩენენ კიდეც თავს ქვეყნის სამარცხვინოდ და სავალალოდ!

იხ. მე-2 გვ.

დღის განწყობილება

ჯემალ კასრაძის ფოტო.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 24 თებერვალი ქ. თბილისი

ჯანსუღ ეშუგბაიასა და ჯემალ საჯაიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს დევნილი მოსახლეობის ევაკუაციასა და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სამეურნეო ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს პარლამენტის წევრები, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე **ჯანსუღ ეშუგბაია** და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი **ჯემალ საჯაია** დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 24 თებერვალი ქ. თბილისი

ჯემალ ბერიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მუშაობის ფორმების სრულყოფასა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ქალაქ ბათუმის საკრებულოს სამსახურის უფროსი **ჯემალ ბერიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

თვალსაზრისი

ამდენი დეპუტატი ქვეყანას კისერზე აზის

ამ წერილის დასაწერად კალამი მხოლოდ ქვეყნის მომავალზე ფიქრმა აგვაღებინა. 2003 წლის შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს ახალი პარლამენტის არჩევნები. როგორ წარიმართება ეს პროცესი, როგორი იქნება ახალი პარლამენტის შემადგენლობა, ამაზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის ბედი. ახალი პარლამენტის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ახლოვდება პრეზიდენტის არჩევნები. ამ უაღრესად საპასუხისმგებლო საქმის წარმატებაც ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი იქნება პარლამენტის შემადგენლობა. მცირე შეცდომაც კი შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს ქვეყნისთვის. ამიტომ პარლამენტის მოახლოებულ არჩევნებს მოსახლეობა კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს.

იხ. მე-3 გვ.

გიხაროდეთ!

გრძელიძეების ოჯახში ვაჟიანობაა

ნოდარმა და თეონამ ამ ერთი წლის წინათ შექმნეს ოჯახი. ეკლესიაში ჯვარიც დაიწერეს და კარგი ქართული ტრადიციის მიმდევარი ოჯახი შექმნეს.

დიდი მოლოდინიც არ დასჭირდათ; თეონას თბილისის მე-4 სამშობიარო სახლში ბიჭი შეეძინა. ვაჟიანობა ოჯახმა ღირსეულად აღნიშნა. ტრადიციაც არ დაირღვა და ამ დღეს გრძელიძეებთან ნათესავები და მეზობლები შეიკრიბნენ. ბიჭი დალოცეს, ოჯახს კვლავ გამრავლება უსურვეს.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

აქცენტი

ისევ პოპულისტობა თუ ხალხის ბედზე ზრუნვა?

დღეს ძალიან ბევრს წერენ და ლაპარაკობენ ქვეყანაში გადასახადების შემცირებასთან დაკავშირებით. ამ თემით ტელეეთერში თითქმის ყოველ ღამე დაკავებული არიან ჩვენი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და ისტერიულად ერთსა და იმავეს უმტკიცებენ ხალხს, რომ ისინი გამოასწორებენ ამ მართლაც სავალალო მდგომარეობას. ღმერთმა ქნას, გვეშველოს, მაგრამ როგორ დავიჯეროთ და ვირწმუნოთ მათი, როდესაც დღემდე არაფერი გაკეთებულა და პირიქით, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით გადასახადების მომატების ფაქტებს? როგორც ჩანს, ზოგიერთები უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხს თავიანთი პოპულისტური გამოსვლებით საკენკს უყრიან. ეს რომ მართლა ასეა, ამაში გუშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი.

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

ნავთობის პირველი ნაკადის მოლოდინში

ნავთობის პირველი ნაკადის ტრანსპორტირება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით 2004 წლის დამლევს განხორციელდება. ასეთი პროგნოზი გააკეთა ვაშინგტონში გამართულ კონფერენციაზე — „აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფანი — რეალობა" — თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილემ იურთაკულ იიგით გიუდენმა.

როგორც ამ მილსადენის მშენებლობის ოპერატორი კომპანიის „ბრიტიშ პეტროლეუმ-აზერბაიჯანის" პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა განაცხადა, უკვე იმ სამივე ქვეყანაში მიმდინარეობს მიწების გამოყოფა 1760-კილომეტრიანი მაგისტრალისათვის, რომელთა ტერიტორიებზეც დასახულია ნავთობსადენის მშენებლობა. ვუდვორდმა აღნიშნა, რომ უკვე მიმდინარე წლის მარტის დამლევისათვის არის დაგეგმილი მილების უშუალო გაყვანის პროცესის დაწყება აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში.

შემოდის მილები ნავთობსადენისთვის

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისათვის საჭირო მილებით დატვირთული მესამე გემი ბათუმის პორტში 1 მარტს შევა.

როგორც „ინტერ-პრესს" გუშინ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიაში განუცხადეს, საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენის მშენებლობისათვის საჭირო მილები ბათუმის პორტში შევა, აზერბაიჯანისათვის განკუთვნილი კი — ფოთის პორტში.

ნავთობსადენისთვის საჭირო მილების ჩამოცლა საქართველოში სავარაუდოდ, ოქტომბერში დასრულდება. ბათუმში სულ 13 გემის შემოსვლა იგეგმება. მორიგი გემი ბათუმის პორტში 14 მარტს უნდა შევიდეს.

მუდმივი წარმომადგენლების სხდომა

მინსკში გაიხსნა თანამეგობრობის საწესდებო და სხვა ორგანოებში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა სრულუფლებიანი მუდმივი წარმომადგენლების სხდომა, რომლის მუშაობაში საქართველოს დელეგაციაც მონაწილეობს.

თათბირის მონაწილეები განიხილავენ თანამეგობრობის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისა და მთავრობათა მეთაურების საბჭოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტებს.

გარდა ამისა, იმსჯელებენ იმაზეც, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მუდმივ წარმომადგენელთა საბჭოსათვის თანამეგობრობის მუდმივმოქმედი ორგანოს სტატუსის მინიჭება. განიხილავენ სხვა საკითხებსაც.

აღმოაჩინეს უძველესი ქართული წარწერა

იერუსალიმის სამხრეთით, თალფიოთის დასახლებაში, უძველესი ქართული ტაძრის ნაშთებთან, საფლავის ქვაზე აღმოაჩინეს ძველი ქართული წარწერა — „ესაა საფლავი ეპისკოპოს იოანე ქართველისა".

აღმოჩენის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კომისიის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის წარმომადგენლები უახლოეს ხანში იერუსალიმთან, ძველ ქართულ ნაეკლესიარსა და ნამონასტრევზე, ერთობლივი არქეოლოგიური გათხრების ჩატარებას აპირებენ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და ინტერ-პრესმა.

ხელოვნება

სოფიკო ჭიაურელი — სანკტ-პეტერბურგში

ქართული კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობი სოფიკო ჭიაურელი მონაწილეობას მიიღებს სანკტ-პეტერბურგის მონოსპექტაკლების მე-4 საერთაშორისო ფესტივალში „მონოკლი", რომელიც 28 თებერვალს გაიხსნება. ფესტივალის ორგანიზატორები არიან ბალტიის საერთაშორისო ფესტივალების ცენტრი და თეატრი-ფესტივალი „ბალტიის სახლი".

პრაიმ-ნიუსი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

ვარ მარტოხელა დედა. მყავს 2 წლის შვილი, ცერებრული დამბლით დაავადებული. ვღებულობ პენსიას 14 ლარის ოდენობით. გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა დახმარება (22 ლარი) და რა შეღავათებით ვისარგებლობ?

ლალი გიგიტაშვილი.

ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე დედაქალაქში მცხოვრები მარტოხელა დედები გათავისუფლებული არიან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადასახადის გადახდისაგან. გარდა ამისა, მარტოხელა დედა, რომელიც მუშაობს და ჰყავს არასრულწლოვანი შვილი, მთლიანად თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან, თუ მისი წლიური შემოსავალი 3000 ლარს არ აღემატება.

პრეზიდენტის 2002 წლის 5 მარტის №96 ბრძანებულებით, მარტოხელა დედებს შეუძლიათ წლის განმავლობაში უფასოდ მოიხმარონ 870 კუბ. მეტრი ოდენობის ბუნებრივი აირი.

აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 მარტის ბრძანებულების შესაბამისად, თქვენს შვილს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვს, პირადად ეკუთვნის სოციალური დახმარება თვეში 22 ლარის ოდენობით, რომლის დანიშვნის თაობაზე სათანადო საბუთებით, გირჩევთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ თქვენი რაიონის სოციალური დახმარების განყოფილებას.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

წუხელ

ევროპის სტადიონებზე

დასრულდა ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის II ჯგუფური ეტაპის IV ტურის შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:

„ა" ჯგუფი. „ინტერი" — „ბარსელონა" 0:0, „ნიუკასლი" — „ლევერკუზენი" 3:0.

„ბ" ჯგუფი. „აიაქსი" — „არსენალი" 0:0, „ვალენსია" — „რომა" 0:3.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში: ღამით -1; დღისით +3;

მთაში: ღამით -4; დღისით -1;

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში: ღამით -3; დღისით +5;

მთაში: ღამით -9; დღისით -3;

თბილისში

დროგამოშვებით ღრუბლიანობის მომატება.

ღამით -3; დღისით +5.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

ლარის კურსი

24 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	3.4546 ლარი
აშშ დოლარი	1	2.1830 ლარი
ევრო	1	2.3476 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0692 ლარი.

უკანასკნელ საათს

ჰუსეინი ნდობით აღჭურვილ დაჯგუფებებს დაავალებს აშშ-ზე თავდასხმას. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, ჰუსეინს თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს ტერორისტული დაჯგუფებები ამერიკის არმიის სამხედრო მოქმედებების დაწყების წინ აშშ-სთვის დარტყმის მისაყენებლად.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა თავისი დაბადების დღისთვის მიაღწია შეთანხმებას მემარჯვენეებთან კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით და შეინარჩუნა პარლამენტში უმეტესობა. მიმდინარეობს „პორტფელების" განაწილება.

ინტერპანორამა

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ მოუწოდა არმიასა და ხალხს, მზად იყვნენ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ომისთვის. ფხენიანი ამტკიცებს, რომ აშშ „ნებისმიერ მომენტში" შეიძლება დაესხას თავს ქვეყანას და ამ ვარაუდს ამაგრებს კორეის ნახევარკუნძულზე აშშ და სამხრეთ კორეის რესპუბლიკის ერთობლივი მსხვილი სამხედრო სწავლებებით, რომლებიც მარტში დაიწყება.

ტომი ფრენკსი, რომელიც უხელმძღვანელებს საომარ ოპერაციებს ერაყში, კატარში ჩავიდა. იგი იქ დარჩება ერაყის კრიზისის ბოლომდე. ტომი ფრენკსს უკვე უწოდებენ ერაყის იმ ადმინისტრაციის მომავალ ხელმძღვანელს, რომელიც შეცვლის ჰუსეინის მთავრობას.

ამ ბოლო ათი წლის მანძილზე ამერიკელი ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში სადამ ჰუსეინმა განაცხადა, რომ ნებაყოფლობით არასოდეს დატოვებს ერაყს, არ გახდება დევნილი, და ჯორჯ ბუშს შესთავაზა პირდაპირ ეთერში ტელედებატები.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 54, ხუთშაბათი, 27 თებერვალი, 2003 წელი

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

საზოგადოების ერთიანობა სახელმწიფო დამოუკიდებლობის საფუძველია

მთავრობის სხდომის დღის წესრიგმა, რომელიც გაიმართა 26 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით, იმთავითვე ცვლილება განიცადა. ბატონი პრეზიდენტის წინადადებით, მასში პირველ საკითხად შეიტანეს ინფორმაცია „საქართველოს საგადასახადო და საბაჟო ინფორმაციის ერთიან მონაცემთა ბანკის შექმნისა და ტვირთბრუნვის თანამგზავრული კონტროლის დანერგვის შესახებ", რომელიც წარმოადგინა ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით თარხან-მოურავმა. ხსენებულ სფეროში რომ ყველაფერი რიგზე არ არის და კონტრაბანდამაც ლამის არის დაგვახრჩოს, ეს ფაქტია. ამიტომაც სხდომაზე დიდი ინტერესი გამოიწვია კონტროლის სისტემამ, რომელიც ამ დეპარტამენტში მომზადდა. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო და საბაჟო სისტემების ინფორმატიზაცია გულისხმობს ოთხი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას, პირველი მათგანი ითვალისწინებს ქვეყანაში მოქმედი ყველა კომერციული ფირმისა თუ კომპანიის შესახებ ინფორმაციის შეტანას მონაცემთა ბაზაში; მეორე — სპეციალური ელექტრონული არქივის შექმნას, სადაც განთავსდება ყველა პირველადი დოკუმენტის ელექტრონული ასლი, იგულისხმება პირველადი დოკუმენტები, რომლებიც ახლავს შემოტანილ თუ გატანილ ტვირთებს; მესამე — ზემოაღნიშნულ მონაცემთა ბაზაში აღრიცხული ყველა ფირმისთვის, ეგრეთ წოდებული, ელექტრონული პასპორტის გადაცემას, ეს პასპორტი წარმოადგენს პლასტიკურ ბარათს ციფრული მეხსიერებით. მეოთხე ამოცანა ითვალისწინებს ტვირთბრუნვის თანამგზავრული სისტემის დანერგვას. ყოველი სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც შემოაქვს ან გააქვს ტვირთი, აღიჭურვება ელექტრონული მოწყობილობით. სხვათა შორის, ამ მოწყობილობის ზომა სულ ცოტათი აღემატება მობილურ ტელეფონს. იგი იმის საშუალებას იძლევა, რომ საბაჟოში განლაგებულ კომპიუტერზე მუდმივად აისახოს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ბატონმა დავით თარხან—მოურავმა მოწყობილობის დემონსტრირება პირდაპირ სხდომის დარბაზში მოახდინა. თუ რამდენად აუცილებელია ასეთი კონტროლის განხორციელება, ამას მოწმობს თუნდაც ასეთი სტატისტიკური მაჩვენებელი: ბულგარეთიდან საქართველოში შემოტანილი ტვირთების რაოდენობას გამომგზავნი ქვეყანა აფასებს 58 მილიონი დოლარის ფარგლებში. საქართველოში კი ეს ციფრი რატომღაც 12 მილიონ დოლარამდე მცირდება.

გასაგებია, არა?!

მთავრობამ, რა თქმა უნდა, მოიწონა შემოთავაზებული სისტემა.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ რუსუდან ბერიძემ სხდომაზე წარმოადგინა პროექტი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებისა „საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის რეალური თანასწორობის მიღწევისა და მათი უფლებების დაცვის 2003-2005 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ".

ეს, ერთი შეხედვით, არცთუ რთული საკითხი სინამდვილეში ფრიად პრინციპული დისკუსიის საგანი გახდა. არცაა გასაკვირი, რამეთუ ისეთი მრავალეროვანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, შეუპოვარი ბრძოლა ყველა სახეობის დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ადამიანთა ჭეშმარიტი თანასწორობის მიღწევა და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის უფლებების დაცვა სახელმწიფოებრივი განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს. ამ მიზნების მისაღწევად, აგრეთვე, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების სრულფასოვანი შესრულების უზრუნველსაყოფად უახლოესი წლების განმავლობაში კონკრეტული საკანონმდებლო და პრაქტიკული ზომებია განსახორციელებელი. ამ სამოქმედო გეგმის პროექტზე იყო საუბარი სხდომაზე. მასში წარმოდგენილი იყო შესაბამის ღონისძიებათა მთელი კომპლექსი.

ამ საკითხზე მსჯელობისას საკმაოდ ბევრი თვალსაზრისი გამოითქვა. მაგალითად, აღინიშნა, რომ თვით ტერმინის „ეროვნული უმცირესობა" გამოყენება რამდენადმე უარყოფით დატვირთვას ატარებს, რადგანაც ქვეყნის მოქალაქეთა გარკვეულ ჯგუფს საზოგადოებისაგან თითქოს განყენებულად განიხილავს, რაც სრულიად დაუშვებელია. როცა საქართველოს არაქართველ მოსახლეობაში სახელმწიფო ენის სწავლებაზე გამახვილდა ყურადღება, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ შენიშნა, რომ ქართული ენის ცოდნა ჩვენი არაქართველი თანამემამულეებისათვის საჭიროა იმისათვის, რომ მათ სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში ბოლო დროს გამოვლინდა რელიგიური დისკრიმინაციის ფაქტები, რაც სრულიად მოუთმენელი მოვლენაა და იგი, ფაქტობრივად, ძირს უთხრის საქართველოს დამოუკიდებლობას. ყველა სკოლა, რომელ ენაზეც უნდა იყოს იქ სწავლება, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი სახელმძღვანელოებით.

მთავრობამ განიხილა და მოიწონა ინფორმაცია კანონის პროექტის გამოთხოვის შესახებ, რომელიც წარმოადგინა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა მაია ცაცანაშვილმა.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ სხდომაზე წარმოადგინა და შესაბამისი განხილვის შემდეგ მთავრობამ მოიწონა ინფორმაცია „უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 მარტის №135 ბრძანებულების შესრულების თაობაზე. როგორც მინისტრმა აღნიშნა, საქართველოში სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამის ფარგლებში გასულ წელს გაგრძელდა უმწეო ოჯახთა სოციალური დახმარების პროგრამა. სხვათა შორის, ასეთ მოქალაქეთა რაოდენობა ამჟამად 68.644 ოჯახია. აქედან 33 პროცენტამდე ინვალიდია. ბოლო წლებში 12 პროცენტამდე გაიზარდა პროგრამაში ბავშვთა მონაწილეობის ხვედრითი წილი. გასულ წელს პროგრამამ მოიცვა ქვეყნის მოსახლეობის 1,6 პროცენტი.

თუ რა საარსებო მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოქალაქეების გარკვეული კატეგორიისათვის ამ დახმარებას, ეს ზემოთ მოყვანილი ციფრებიდანაც ჩანს. ამიტომ სრულიად მოუთმენელია ის დარღვევები, რაც ჯერ კიდევ ხშირად ხდება ამ თანხების მის ადრესატამდე მიტანის საქმეში. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ კატეგორიულად მოითხოვა ყველანაირი დარღვევის აღმოფხვრა. მწვავედ დასვა, აგრეთვე, უდედმამო და უზედამხედველო ბავშვების საკითხი. აქ, თქვა მან, აუცილებლად უნდა გამოვნახოთ საშუალებანი, რომ ბავშვებს დავეხმაროთ და მათი მომავალი უზრუნველვყოთ. მოსაგვარებელია ჰუმანიტარული დახმარების საკითხიც. ხომ ფაქტია, რომ მისი უდიდესი ნაწილი გაჭირვებულ მოქალაქეებამდე არ მიდის და ბაზარზე იყიდება. აქ დიდი მუშაობა უნდა გასწიონ სამართალდამცველებმა, რათა უზრუნველყონ ისეთი ვითარების შექმნა, როცა დახმარება, ფულით იქნება ეს თუ სხვა სახით, აუცილებლად მიაღწევს ადამიანებამდე.



სხდომაზე ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრმა გიორგი გაჩეჩილაძემ წარმოადგინა ინფორმაცია სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავების, დაფინანსების და აღსრულების პრაქტიკის ანალიზისა და მისი სრულყოფის მიმართულებების შესახებ.

როგორც ცნობილია, საქართველოში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის პროცესის უმნიშვნელოვანეს ასპექტს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავება, შერჩევა, დაფინანსება და აღსრულების მონიტორინგი წარმოადგენს. ყოველი აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატური გეგმის პროექტის შემუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება სწორედ, პირველ რიგში სარეალიზაციო სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამების ჩამონათვალის ფორმირებას ეთმობა.

როგორც ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისას მომავალში საჭიროა გავითვალისწინოთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ინტერესებიც, რადგან ახლა არსებული პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ თანამშრომლობის გზით და, საერთოდ, ამ რეგიონებთან შეიარაღებული დაპირისპირება შეცდომა იყო.

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა გიორგი გაჩეჩილაძემ წარმოადგინა აგრეთვე ინფორმაცია საქართველოში შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის მიერ განხორციელებული ექსპორტის — დაზღვევა-დაკრედიტების და დაფინანსების პროექტის ანგარიშის ანოტაციის შესახებ. ამ საკითხის განხილვისას პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გაკვირვება გამოთქვა ამას წინათ უკრაინას, ბელორუსიას, რუსეთსა და ყაზახეთს შორის მიღწეული შეთანხმების თაობაზე თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ. როგორც მან აღნიშნა, ეს საკითხი განიხილეს კიევის სამიტზე და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას აპირებდნენ სექტემბერში. საქართველო ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერს ამ იდეას და იგი აუცილებლად შეუერთდება ამ გადაწყვეტილებას.

მთავრობის სხდომაზე მოისმინეს და ცნობად მიიღეს სახელმწიფო კანცელარიის უფროსის პეტრე მამრაძის ინფორმაცია „2003 წელს საქართველოს მთავრობის სხდომებზე განსახილველი საკითხების ნუსხის შესახებ".

ამით დღის წესრიგი ამოიწურა.

დასასრულ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მოკლედ მიმოიხილა ქვეყანაში შექმნილი კრიმინოგენური სიტუაცია და აღნიშნა, რომ ამას წინათ გამართული მთავრობის გაფართოებული სხდომის შემდეგ, სამართალდამცველებმა, მართალია გააააქტიურეს მუშაობა, მაგრამ ვითარება მაინც საგანგაშოა. ედუარდ შევარდნაძემ კატეგორიულად მოსთხოვა შესაბამის სტრუქტურებს, სახელმწიფო რწმუნებულებს, რომ უფრო ენერგიულად მოჰკიდონ ხელი საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას, რადგანაც ამ წესრიგის გარეშე საქართველო დაკარგავს იმ პარტნიორებს, რომელთა თანადგომის იმედიც აქვს.

თენგიზ გრიგალაშვილი,
საქინფორმის კორ.

მიმართვა

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მისალმება სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ინიციატივის მონაწილეებისადმი

თბილისი, 2003 წლის 26 თებერვალი

ბატონებო და ქალბატონებო,

საქართველოსთვის დიდი პატივია სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ინიციატივის მასპინძლობა და მე ძალზე მახარებს ის, რომ ამ რეგიონისთვის უაღრესად საჭირო წამოწყება თანდათან ძალას იკრებს.

2001 წლიდან მოყოლებული ყურადღებით ვადევნებ თვალს თქვენს ძალისხმევას.

ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ სამხრეთ კავკასიის პარლამენტართა დიალოგს. სამხრეთ კავკასია, როგორც ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, სულ უფრო მეტად ექცევა გლობალური პროცესების შუაგულში. ამის განმაპირობებელ მიზეზთა შორისაა, როგორც ჩვენი საერთო სიმდიდრე — საკვანძო გეოპოლიტიკური მდებარეობა, ბუნებრივი და ინტელექტუალური რესურსების სიმრავლე, ისე ჩვენი საერთო გასაჭირი — თანამედროვე მსოფლიოსთვის დამახასიათებელი პრაქტიკულად ყველა პრობლემა — აგრესიული სეპარატიზმით, ქსენოფობიით, ექსტრემისტული ნაციონალიზმით გამოწვეული ტერიტორიული დავები, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაული, ტერორიზმი, ასეულობით ათასი ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული პირი.

სწორედ ამ პრობლემების დაძლევა და პოზიტიური პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება იყო შვიდი წლის წინათ გამოთქმული „მშვიდობიანი კავკასიის" ინიციატივის დედააზრი. ინიციატივას რეგიონის პრაქტიკულად ყველა სახელმწიფომ დაუჭირა მხარი. ვინაიდან, მასში ჩადებული იდეების ხორცშესხმა სამხრეთ კავკასიას დღევანდელ ბობოქარ მსოფლიოში თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის ნიმუშად აქცევს.

ამ კეთილშობილური მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ რეგიონის ქვეყნების ხელისუფლების ყველა შტოს, არასამთავრობო სექტორის, ფართო საზოგადოების აქტიური ძალისხმევით და რაოდენ მისასალმებელია, რომ სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს პარლამენტებს შორის დიალოგი ასე დროულად დაიწყო 2001 წელს.

დარწმუნებული ვარ, თქვენი შეხვედრა გააღრმავებს საპარლამენტო თანამშრომლობას და ამით მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამხრეთ კავკასიაში თანხმობის და გრძელვადიანი სტაბილურობის დამყარებას, რაც იმის აუცილებელი წინაპირობაა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ამ რეგიონმა თავისი ღირსეული ადგილი დაიკავოს ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურაში.

წარმატებას გისურვებთ თქვენს საქმიანობაში.

ედუარდ შევარდნაძე.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 24 თებერვალი ქ. თბილისი

ვეტერანული მოძრაობის მონაწილეთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

ომის ვეტერანთა მოძრაობის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ვეტერანული მოძრაობის მონაწილეები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

ღირსების ორდენით:

ალექსანდრა ბანდურა — თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის ვეტერანთა საბჭოს წევრი; **კონსტანტინე ბერულავა** — ჩხოროწყუს რაიონის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; **რობინზონ გონჯილაშვილი** — თიანეთის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; **გივი მურვანიძე** — საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი; **თამარ სარიევა** — საქართველოს ბერძენ ომის ვეტერანთა კავშირის წევრი.

ღირსების მედლით:

ზეინაბ თაქთაქიშვილი — თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი; **ვენერა მესხი** — თბილისის მთაწმინდის რაიონის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს წევრი.

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 24 თებერვალი ქ. თბილისი

ფირუზ აბულაშვილის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობისა და თავდადებისათვის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის სოფელ ქოთოქლოს ეკლესიის რესტავრაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და სოფლის ქართული სკოლისა და კულტურის სახლისათვის გაწეული ქველმოქმედებისათვის ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის წევრი **ფირუზ აბულაშვილი** დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

გულის ბუხარი

უზნეობის მარათონი

პირველი გვერდიდან

ეკონომიკურ სიდუხჭირეს, ველური კაპიტალიზმის მძალებას და ახალგამოჩეკილი ოლიგარქების ბატონობას რომ უთუოდ მოჰყვებოდა ზნეობრიობისა და სულიერების საყოველთაო დაცემა, ეს ბევრი, საქმეში ჩახედული პიროვნებისთვის იმთავითვე ნათელი იყო, ალბათ (მარტო ახალგაზრდების მასიური მიგრაცია სხვა ქვეყნებში რად ღირს?). ამდენად, დეგრადაციის ეს პროცესი ზოგიერთთათვის სავსებით კანონზომიერედაც კი გამოიყურება: თურმე ასე იყო სხვაგანაც და ჩვენ რა გამონაკლისი ვიქნებოდითო.

ხოლო საზოგადოებრივი აზრი რომ შეცვლილია ასობით პარტიის, ფრაქციის, ცალკეული სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის, ე. წ. თავისუფლების ინსტიტუტის თუ სხვადასხვა სექტების შეხედულებით, ანუ ე. წ. პლურალიზმის აჯაფსანდლით, არც ესაა საკვირველი. ლამის მთელი ქვეყანა ქცეულა ჩვენი ახლადგამომცხვარი, ამდენად, ერთობ მადაგახსნილი ოლიგარქების, ცალკეული კლანების, „კანონიერი" ქურდების, კორუმპირებული ჩინოვნიკების, დემაგოგების, პოპულისტების, ცინიკოსების, ნიჰილისტების, ცრუნაციონალისტების და ათასგვარი „ისტების" საჯირითო მოედნად, რომელთა დიდი ნაწილის უმთავრესი მიზანი ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა, ანუ, რადაც უნდა დეუჯდეთ, ხელისუფლებაში მოსვლა, უფრო სწორად, ძალაუფლების უზურპაცია (რასაკვირველია, „დემოკრატიის" სახელით), და ამ გზით ნაძარცვი ქონების დაკანონებაა, და რომელთა უკან, მეტწილად, სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები დგანან.

ბუნებრივია, ეს შავბნელი ძალები არაფერს იშურებენ იმისათვის, რომ ხელში ჩაიგდონ საინფორმაციო საშუალებები (ტელევიზია, რადიო, პრესა) და მათი მეშვეობით დააკანონონ თავიანთი უფლებები, ანუ უკანონობა. ისინი ცდილობენ თანდათან, მეთოდურად მოახდინონ (და ახდენენ კიდეც!) ქართული ცნობიერების, ყოველივე ქართულის, ანუ ეროვნულის დისკრედიტაცია, კაცობრიობის წარუვალი ზნეობრივი ფასეულობების ნიველირება, ანუ მოხდეს **უზნეობის გაფეტიშება!** ამ მიზნების მისაღწევად, სწორედ რომ, არ ერიდებიან არანაირ მანიპულაციებს, არანაირ მზაკვრულ მეთოდ-ხერხებს.

დიახ, ყოველნაირი საშუალებით, ფარულად თუ აშკარად, მიმდინარეობს გააფთრებული, დაუნდობელი ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართული კულტურის, მართლმადიდებლობის და, საერთოდ, ქრისტიანული მორალის წინააღმდეგ. მთავარი საყრდენი ამ ბრძოლაში, რა თქმა უნდა, გახლავთ, რუსთაველის თქმით, „ეშმაკის ოქროს კვერთხის ძირი", ანუ უზარმაზარი თანხები, რაც ხან გრანტების, ხან კრედიტების, ხან ნარკობიზნესისა და იარაღით ვაჭრობის გზით და ათასგვარი ხრიკებით მიედინება მავანთა და მავანთა ჯიბეებში, და რომელთა მეშვეობითაც ხდება სულიერ ღირებულებათა გაუფასურება, ქვეყნის ეკონომიკის სტაგნაცია და, ა. შ. და მაინც: ყოველივეს თავი და თავი, ყველაფერი ამის საფანელი **სიძულვილის** გრძნობა გახლავთ, შურთან და ბოღმასთან შეუღლებულშეწყვილებული, შავი ჭირივით რომ მოსდებია ქვეყანას და, აგერ მე-12 წელია, არა და არ ცხრება. თითქოს რამდენი ახალი ეკლესია აშენდა, რამდენი განახლდა, თითქოს ტევა არ არის ტაძრებში ხალხისა და მაინც... მოყვასის სიყვარულმა ვერ გადაძალა სიძულვილი და შეუწყნარებლობა.

ამის შემყურე, პირადად ჩემთვის ახლა უფრო თვალნათელი შეიქმნა ოდესღაც დიდი საქართველოს ეგზომ დამცრობის და დაკნინების მიზეზ-სათავე. დიახ, არა მხოლოდ გარეშე მტრების შემოსევებმა, არამედ უსაშველო პატივმოყვარეობამ (დღევანდელი ტერმინოლოგიით — ამბიციამ, ანუ „უჩემოდ ვით იმღერეთას" სენმა, გაპოხიერებულმა ხან შაჰის, ხან ხონთქრის, ხანაც რუსთა ხელმწიფის ფეშქაშებით) აქცია იგი როგორც წარსულში, ისე, მით უმეტეს, ახლა დაუძლურებულ, პაწაწკინტელა ქვეყნად, რომლის კიდევ უფრო დასაპატარავებლად და, საბოლოო ჯამით, გასაქრობად ასე გულმოდგინედ იღვწიან ჩვენი რეიტინგიანი თუ ურეიტინგო თვითმარქვია პოლიტიკოსები, რომელთაც, ძველი უსტაბაშებისგან განსხვავებით, საკუთარი დასი რომ ჰყავდათ დამკვრელებისა, თავად თოფით შეიარაღებული, დაქირავებული დამქაშები ამოუყენებიათ ზურგში. ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებსო, აკი ნათქვამია. მით უმეტეს, უმუშევარი, მშიერი ადამიანის გადმობირებას დიდი ძალისხმევა არც სჭირდება. სამწუხაროდ, ისინი თანახმანი არიან მცირედზეც მიჰყიდონ სული ეშმაკს, ანუ დამქირავებლებს.

ხოლო რაც შეეხება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სხდომებს, თუ ცალკეული პარტიების თავყრილობებს (ქვეყანაში იმდენი პარტიაა, გაზეთებისა არ იყოს, რომ მათი დამახსოვრება ყოვლად შეუძლებელია), როცა მათ უყურებ, უნებლიეთ გიჩნდება სურვილი, რომ ბევრი მათგანი ერთ დიდ ნიჩაბზე დასვა და ამ მოლაყბეებს ქვეყნის საზღვრებს იქით გადაუძახო, როგორც უვარგის და უმაქნის მამრებს, რომელთაც თავში აზრადაც არ მოსდით, რომ ამ ძიძგილაობისას („ძიძგი, ძიძგი, მამალო!") და საარჩევნოდ წინასწარი დაგეგმილი შოუ-სპექტაკლების ჩვენების დროს, შესაძლოა გარეშე ძაღლმა პირი ჰკიდოს თითოეულ მათგანს და... თავიანთი არმად ნაშოვნი ავლადიდებიანად უფსკრულში გადაყაროს! ალბათ მერე დაიკვეხნიან: „შენ იცი და მაგანოო!"

საინტერესო გახლავთ ისიც, რომ ზოგი მათგანი თავის კეთილდღეობას — თანამდებობრივს თუ ქონებრივს, ხალხს აყვედრის კიდეც — მე ასე და ასე გავიჭირვე, ვიშრომე, ოფლი ვღვარე და ეს სიმდიდრე მეკუთვნის კიდეცო. ზოგი, (მავანი ბანოვანის ჩათვლით), ისე გვედიდგულება, თითქოს ბაგრატიონთა ტახტის პირდაპირი მემკვიდრე იყოს, ზოგი — კემბრიჯის თუ ოქსფორდის უნივერსიტეტებში, ვითომდა, განსწავლულობით გვეკეკლუცება და გვიმტკიცებს დორბლმორეული: მე ვარ რაცა ვარო, ჩემთვის უწირავს ღმერთს და განგებასო. თქვენ ვინ ყრიხართო, თქვენ ნახირის როლი უნდა შეიფეროთ და შეიგუოთ კიდევაცო. ზოგი თავისი სიბრიყვით იწონებს თავს. თუმცა სიბრიყვეც არ ეთქმის იმას, რაც ხდება: ბრიყვი ხანდახან თავის შეცდომებზე რაღაცას მაინც სწავლობს, ჩვენში კი ესეც გამორიცხულია: სანამ თვითონ კისერს არ მოიტეხს და კინჩხს, მანამ არც საკუთარ შეცდომებს მოჰყავს იგი გონს და არც სხვისას იჯერებს.

თუმცა ესეც კია: რაკიღა თავისად მიაჩნია გაძარცვული ქვეყნის ქონება, თავისი სიბრიყვე სხვებს სიბრძნედ უნდა მოაჩვენოს. მოკლედ, ქაოსი და ბაკქანალია გამეფებულა ქვეყანაში და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენო, ან არადა, ბედაურები დაიხოცნენ და ვირებს დარჩათ მოედანიო. რაც შეეხება გასაცოდავებულ, უარაფროდ დარჩენილ ინტელიგენციას (ხალხის ძირითადი მასითურთ!) ლუკმა-პურზე ფიქრით რომაა შეჭირვებული და სულს ღაფავს, გააზნაურებული მდაბიოების, ანუ გაზულუქებული ნუვორიშების თვალში იგი დიდი ხანია დაცინვის ობიექტადაა ქცეული. ეს ინტელიგენცია უკვე კომპეტენტური არ გახლავთ თურმე ამ გამეჯღანუაშვილებული ბობოლებისთვის. „კომპეტენტურები" კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისინი არიან, რომლებიც მაღალი ტრიბუნებიდან გვასწავლიან ცხოვრების წესს, დემოკრატიისა და პლურალიზმის სიკეთეს, გვიქადაგებენ მორალს, გვმოძღვრავენ და გვარიგებენ ჭკუას — ვინ როგორ მოვიქცეთ, ვის მივცეთ ხმა არჩევნებში და ა. შ. ხანაც, თითების პარჭყვით გვიხსნიან კანონების ანა-ბანას და შეფარულად თუ შეუფარავად იმუქრებიან კიდეც: თუ ჩვენს მხარეს არ დადგებით, მაშინ, საკუთარ თავს მოჰკითხეთ, რაც დაგემართებათო და ა. შ. და ა. შ.

და ყოველივე ეს ურთიერთთრევის და თათხვის აკომპანიმენტქვეშ ხდება! მართლაცდა, ღმერთი რატომ არ გაიცინებს, განა ეს ვირთხები არ იყვნენ, თავის დროზე პირწმინდად რომ გამოხრეს ქვეყნის ბეღელი? განა ამ ნილბიანმა ყაჩაღებმა თავად არ მიიყვანეს ქვეყანა გაღატაკებამდე, რომ არაფერი ვთქვათ მათ მიერ პარლამენტში მიღებულ იმ კანონებზე, მრავალი ხვრელი რომ დაუტოვეს შესაძრომ-გამოსაძრომი, ოღონდ სათავისოდ, ცხადია, და ისე გააფარჩაკეს ჭეშმარიტი კანონი და კანონიერება, რომ ხელფეხშებორკილი პროკურატურა დღემდე გონს ვერ მოსულა! ამ „კომპეტენტური" ნეობოლშევიკების ცნობიერებას სალოცავ ხატად მხოლოდ მამონა გაუხდია. მზად არიან, ამ კერპს არამცთუ თანამოძმენი და მამული, არამედ მთელი ცისქვეშეთიც ანაცვალონ. სხვა დანარჩენი ბლეფია და ფარისევლობაა. სხვა დანარჩენი წყალსაც წაუღია და მეწყერსაც ერიან-ბერიანადო!

აკი ამ ბოლო დროის მოვლენებმაც ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ ახალი ჟამის ეს შენიღბული ბოლშევიკები, ე. წ. პიარებზე გამეცადინებულნი, თავიანთი პარტიული, ამჯერად შავი რაზმებითურთ, შეიძლება სიტყვიდან მალე საქმეზე გადავიდნენ, ანუ დაუსჯელობის სინდრომმა ისეთი მასშტაბური სახე მიიღოს, რომ არეულობამ და შინააშლილობამ კვლავ, როგორც 2001 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ყოფნა-არყოფნის წინაშე დააყენოს ისედაც ურიცხვი გარეშე მტრებით გარსშემორტყმული სახელმწიფო და, საერთოდ, საქართველოს მომავალი!

მთელ, ამ დაგეგმილ, წინასწარგათვლილ და გამიზნულ სცენარში, როგორც ზემოთაც ითქვა, უაღრესად დიდი (თუ გადამწყვეტი არა!) როლი აქვს დაკისრებული საინფორმაციო საშუალებებს. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მთლიანად „რუსთავი-2" და, კერძოდ, მისი „60 წუთი", რომელნიც „რატომღაც" ხელშეუვალობის იმუნიტეტით სარგებლობენ ქვეყანაში. ალბათ, იმიტომ, რომ აგრესიულობასთან ერთად გამოირჩევიან დეზინფორმაციის, სკანდალის, პროვოკაციული სიუჟეტების, ინტრიგის, შანტაჟის, ბეზღობის თუ ცილისწამების სიუხვით და ტოლი არ ჰყავთ ყოველივე ამის „სიმართლის" საკმაზით მიწოდების საქმეში. ანუ საკმაოდ დახელოვნებული მაესტროები ბრძანდებიან ადამიანთა გულის გახეთქვის თუ სიტყვიერი ქილერობის პროფესიაში. „რუსთავი-2"ს არ ძალუძს, უფრო სწორად არ სურს რაიმე სასიკეთო დაინახოს ცხოვრებაში: რაც მეტია ცუდი — მით უკეთესი. ეს მისი კრედო გახლავთ და ამით სულდგმულობს იგი.

ციალა არდაშელია.

(გაგრძელება იქნება).

აქცენტი

ისევ პოპულისტობა თუ ხალხის ბედზე ზრუნვა?

პირველი გვერდიდან

საქართველოს ტელეკომში (კავშირგაბმულობის ცენტრალური ფოსტა) უკვე მერამდენე დღეა „ახალ ქსელებთან" გაუთავებელი რიგებია. გატანჯული და გადაღლილი ხალხი ვერც კი ახერხებს იმის დადგენას, თუ რამდენი უნდა გადაიხადოს, რომ დადგენილ რიცხვამდე მოახერხოს თანხის დაფარვა. თუ ვინმემ ერთი დღე გადააცილა, მას უთუოდ ტელეფონს გამოურთავენ, ეს საკითხის ერთი მხარეა. მეორეა ის, თუ რატომ არის ასეთი უსაშველო რიგები, ან ვინ დგას ამ „ახალი ქსელების" უკან, ან რატომ გაძვირდა „ახალი ქსელების" გადასახადი?

უსაშველო რიგში ერთმა ფაქტმა ააღელვა ხალხი. განსაკუთრებით 80 წელს მიტანებული მოხუცი ქალის საცოდაობამ შეძრა იქ მყოფნი. თურმე მას ორი ლარი ჰქონდა გადასახდელი და ვერ მოახერხა დანიშნულ დროს გადახდა, რადგან რიგში დგომა ვერ შეძლო. ამასობაში ტელეფონიც გამოურთეს, ჩართვას ერთი ლარი დაემატა და სწორედ ამის გამო იყო გამწარებული, წყევლიდა და ქოქოლას აყრიდა ამ წესის დამკანონებელს.

ამ ფაქტს სხვებთან ერთად „ნაციონალების" ერთ-ერთი ლიდერი ვანო მერაბიშვილიც შეესწრო, რომელმაც საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადა და წავიდა... „ნაციონალები" გვიშველიან! — იყო ირონიული რეპლიკა.

გამახსენდა, ორი დღის წინათ ნაციონალები ტელეეთერში ამტკიცებდნენ, „ახალი ქსელების" მიმართ ჩვენს მკვეთრ პოზიციას გამოვხატავთო. არ ვიცი, რას გააკეთებენ ისინი, მაგრამ ერთ-ერთ „ნაციონალ" მერაბიშვილს სასამართლოში წასვლამდე ვითომ არ შეეძლო მტირალი ბებიასათვის 1 ლარი გადაეხადა, თუ მართლაც ასე შესტკივა გული ხალხზე?

როგორც გუშინ პარლამენტის სხდომაზე გაირკვა, „ნაციონალებს" ისევ ლეიბორისტებმა დაასწრეს და გადასახადების გაორმაგების გამო „ახალ ქსელებს" საკონსტიტუციო სასამართლოში უჩივლეს. განსაკუთრებით გასაკვირია ის, რომ სარჩელი შეუტანია დეპუტატ ფრიდონ ინჯიას, რომელიც საზოგადოებაში „ახალი ქსელების" ერთ-ერთ მფარველად მოიაზრება. ნეტა, რა არის ეს? ისევ პოპულისტობა თუ მართლაც, ხალხის ბედზე ზრუნვა?

ნანა სულავა.

კორუფციის წინააღმდეგ

ეს უკვე ეკონომიკურ დივერსიას უტოლდება

პირველი გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ ექსპერტული დასკვნით, ამ საგადასახადო დავალებებზე დასმული ბეჭდები და არსებული ხელმოწერები შესრულებულია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში გავრცელებული დანაშაულებიდან, ბოლო წლების განმავლობაში, განსაკუთრებით საშიში ფორმა მიიღო ყალბი მონაცემებით შევსებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების უკანონო ბრუნვამ. ეს სამართალდარღვევები თავისი შინაარსით, სოციალური მავნეობითა და საზიანო შედეგებით, კარგად ორგანიზებული საბოტაჟის ხასიათს იღებს და, აშკარად ამუხრუჭებს ქვეყნის ფისკალური ორგანოების საქმიანობას. მარტო უშიშროების სამინისტროში წარმოებაში არსებული მასალების მიხედვით შარშან განხორციელებულია 15,2 მილიონი ლარის მოცულობის უსაქონლო ოპერაციები.

სახელმწიფო ორგანოებიდან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოტანის, მათი გაყალბებისა და შემდგომი გასაღების მიზნით, ქვეყანაში მუშაობს ბოროტმოქმედთა ათეულობით დანაშაულებრივი კარტელი, რომელთა საქმიანობას ზოგჯერ სამსახურებრივ მფარველობას უწევს სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოს მუშაკი. მაგალითად, გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში დაფუძნებული შპს „სალომეს" საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოყენებით ქვეყნიდან უკანონოდ გატანილია ძალზე ძვირადღირებული დიზელის ორი გენერატორი. შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტმა იზარალა 528.600 ლარი.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში, მოქალაქე მაია პეტრიაშვილის ყალბი პირადობის მოწმობით, რომელშიც ჩაკრული იყო თამარ დგებუაძის ფოტოსურათი, რეგისტრაციაში გატარდა ინდივიდუალური საწარმო. საგადასახადო ინსპექციიდან გამოტანილი ანგარიშ-ფაქტურებით, დანაშაულის ორგანიზატორმა იური ზარქუამ განახორციელა 300 ათასი ლარის ფიქციური ოპერაციები.

სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების სრული იგნორირებით, თ. ჯლამაძეს სასამართლო პროცესებში ფორმალური მონაწილეობისათვის, 2000-2001 წლებში, სხვადასხვა ფორმით „საქენერგო-2000"-ის ხელმძღვანელებმა გადაუხადეს დიდძალი თანხა. ამასთან, თ. ჯლამაძეს მიღებული შემოსავლიდან ბიუჯეტთან არანაირი ანგარიშსწორება არ უწარმოებია. მან სახელმწიფო 6 მილიონი ლარით აზარალა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

დასჯის ინსტიტუტის უმოქმედობის, მაკონტროლებელ ორგანოებში გავრცელებული მექრთამეობის, ქვეყანაში კანონდაუმორჩილებლობის სინდრომის არსებობის ლოგიკური შედეგია სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ შპს „ზაჰესსა" და მასთან დაკავშირებულ საწარმოებში გამოვლენილი ფაქტები.

კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ზაჰესის" ხელმძღვანელებმა, საწარმოს რეალური შემოსავლის დამალვის და დატაცების მიზნით, 1998 წელს დააფუძნეს შპს „ალტერნატივა". მოკვლევის პროცესში გაირკვა, რომ 1999-2002 წლებში, გაერთიანებული ქართული ბანკის მთაწმინდის ფილიალში, შპს „ალტერნატივას" საანგარიშსწორებო ანგარიშზე, სს „ეი-ი-ეს თელასიდან" და სხვა საწარმოებიდან ჩაირიცხა შპს „ზაჰესის" კუთვნილი 9,8 მილიონი ლარი. ამასთან, შპს „ზაჰესის" დასაბეგრ ბრუნვაში აისახა მხოლოდ 5,4 მილიონი ლარი, ხოლო დანარჩენი თანხა, ანუ 4,4 მილიონი ლარი მთლიანად მიითვისეს მისმა ხელმძღვანელებმა ა. ყიფიანმა და თ. ჩხეიძემ.

აღსანიშნავია, რომ შპს „ალტერნატივას" საგადასახადო ორგანოებში არ წარუდგენია საგადასახადო დეკლარაციები და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ანგარიშების ფორმები, არ უწარმოებია ბიუჯეტთან ანგარიშსწორება და, რაც ყველაზე საგანგაშოა, საწარმოში არც ერთხელ არ ჩატარებულა საგადასახადო შემოწმება. არადა, მის საბანკო ანგარიშზე განხორციელდა მილიონობით ლარის მოცულობის ოპერაციები.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შუამდგომლობით ჩატარებული შემოწმებით, შპს „ალტერნატივას" ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დაერიცხა 2,1 მილიონი ლარი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

თავად ცხოვრება ცხადყოფს, რომ ამ ნეგატიურმა, აშკარად ანტისახელმწიფოებრივმა მოვლენებმა, ფაქტობრივად, ეკონომიკური დივერსიის ხასიათი მიიღეს, რის გამოც პრობლემის დაძლევა უშიშროების სამსახურის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს.

ბონდო გულიაშვილი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

№ 54, ხუთშაბათი, 27 თებერვალი, 2003 წელი.

დოკუმენტი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2003 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა, დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახების სამართლებრივი და სოციალური დაცვის ხელშეწყობის ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა, დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახების უფლებების დაცვის, სოციალური ადაპტაციისა და საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესის დაჩქარების, მათი სამართლებრივი უფლებების, პრივილეგიების ეფექტური რეალიზაციის თვალსაზრისით, ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობის, პროგრამების დაფინანსების მიზანმიმართული და ეფექტიანი გამოყენების, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისა და ახალი ეფექტური წინადადებებისა და რეკომენდაციების განხორციელების მიზნით:

1. შეიქმნას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა, დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახების სამართლებრივი და სოციალური დაცვის ხელშეწყობის ეროვნული საკოორდინაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ავთანდილ ჯორბენაძე – საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი ყარყარაშვილი – საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ლაშა აბაშიძე – საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა და ინვალიდთა კავშირ „სარეაბილიტაციო ცენტრის" თავმჯდომარე;

გია აბულაძე – ვეტერან მეომართა კავშირ „თბილისელების" თავმჯდომარე;

რევაზ ასათიანი – საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის ქ. თბილისის სამმართველოს უფროსი;

ილარიონ ბარაბაძე – ადამიანის უფლებების საერთაშორისო დაცვისა და დახმარების კავშირ „ნდობას" თავმჯდომარე;

რამაზ ბიძინაშვილი – ეროვნული გვარდიის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი ბულისკირია – აფხაზეთის მებრძოლთა კავშირის მთავარი საბჭოს წევრი, კავშირის რწმუნებული;

ირაკლი გადილია – ინვალიდ-მეომართა კავშირ „დიოსკურიას" რწმუნებული;

იური გალდავა – საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერან და ინვალიდ ოფიცერთა კავშირ „მშვიდობას" პრეზიდენტი;

გიორგი გაჩეჩილაძე – საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი;

გელა გელაშვილი – ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე;

გურამ გვეტაძე – საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ვასილ გიგოლაშვილი – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;

პაატა გოგოლაძე – პენიტენციალური სისტემის რეფორმისა და დანაშაულის მსხვერპლის დაცვის ეროვნული ასოციაციის თავმჯდომარე;

ედიშერ გრიგოლია – ფონდ „გიორგის" რწმუნებული;

ვლადიმერ დობორჯგინიძე – უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახების ფონდ „მოლოდინის" თავმჯდომარე, ტყვეთა გაცვლის და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა მოძიების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ზურაბ ეზუგბაია – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;

ნოდარ ეფრემიძე – საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული, საქართველოს ჯარისკაცთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის საზოგადოების თავმჯდომარე;

ალექსანდრე ვაშაკიძე – ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა, თბილისის საქალაქო საბჭოს წევრი;

აკაკი ზოიძე – საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;

გოგი თათუხაშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ომის მონაწილე ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანების „ფარ-ხმალის" თავმჯდომარე;

თეიმურაზ თოფურია – საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე;

დარეჯან იოსელიანი – საზოგადოებრივი კავშირ „ჯარისკაცის დედას" თავმჯდომარე;

გივი იუკურიძე – საქართველოს პრეზიდენტის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო ინსპექციის უფროსი;

ნუგზარ კახნიაური – საქართველოს ავღანელთა კავშირის თავმჯდომარე;

გენადი კვერნაძე – სრულიად საქართველოს მეომარ, ვეტერან-ინვალიდთა კავშირ „ფარი და მახვილის" თავმჯდომარე;

გია კიკნაძე – მებრძოლ ვეტერანთა კავშირ „ბეგთარის" თავმჯდომარე;

დავით კოშკაძე – მებრძოლ ვეტერანთა კავშირ „სამაჩაბლოს ხეობას" თავმჯდომარე;

იოსებ ლაშხია – სოხუმის გარნიზონის მეომართა კავშირ „ჯიხას" რწმუნებული;

თამაზ ლიპარტელიანი – კავშირ „სოხუმის გარნიზონის" წევრი;

იაკობ ლომაია – საქართველოს ომისა და შეიარაღებული ძალების ინვალიდ-ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანება „მეგობართა კავშირის" თავმჯდომარე;

კონსტანტინე მგალობლიშვილი – საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრი;

მოსე მდინარაძე – თბილისის ვეტერანთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

მერაბ მისაბიშვილი – აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციების კავშირ „ლიგას" რწმუნებული;

გია მორგოშია – აფხაზეთის ომის მონაწილე და ინვალიდთა კავშირ „ფსოუს" წევრი;

ალეკო ნაკანი – აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა კავშირ „თანადგომას" რწმუნებული;

თემურ ოტიაშვილი – საქართველოს ეროვნული გვარდიის კავშირის თავმჯდომარე;

ავთანდილ პაკელიანი – მეომართა უფლებების დაცვის კავშირის თავმჯდომარის მოადგილე;

ბიძინა პირველი – კავშირ „წმ. გიორგის" გამგეობის თავმჯდომარე;

თემურ როსტომიანი – „ოფიცრები საქართველოსათვის" მებრძოლ ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე;

ლევან ტყებუჩავა – აფხაზეთის მეომართა კავშირის წევრი;

ზურაბ ფარცვანია – საქართველოს ინვალიდ-მეომარ ტრანსპორტელთა კავშირ „აბჯარის" თავმჯდომარე;

ემზარ ქვარიანი – მებრძოლ პატრიოტთა კახეთის რეგიონალური კავშირის თავმჯდომარე;

ბორის ყურაშვილი – საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე;

ვიქტორ შაფათავა – საქართველოს მხედრიონის მეომარ-ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე;

კახა შენგელია – ქ. თბილისის ვიცე-პრემიერი;

თამაზ ცინცაძე – ინვალიდ მეომართა კავშირ „უშბას" რწმუნებული;

ნოდარ ცოტნიაშვილი – საქართველოს პოლიციის პენსიონერთა და ინვალიდთა კავშირ „აბჯარის" რწმუნებული;

მანონ ხაჩიძე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;

მერაბ ჯაფარიძე – საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მოადგილე;

2. საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას საბჭოს სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

მაია ყიფიანი – საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ საკითხთა სამსახურის რეფერენტი, სამდივნოს უფროსი;

ლალი ცერაძე – მეომართა უფლებების დაცვის კავშირის თავმჯდომარე, სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ომის ვეტერანთა და ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციების აღმასრულებელი მდივანი;

მერი ჭილაშვილი – საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის სოციალური დაცვის სამმართველოს უფროსი.

3. დამტკიცდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა, დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახების სამართლებრივი და სოციალური დაცვის ხელშეწყობის ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს თანდართული დებულება.

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა, დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახების სამართლებრივი და სოციალური დაცვის ხელშეწყობის ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს

დებულება

მუხლი I
ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა, დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახების სამართლებრივი და სოციალური დაცვის ხელშეწყობის ეროვნული საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში – საბჭო) შექმნილია შესაბამის სფეროში „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.
2. საბჭო წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ სათათბირო ორგანოს, რომლის მიზანია საქართველოს შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა, დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახების, სოციალური და სამართლებრივი დაცვის ღონისძიებების შემუშავება.
3. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი II
საბჭოს ფუნქციები და ამოცანები

1. საბჭოს საქმიანობის ძირითადი ამოცანაა ვეტერანთა, დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ოჯახების, პირებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების გათვალისწინებული და საკანონმდებლო აქტების რეალიზაციისათვის საქართველოში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და სხვა საჭირო პირობების შექმნისათვის ხელშეწყობა, რისთვისაც საბჭო:

ა) საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებთან თანამშრომლობის გზით ხელს უწყობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა, დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახების სოციალური და სამართლებრივი დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას;

ბ) ამზადებს წინადადებებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა დახმარების სოციალური პროგრამებისათვის;

გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა, დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ამისათვის აქტიურად თანამშრომლობს შესაბამის უწყებებთან;

დ) იხილავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის საკითხებს;

ე) ხელს უწყობს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე შესაბამისი პროგრამების განხორციელებას.

2. საბჭოს საქმეების მიმართულების შესაბამისად იქმნება სამუშაო ჯგუფები, რომელთა თავმჯდომარეებს და მუშაობის რეგლამენტს ამტკიცებს საბჭო.
3. საბჭოს ინიციატივით კომისიებში სამუშაოდ შესაძლოა დამატებით მოწვეულ იქნენ კომპეტენტური სპეციალისტები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელი-ექსპერტები, რომლებიც საჭირო იქნებიან შესაბამისი საკითხების შესასწავლად და გადასაწყვეტად.

მუხლი III
საბჭოს უფლებამოსილებანი

1. საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საქართველოს ვეტერანთა სოციალური დაცვის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოამზადოს და წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს შესაბამისი სამართლებრივი აქტები.
2. მოამზადოს საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოს პარლამენტის, დაინტერესებული მხარეებისა და საქართველოს მოსახლეობისადმი ინფორმაცია ომის ვეტერანთა შესახებ არსებული საქართველოს კანონებისა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების რეალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი IV
საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა

1. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო კანცელარიის, სამინისტროების, ვეტერანთა საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
2. საბჭოს სხდომები იმართება ორ თვეში ერთხელ საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით, სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი; საბჭოს საგანგებო რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს თავმჯდომარეს ან წევრთა ერთ მესამედს.
3. საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი და სამდივნოს კოორდინატორი უზრუნველყოფენ მიმდინარე საქმიანობას და სხდომების მომზადებას.
4. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, საბჭოს წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, რომელიც ფორმდება ოქმით საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის ხელის მოწერით.

მუხლი V
საბჭოს საქმიანობის შეწყვეტა

საბჭოს საქმიანობის შეწყვეტა ხდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

თვალსაზრისი

ამდენი დეპუტატი ქვეყანას კისერზე აზის

(პირველი გვერდიდან)

უკვე იგრძნობა წინასაარჩევნო ციებ-ცხელება. სოკოებივით მომრავლებული პარტიები ალიანსებს ქმნიან. პარტიულ შეკრებებზე ძირითადი ყურადღება გადატანილია სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე. მათ უპირატესად ის აწუხებთ, რომ მომავალი არჩევნების დროს ხმების გაყალბება არ მოხდეს და სრულიად უყურადღებოდ ტოვებენ ისეთ საკითხებს, როგორიც არჩევნების არსებული წესია, დეპუტატების რაოდენობა და სხვა. ისე არ მოხდეს, რომ ახალარჩეული პარლამენტი ძველზე უარესი იყოს. ჩანს, რომ აქამდე მოქმედმა წესმა, პროპორციულმა არჩევნებმა არ გაამართლა. სიების შედგენისას პარტიის ლიდერებმა ვერ შეძლეს ღირსეული კანდიდატების შერჩევა. მაგალითისათვის დღეს მოქმედ პარლამენტში მოქალაქეთა კავშირის დასახელებაც კმარა. ვინ და რა გზით მოხვდა პარტიულ სიაში, რა დამსახურების საფუძველზე? ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ლიდერთა უმრავლესობას პარტიის რიგების დატოვება მოუხდა. მოქალაქეთა კავშირმა სრულიად დაკარგა ამომრჩეველთა ნდობა, რაც კარგად აისახა თბილისის საკრებულოს არჩევნების დროს. სწორედ უღირსმა დეპუტატებმა შეარყიეს ამ ოდესღაც ქვეყნის წამყვანი პარტიის ავტორიტეტი. ამიტომ სიების შედგენისას ამა თუ იმ პარტიის ლიდერები მაინცდამაინც ნდობას არ იმსახურებენ და ღირსეულ დეპუტატებთან ერთად საკმაოდ საეჭვო რეპუტაციის პიროვნებებიც მოხვდნენ პარლამენტში.

ყოველმა ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, ვის აძლევს თავის ხმას და არ უნდა ანდოს იგი ამა თუ იმ პარტიის ხელმძღვანელ ჯგუფს. ამიტომ, უპირველესად, უნდა შეიცვალოს წესი არჩევისა. ამომრჩეველი თვითონ უნდა ირჩევდეს დეპუტატს, სხვის დაუხმარებლად. მართალია, არც არჩევნების მაჟორიტარული წესია იდეალური. რა თქმა უნდა, ამ დროს, სამწუხაროდ, შეიძლება მოქმედებდეს უწესობა, ამომრჩევლის დაინტერესება, მოსყიდვა და სხვა, მაგრამ ამომრჩევლს ის მაინც ეცოდინება, რომ მან ღირსეულ თუ უღირს დეპუტატს მისცა ხმა. განა პროპორციული წესით არჩევისას არ ხდებოდა დარღვევები, უწესობა სიებში მოხვედრის დროს? ამას პარლამენტის დღევანდელი შემადგენლობაც კარგად მოწმობს. შეიძლება იმ ქვეყნებში, სადაც პარლამენტის არჩევნებში ძირითადად რამდენიმე პარტია მონაწილეობს, პროპორციული სისტემა გამართლებული იყოს, ოღონდ საქართველოში, სადაც, თუ არ ვცდებით, პარტიათა რიცხვმა 150 გადააჭარბა, პარლამენტის არჩევნების ეს წესი, ამ ეტაპზე ნაკლებად მისაღებია. პოლიტიკოსობა, ჩანს, ზოგს საკმაოდ იოლ საქმედ მიაჩნია. დღეს, პოლიტიკოსობას ზოგი ისეთი პიროვნება იჩემებს, რომელსაც ამის თითქმის არავითარი მონაცემი არ გააჩნია. ამიტომ პოლიტიკოსთა რიგები, შემთხვევითი და ზოგჯერ, საეჭვო რეპუტაციის ადამიანებით შეივსო. პოლიტიკოსს, უპირველესად ქვეყნის ბედი უნდა აინტერესებდეს და არა საკუთარი კეთილდღეობა.

და მაინც, მთავარი სატკივარი ისაა, სჭირდება თუ არა საქართველოს პარლამენტს 235 დეპუტატი? სამწუხაროდ, პარტიებს ეს არ აწუხებთ, პირიქით, ალბათ, ხელს აძლევთ კიდეც. პარლამენტის სხდომაზე მხოლოდ ერთადერთი დეპუტატი შეეხო ამ საკითხს, მაგრამ მას ყური არავინ ათხოვა. ბუნებრივია, რაც მეტი სადეპუტატო ადგილი იქნება, მით უფრო მეტი შანსია პარლამენტში მოხვედრისა. არსად, ალბათ, ყოველ შემთხვევაში, ევროპის სინამდვილეში, საითკენაც ასე მივილტვით, მოსახლეობის რიცხვთან შეფარდებით ამდენი დეპუტატი პარლამენტში არ არის. რა ეშველებოდა ჩინეთს, ინდოეთს და სხვა ხალხმრავალ სახელმწიფოებს, ჩვენთვის რომ მიებაძათ? სად დაეტევდნენ ამდენ დეპუტატს!!! სხვა რომ არ იყოს რა, დიდი პარლამენტის მართვა საკმაოდ რთული და მძიმეა, თანაც ისეთი დეპუტატების, რომლებსაც, ჩანს, არ აწუხებთ რა საკითხები ირჩევა და რაზეა ლაპარაკი. სხდომები უმეტესად დაცარიელებულ დარბაზში მიმდინარეობს. ისეთი საკითხის განხილვისას, როგორც ბიუჯეტის დამტკიცებაა, დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. ჩვენი ყველაზე უფრო დიდი სატკივრის, აფხაზეთის პრობლემაზე მსჯელობისას დარბაზში ანალოგიური ვითარება იყო. დეპუტატებმა მაინცდამაინც თავი არ შეიწუხეს სხდომაზე დასწრებით. ისეთი ჭკვიანი და ღირსეული სპიკერიც, რომელიც, ალბათ, ნებისმიერ პარლამენტს დაამშვენებდა, ვერ უმკლავდება თავაშვებულ დეპუტატებს. რა ხდება სადეპუტატო დარბაზში, როგორ იქცევიან პარლამენტარები, როგორ მიმართავენ ერთმანეთს და ბევრი სხვა წრეგადასულობა უთუოდ მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს და ყოველგვარ ნდობას უკარგავს პარლამენტს.

მაინც, რატომ იზიდავს ასე პარლამენტი დეპუტატობის სკამის მაძიებლებს? რა თქმა უნდა, უპირველესად დეპუტატის კეთილდღეობა, პრივილეგიური მდგომარეობა, გასამრჯელო, სადეპუტატო იმუნიტეტი და, რაც მთავარია, ნადეპუტატორობის პენსია. ზოგისათვის, უპირატესად საეჭვო პიროვნებებისათვის, პარლამენტი თავშესაფარი ადგილი გახდა, პენსიამ კი ბევრს გაუხსნა დეპუტატობის მადა. ისე ჩანს, რომ აქამდე პარლამენტი უმთავრესად თავის სასარგებლო კანონებს იღებდა, მაგრამ ზოგი მეტად საჭირო კანონის ამოქმედება დიდი ხნით ყოვნდება, ან სულაც განხილვის გარეშე რჩება. უთუოდ ნიშანდობლივია: დეპუტატობის სკამი იმდენად მიმზიდველი გამოდგა, რომ ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი ტოვებს თავის სამსახურის ადგილს და დეპუტატობას არჩევს.

დეპუტატობის რიცხვის შემცირება, ალბათ, რამდენადმე შეანელებს ლტოლვას პარლამენტისაკენ. იგი უფრო ღირსეული პოლიტიკოსებით შეივსება, უფრო ქმედითი, საქმიანი, მართვადი გახდება და განიწმინდება ზედმეტი ბალასტისაგან. სახელმწიფოს პარლამენტი, თავის დეპუტატებით და ნადეპუტატორებით უმძიმეს ტვირთად აწევს. სრულიად გაუგებარია, რომ დეპუტატმა ვადის გასვლის შემდეგ მაღალი გასამრჯელო უნდა მიიღოს, ზოგჯერ ისეთმა, რომელსაც დეპუტატობის სრული ვადაც კი არ შეუსრულებია. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია 14-ლარიანი პენსიის ფონზე. საოცარია, რომ უაღრესად დამსახურებული პიროვნება, ვინც ღირსეულად ემსახურა თავის ქვეყანას, ამ კნინი პენსიის ამარაა დარჩენილი, ხოლო ყოვლად უღირსმა კი მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე ხანი პარლამენტში გაატარა და თავი მაინცდამაინც ვერაფრით ისახელა, ჩვეულებრივ პენსიაზე რამდენიმე ათეულჯერ მეტი გასამრჯელო უნდა მიიღოს. ეს მსოფლიოში, ალბათ, უნიკალური შემთხვევაა. ბოლოს, ალბათ, ისე მომრავლდებიან დეპუტატები და ნადეპუტატორები, რომ მათი მოვლა უაღრესად მძიმე ტვირთად დააწვება სახელმწიფოს. ამიტომ უმჯობესია, დროზე მოგვარდეს ეს საკითხი. თუ მაინც ჩვენს პარლამენტში რაიმე სასიკეთო კეთდება, ეს ძირითადად, პოზიციის და ოპოზიციის ზოგიერთი ნამდვილად ღირსეული დეპუტატების კისერზე გადადის. დეპუტატობის ასეთი განუკითხავი შეღავათები საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას იწვევს და უნდობლობის გრძნობას აღვივებს.

გასაოცარია, რომ ქვეყანამ ეკონომიკურ გაჭირვებას ნაწილობრივაც კი თავი ვერ დააღწია. ამ ხნის მანძილზე მოსახლეობამ ვერავითარი შვება ვერ იგრძნო. მხოლოდ მომავლის იმედად ყოფნა, რომელიც, ალბათ, კეთილი იქნება, ძნელია. მართალია, განვლილ წლებში აწ უკვე თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში, ბევრი რამ სასიკეთოც გაკეთდა. ქვეყანა მტკიცედ დაადგა განვითარების დემოკრატიულ გზას. ქვეყნის შიგნით მეტნაკლებად სტაბილური მდგომარეობა დამყარდა. ნავთობსადენმა, აბრეშუმის გზის აღდგენამ და სხვა, უთუოდ გაამყარა საქართველოს სახელი ქვეყნის გარეთ. და მაინც, ჩვენში სიდუხჭირე ჯერ კიდევ ძლიერად იგრძნობა. რა თქმა უნდა, ეკონომიკურ წარუმატებლობას თავისი მიზეზები ახლავს. ჯერ ერთი, მძიმე მემკვიდრეობა მივიღეთ და ცხოვრების ახალ სისტემაზე გადასვლა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მაგრამ ამ ხნის მანძილზე მაინც შეიძლებოდა ზოგი რამის თავიდან აცილება. ჯერ ერთი, ვერ ვისწავლეთ ხელმომჭირნეობით ცხოვრების წესი. კიდევ ვერ დავძლიეთ ის, რომ ქვეყნის მმართველი, ელიტარული ნაწილი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობს. ეს საკმაოდ ძვირად უზის სახელმწიფოს. უთვალავი ძვირადღირებული მანქანის მომსახურება, სხვადასხვა სახის სიკეთე, დამსახურებული თუ დაუმსახურებელი დაცვა და სხვა ძვირად უჯდება გადამხდელს, სახელმწიფო ბიუჯეტს. გაზრდილი ბიუროკრატიული აპარატი მძიმედ აწევს ქვეყანას. ერთ-ერთი მთავარი სატკივარი კორუფციაა. მართალია, მასთან ბრძოლა არცთუ ისე ადვილია, მაგრამ წლების მანძილზე მარტო ლაპარაკით ამ სენს ვერ მოსპობ. დღეს ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი, თითქმის სრული განუკითხაობა ბატონობს. სულ უფრო და უფრო იკარგება პასუხისმგებლობის გრძნობა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. თითქმის სრულიად გაუფასურდა ინტელიგენტის შრომა, განათლების ცენზი. არა ერთხელ აღინიშნა, რომ კულტურა გადაარჩენს საქართველოს, მაგრამ დღეს შეიძლება ითქვას, რომ სწორედ კულტურის გადამრჩენებს ექცევა ყველაზე ნაკლები ყურადღება. ეკონომია ძირითადად საზოგადოების ინტელექტუალურ ნაწილზე საბოლოოდ სიკეთეს ვერ მოიტანს. შეიძლება მებაჟე, მოსამართლე, პროკურორი თუ გამომძიებელი და სხვა, მართლაც იმსახურებდნენ უფრო გაზრდილ გასამრჯელოს, მაგრამ არა გვგონია, რომ სწორი იყოს საშუალო ხელფასთან შედარებით ასეთი განუზომელი სხვაობა. ტყუილი იმედია, რომ ამით უმსგავსო საქციელი შენელდება. თუ პიროვნება ბუნებით პატიოსანი არ არის, ვერავითარი გაზრდილი გასამრჯელო საქმეს ვერ უშველის.

და ბოლოს, დღეს ბევრს ვმსჯელობთ სიმბოლიკაზე – დროშაზე, ჰიმნზე, გერბზე და ყურადღება ამაზე გადაგვაქვს. მაგრამ ამასობაში მთავარი არ გამოგვრჩეს, არ დაგვავიწყდეს, რომ უმთავრესი საზრუნავი ქვეყნის გამთლიანება და პარლამენტის მოსალოდნელი არჩევნებია, რომელიც აუცილებლად განახლებული წესით უნდა ჩატარდეს.

და კიდევ, ბოლოს და ბოლოს დადგა დრო, რომ ინტელიგენციამ აღიმაღლოს ხმა ქვეყანაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. ამიტომ, გვინდა ვთხოვოთ პრეზიდენტს – მიუხედავად იმისა, რომ იგი უაღრესად დაკავებულია, მაინც გამონახოს დრო ინტელიგენციასთან შესახვედრად, მოისმინოს მისი აზრი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხების შესახებ და მაქსიმალურად გაითვალისწინოს იგი.

მარიკა ლორთქიფანიძე,
დავით მუსხელიშვილი,
ოთარ ჯაფარიძე.

სამართალი

გაუქმებული უფლება აღუდგინეს

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა განიხილა საკითხი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების კონსტიტუციურ სარჩელზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულების მიმდინარეობის შესახებ.

კონსტიტუციური სარჩელი ეხებოდა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების წევრთათვის დაწესებული შეღავათების, კერძოდ, ელექტროენერგიით უფასო (და ფასდაკლებით) სარგებლობის უფლების გაუქმების კონსტიტუციურობის საკითხს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი და ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წლის 24 დეკემბერს მიღებული კანონის ის მუხლები, რომლებითაც ზემოაღნიშნული კატეგორიის მომხმარებელთა ელექტროენერგიით უფასო მომსახურება შეიცვალა ისეთი ლიმიტირებული მომსახურებით, რომელსაც არ შეიძლება ეწოდოს გონივრულად დასაშვები მინიმალური სოციალური შეღავათი. საკონსტიტუციო სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებით, აღნიშნული საკითხის მოწესრიგება ეთხოვა საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის 22 ნოემბერს ცვლილებები შეიტანა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისთვის, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების წევრთათვის დაადგინა ელექტროენერგიის უფასო მოხმარება ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტი) 250 კვტ საათი თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) – 150 კვტ სთ თვეში. „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათებით მოსარგებლე სხვა კატეგორიის მომხმარებლებისათვის დაწესდა ელექტროენერგიის უფასო მოხმარება ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტი) 125 კვტ სთ თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) – 75 კვტსთ თვეში. აღნიშნული შეღავათები ამოქმედდა 2002 წლის 18 აპრილიდან (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან) და იგი უნდა დაიფაროს ცენტრალური ბიუჯეტიდან.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა ცნობად მიიღო, რომ საქართველოს პარლამენტმა სრულად აღასრულა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრესსამსახური.

საქმიანი ოპტიმისტები

მიირთვით იტალიური მაკარონი, ოღონდ ქართული ეტიკეტით

ჯერჯერობით მცირე რაოდენობით გვაქვს საკუთარი ნავთობი, გაზი, ბევრი სხვა სიკეთე, მაგრამ სამომავლო პოტენციალით საკმაოდ მდიდრები ვართ. ეს ჩანს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუნდაც საბაზრო ურთიერთობებში, სადაც ანტიმონოპოლიური სამსახურის მეშვეობით საიმედო ცვლილებები გამოიკვეთა. სწორედ ამ სიახლის წყალობით ერთმა უბრალო ბაზრის გამყიდველმა შეძლო ეშოვნა იმდენი თანხა ერთ კვირაში, რასაც ადრე ვერც წარმოიდგენდა.

თებერვლის ამ ცივ დღეებში ჩემი ყურადღება მიიპყრო ბაზრის ტერიტორიაზე ერთმა დახლმა, რომლის ირგვლივ ხალხი შეკრებილიყო. ყველას ეჭირა ხელში პატარა ფურცელი და გაფაციცებით კითხულობდა. ვიფიქრე, რომელიმე ოპოზიციური პარტია მოწოდებებს ავრცელებს-მეთქი, მაგრამ შევცდი. სინამდვილეში ამ ფარატინა ქაღალდზე ეწერა ყველაფერი ის, რაც ლამაზად შეფუთულ იტალიურ მაკარონზე, ოღონდ ქართულად, მასზე მწარმოებლის მისამართთან ერთად ამოვიკითხე მაკარონის მომზადების წესიც. დავინტერესდი და ოთხი შეკვრა ვიყიდე. მალე სხვებმაც მომბაძეს და ნახევარ საათში მთელი პროდუქცია გაიყიდა.

ჩემს შეკითხვაზე, თუ რამ განაპირობა ასეთი წარმატება, გამყიდველმა მიპასუხა: არ გაგიგიათ, რომ პირველი მარტიდან საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის განკარგულებით იკრძალება სავაჭრო ობიექტში იმ საქონლის გაყიდვა, რომელსაც ქართული ეტიკეტი არ ექნება? იმპორტიორმა ამის გათვალისწინებით გადაათარგმნინა იტალიური მაკარონის მომზადების რეცეპტი და, ნახეთ, რა მოგება ნახა? პირველად ასეთი სახით მხოლოდ 50 ცალი მაკარონის „გუაჩის" მენიუ ათარგმნინა და უკვე პირველსავე დღეს ერთ საათში გაიყიდა. წახალისებულმა, მეორე დღეს 500 ცალი დააბეჭდვინა და პროდუქცია შუადღემდე გაასაღა. მას იმედი აქვს, რომ ამ კანონის ძალაში შესვლამდე მთელი კვირის განმავლობაში მოიგებს იმდენს, რასაც იგებდა ადრე ნახევარ წელიწადში.

აი, სად გამოჩნდა მცირე ბიზნესის პოტენციალი, რაზეც არაერთგზის საუბრობდა ჩვენი პრეზიდენტი. იმედია, პირველი მარტიდან თქვენც აღარ იგრძნობთ უხერხულობას რომელიმე უცხოური პროდუქციის შეძენისას, რადგან ზუსტად გეცოდინებათ მისი ავ-კარგი და ამის მიხედვით განსაზღვრავთ ჯანმრთელობისთვის მის სარგებლიანობას.

ნიკო გორგიჯანიძე.

კონტრაბანდა

დააკავეს დიზელის საწვავის მსხვილი პარტია

25 თებერვალს, დილის 6 საათზე, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად, გარდაბნის რაიონის სოფელ ვაზიანის მიმდებარე ტერიტორიაზე, საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა დააკავეს ოთხი „კამაზის" ტიპის ავტოცისტერნა, რომლებითაც გადაჰქონდათ დაახლოებით 80 ტონა აღურიცხავი დიზელის საწვავი.

როგორც საგანგებო ლეგიონის უფროსის მოადგილემ გოჩა ჭელიძემ საქინფორმს განუცხადა, ესაა აღურიცხავი საწვავის ყველაზე მსხვილი პარტია, რომელიც ამ უწყების თანამშრომლებს დაუკავებიათ. ბოლო დროს, ფინანსთა მინისტრის მირიან გოგიაშვილის ბრძანების თანახმად, საგანგებო ლეგიონის შესაბამისმა დანაყოფებმა მკვეთრად გაააქტიურეს აღურიცხავი ნავთობპროდუქტების გადაზიდვის გამოვლენა-აღკვეთის ღონისძიებები. მარტო 24-25 თებერვალს აღკვეთილია 120 ტონა აღურიცხავი დიზელის საწვავის უკანონო გადაზიდვა.

საქინფორმი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 54, ხუთშაბათი, 27 თებერვალი, 2003 წელი.

პოზიცია

სწავლულ ექსპერტთა საბჭოში რეფორმები საბოლოოდ უნდა დამთავრდეს

ამ წელზე მეტია სამეცნიერო ხარისხების დამტკიცების ცენტრალიზებულმა საკავშირო სისტემამ არსებობა შეწყვიტა, დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა თავად იზრუნეს შესაბამისი სტრუქტურების შექმნაზე. საქართველოში იგი „სწავლულ ექსპერტთა საბჭოს“ სახით შეიქმნა.

ამ ხნის მანძილზე მან ბევრი სახეცვლილება განიცადა. მაგრამ ერთიან, მყარ სტრუქტურად ვერ ჩამოყალიბდა, რაზეც კარგად მეტყველებს სახელისუფლებო ინსტანციებში შესული მასალები და პრესაში მეცნიერთა პუბლიკაციები. დროა სეს-მ საბოლოოდ განსაზღვროს თავისი ადგილი და როლი ქვეყნის სამეცნიერო სისტემაში, დაამთავროს რეფორმირების გაგრძელებული პროცესი და ანგარიშგასაწევ, კომპეტენტურ, ობიექტურ ორგანოდ იქცეს.

ცნობილია, რომ სადისერტაციო საბჭოებს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებანი გააჩნიათ: ისინი იხილავენ, შეფასებას აძლევენ და ანიჭებენ დისერტანტს ძიებულ ხარისხს, მაგრამ რადგანაც სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წესი ნორმატიული აქტით განისაზღვრება, სეს მოვალეა ამ პროცედურების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ჩაერიოს საბჭოების მუშაობაში, გაუწიოს მათ კოორდინაცია და კონტროლი, გადაწყვიტოს დისერტაციების დაცვამდე, დაცვის პროცესში და დაცვის შემდეგ წამოჭრილი ნებისმიერი საკითხი. უამფუნქციოდ აზრი არც ექნებოდა სეს-ის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო სტრუქტურის, არსებობას.

როგორც ცნობილია, სეს-ი ცარიელ ნიადაგზე არ შექმნილა, მას საბჭოური „ვაკის“ ხარვეზებიც გადმოჰყვა, მაგრამ დღევანდელი სეს შორს არის პოლიტიზებისა და კომუნისტური მმართველობის წნეხიდან და თუ წარსულის რაიმე ნეგატიური შემორჩა, მისგან უნდა გაიწმინდოს.

სხვათა შორის, მართალი არ ვიქნებოდით თვალი დაგვეხუჭა ცენტრალიზებული „ვაკის“ დამსახურებაზე საბჭოეთის ცნობილი სამეცნიერო კადრების ჩამოყალიბებაში. ყოფილი „ვაკიდან“ რაციონალურის აღებით სეს-მა ახალი შინაარსი და ფუნქცია უნდა შეიძინოს, მან ერთგვარი „საცერის“ როლი უნდა შეასრულოს სამეცნიერო სპექტრში, გაითავისოს სამეცნიერო ხარისხების მინიჭების აღიარებული სტანდარტები, ეროვნული ინტერესები, ქვეყნის განვითარების შედეგები და პერსპექტივები. სეს მოვალეა ობიექტურად შეაფასოს ეროვნული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის მიუღებელი მავნე პოზიცია, მეცნიერულად უვარგისი ნაშრომები.

მით უმეტეს, საზოგადოების სრული დეიდეოლოგიზაციის კურსი, პოლიტიკური, რელიგიური, მეცნიერული მსოფლმხედველობის ცვლა სიძნელეებს უქმნის მეცნიერებას. ასეთ ვითარებაში სწორედ სეს-მ, სამეცნიერო ინსტიტუტებთან და კათედრებთან ერთად, უნდა განსაზღვროს ასპირანტთა თუ მაძიებელთა გამოცდების პროგრამები. ე. ი. უნდა შემუშავდეს ცოდნის მოთხოვნის და სადისერტაციო ნაშრომების შეფასების მეცნიერულად გააზრებული ერთიანი სისტემა.

სეს-ის საქმიანობის ობიექტი უნდა გახდეს არარეგისტრირებული სადისერტაციო თემების არსებობა და შემდეგ მისი მოულოდნელი წარმოჩენა ხარისხის მაძიებლის მიერ, ამიტომ, სადისერტაციო თემის რეგისტრირება უნდა ხდებოდეს მხოლოდ სათანადო პროფილის და კომპეტენციის მქონე მეცნიერულ თუ სასწავლო დაწესებულებებში, ხოლო ყოველივე ამის კოორდინაცია სეს-მა უნდა მოახდინოს. იგი ამ წესების შემადგენელი ნაწილია, რომელიც საზღვრავს და აყალიბებს სამეცნიერო კულტურას და ხელს უწყობს მეცნიერული პოტენციალის დონის ზრდას.

ძლიერი სეს-ს არსებობა აუცილებლად არის დაკავშირებული ჩვენს ქვეყანაში აღმოცენებულ ასობით კერძო უმაღლეს სასწავლებელთან. ზოგიერთ მათგანს პრეტენზია აქვს ჰყავდეს საკუთარი ასპირანტი თუ მაძიებელი და ცდილობს შექმნას სადისერტაციო საბჭოც, თუმცა მათი უდიდესი უმრავლესობა ამ საქმიანობისათვის სრულიად მოუმზადებელია. კერძო სადისერტაციო საბჭოების, ანუ თავისებური შპს-ების შექმნა უსაზღვროდ გაამრავლებდა ფსევდომეცნიერებს, გააფართოებდა კორუფციას მეცნიერებაში და მკვეთრად შელახავდა ქვეყნის სამეცნიერო პრესტიჟს.

დასამალი არ არის, რომ მეცნიერთა ნაწილი იძულებულია ნებაყოფლობით გაყიდოს საკუთარი ინტელექტუალური შრომის შედეგი — სადისერტაციო შრომები, გამოკვლევები, გამოგონებები, პატენტები და ა. შ. ასეთ ვითარებაში ხდება გარკვეული გარიგება სამეცნიერო საბჭოებში. გამოკვეთილია ე. წ. ფინანსური „სტავკებიც“. აშკარა ტენდენციურობა, გარკვეული სერიოზული დათმობები იმ სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა მიმართ, რომლებიც მაღალ თანამდებობებზე მუშაობენ სახელმწიფო სტრუქტურებსა თუ ბიზნესის სფეროში. უფრო მეტიც. ასეთი კანდიდატები და დოქტორები პარალელურად შეთავსებით იკავებენ თანამდებობებს სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულებებში და ე. წ. სამეცნიერო მომავალი გარანტირებული აქვთ. როგორც სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილია, სეს-ს საბოლოო სტრუქტურა ჯერაც ჩამოუყალიბებელია, ვერ მომზადდა სადისერტაციო საბჭოების შექმნის, დისერტაციების განხილვისა და დაცვის, ხარისხების მინიჭების და ა. შ. ახალი სრულყოფილი დებულება და ინსტრუქცია.

დავას იწვევს სეს-ს იმ სამეცნიერო ჟურნალების ნუსხაც, რომლებში გამოქვეყნებული სტატიაც ჩაითვლება დისერტაციისათვის გამიზნულ სამეცნიერო ნაშრომად. გაუგებრობის წყაროა ნუსხის ხშირი ცვლაც. მაგალითად, 2000-2001 წლებში ისტორიის მეცნიერებათა სექციის ნუსხაში შეტანილ სამეცნიერო ჟურნალებში „საისტორიო ვერტიკალები“ და „საქართველო“ დაბეჭდილ პუბლიკაციები დისერტანტებს არ ეთვლებათ, თუმცა კანონს უკუქმედების ძალა არ გააჩნია და იმ წლებში გამოქვეყნებული ნაშრომები ავტორებს გამიზნულ სამეცნიერო სტატიებად უპრობლემოდ უნდა ჩაეთვალოთ.

ასევე გაუგებარია, რატომ ამოიღეს 2002 წელს ისტორიისა და პოლიტოლოგიის სექციების ნუსხიდან ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, რომელიც სეს-ს მიერ მოთხოვნილ ყველა პირობას აკმაყოფილებს, პერიოდულად გამოდის, რეფერირებულია, იგზავნება საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში, ბეჭდავს ისტორიისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა პრობლემებზე ნაშრომებს ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე, მათ შორის უცხოელ ავტორებსაც. ამასთანავე, მისი ერთ-ერთი დამფუძნებელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ შესაბამისი სადისერტაციო საბჭოები აღნიშნულ ჟურნალში გამოქვეყნებულ გამოკვლევებს აღიარებენ, თუმცა სეს-ში ამ მხრივ სხვადასხვა მოსაზრებაა.

იმედს ვიტოვებთ, რომ სეს-ს ახალი ხელმძღვანელობა წერტილს დაუსვამს ამ გაუგებრობას, და იმ ჟურნალებს და სხვა გამოცემებს, რომლებსაც გარკვეული საზოგადოებრივი თუ სამეცნიერო ავტორიტეტი აქვთ, შეიტანს სექციების ნუსხაში.

ამასთან, ჩვენ წინააღმდეგი ვართ სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებმა ნებისმიერ გამომცემლობაში „გრიფების მოპოვების“ გზით თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობით ბეჭდონ ნაშრომები და სადისერტაციო საბჭოები და სეს-ი „აიძულონ“ აღიარონ ისინი. ეს ეხება ზოგიერთ არარეფერირებულ, უავტორიტეტო ჟურნალსაც.

ცხადია, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სეს-ის და სადისერტაციო საბჭოების გამჭვირვალობას, შეაჩერებს გამომცემლობებისა და ჟურნალების დამფუძნებელთა საბიზნესო ამბიციებს“ და სამეცნიერო საზოგადოებაში გაფანტავს ბევრ მოარულ ეჭვსა და გაუგებრობას.

უნდა შევნიშნოთ, რომ უკანასკნელ ხანებში სეს-ის ხელმძღვანელობაში ცნობილი მეცნიერების (აკადემიკოსები გიორგი ხარაძე, ზაზა ალექსიძე) მოსვლამ უფრო მეტად გაააქტიურა სეს-ის მუშაობა, რაც საკმაოდ მყარ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი ყალიბდება ახალი შინაარსის სტრუქტურად, რომელიც თავისუფალი იქნება ბიუროკრატიზმისა და ადმინისტრირებისაგან, მოაწესრიგებს სადისერტაციო საბჭოების საქმიანობას და სამეცნიერო საზოგადოებას დაიცავს ფსევდო-მეცნიერებისაგან.

ცხადია, დღევანდელ სახელმწიფოებრიობის მშენებლობის რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესში ცალკეული შეცდომებისაგან დაზღვეული არავინ არის, ამ მხრივ არც სეს იქნება გამონაკლისი, მაგრამ ამის გამო მისი ოპონენტების საუბარი სეს-ის გაუქმებაზე, ან არასამთავრობო ორგანიზაციად გადაკეთებაზე, გაუმართლებელი და არასერიოზული იქნებოდა. სწავლულ ექსპერტთა საბჭო კი არ უნდა დავანგრიოთ, არამედ გავწმინდოთ ხარვეზებისაგან, გავამარტივოთ, სრულვყოთ და, რაც მთავარია, უნდა ვენდოთ მას.

ამ კონტექსტში შეიძლება სადისკუსიო იყოს სეს-ოს სახელწოდების საკითხიც. ჩვენი აზრით, სახელწოდება „სწავლულ ექსპერტთა საბჭო“ უხერხულობას ქმნის. მეცნიერების სწავლულებად და არასწავლულებად დაყოფა გაუმართლებელია. ალბათ, აჯობებდა ახლანდელი სესისთვის გვეწოდებინა „საქართველოს უმაღლესი სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო“, რომელიც უფრო გამოხატავს მის დანიშნულებას და შინაარსს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამეცნიერო წოდებების (პროფესორი, დოცენტი) მინიჭების დამტკიცება მისი პრეროგატივა ხდება.

იმ ფონზე, როცა საქართველოში ბევრი რამ გაუფასურდა, არც მეცნიერების სფერო აღმოჩნდა გამონაკლისი და შესაბამისად, დაიწყო სამეცნიერო ხარისხის დევალვაციაც. აკადემიკოსი, პროფესორი, დოცენტი შინაარსობრივად აღარ გამოხატავს იმას, რაც ამ ცნებებში ადრე იგულისხმებოდა, რითაც ამ სტატუსის მქონე პიროვნება ფასდებოდა. სეს-ს პრინციპულ პოზიციას და მოუსყიდველობის იმიჯს ამ მხრივ საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება. კოლეგებთან მოთათბირების შემდეგ თავს უფლებას ვაძლევთ გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება თუ სურვილი:

1. უმოკლეს ხანში უნდა დამთავრდეს სეს-ს დებულების და ინსტრუქციის საბოლოო, დახვეწილი ვარიანტის შემუშავება და დაიწყოს მისი რეალურად განხორციელდება;

2. სეს-ი უნდა გადაიქცეს უფრო ქმედით მაკონტროლებელ ორგანოდ, რომელსაც უფლება მიეცემა საჭიროების შემთხვევაში შეაჩეროს სადისერტაციო საბჭოების მუშაობა და, უხეში დარღვევების დაფიქსირების შემთხვევაში, გააუქმოს კიდეც მისი გადაწყვეტილება და აუკრძალოს საქმიანობა.

3. სამეცნიერო სადისერტაციო საბჭოები უშუალოდ უნდა ემორჩილებოდნენ სეს-ს და მათ არ უნდა მეურვეობდნენ ის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებები, რომელთა ტერიტორიაზეა განლაგებული დაცვის საბჭო.

4. სეს-მ უნდა მოახდინოს სადისერტაციო საბჭოების შემცირება. მათი გამსხვილება, ცალკეულ შემთხვევაში, გაზრდაც კი. აქ მხედველობაში გვაქვს ახალი სადისერტაციო საბჭოს შექმნა პოლიტიკურ მეცნიერებათა სფეროში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის ბაზაზე. მით უმეტეს, თანამედროვე ვითარებაში უაღრესად დიდია ინტერესი პოლიტიკისა და პოლიტიკური ტექნოლოგიებისადმი, როგორც ახალი დარგისადმი საქართველოში. მოხსენიებულ დაწესებულებებში მეცნიერების დოქტორთა რაოდენობა სრულიად საკმარისია საბჭოების დასაკომპლექტებლად.

5. სეს-მ მიზანმიმართულად, პერიოდულად უნდა განახორციელოს სადისერტაციო საბჭოების შემადგენლობის როტაცია, რათა თავიდან აიცილოს საბჭოების ინერტულობა, ლიბერალიზმი, კომპეტენციის დაკარგვა და ა. შ.

6. სეს-ს მიერ ღირსეული სამეცნიერო კადრების მომზადების მიზნით, უნდა დადგინდეს საკანდიდატო დისერტაციის დაცვიდან რა ვადაშია (3-7 წელი) შესაძლებელი სადოქტორო დისერტაციის დაცვა.

7. სეს-მ უნდა განსაზღვროს დისერტაციისთვის გამიზნულ ნაშრომთა რაოდენობა, მაგრამ აუცილებლად გვეჩვენება მათ შორის ერთი მონოგრაფიული გამოკვლევის წარმოდგენა სადისერტაციო თემიდან.

8. შესამცირებელია სეს-ის შემადგენლობაც. თუმცა მის სექციებში უცილობლად უნდა იყვნენ წარმოდგენილი თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სხვა სამეცნიერო დაწესებულებების და უმაღლესი სასწავლებლების რეკომენდებული მეცნიერები, რომლებიც იმავდროულად არ იქნებიან სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეები ან მოადგილეები.

9. სეს-ს ცალკეული რგოლების საქმიანობის გააქტიურების მიზნით, უმჯობესი იქნებოდა სამეცნიერო დარგების გამიჯვნა ან, უკიდურეს შემთხვევაში, მონათესავე სექციაში გაერთიანება (მაგ. ისტორიისა და პოლიტოლოგიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურის, ეკონომიკის, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის და ა. შ.).

10. სეს-მ უნდა განიხილოს საკითხი დიდი სამეცნიერო ტრადიციების უმაღლეს სასწავლებლებს (თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტები), მათი ფართო ავტონომიიდან გამომდინარე, ჰქონდეთ უფლება თვითონ მიანიჭონ და დაუმტკიცონ დისერტანტებს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, როგორც ეს პრაქტიკაშია საზღვარგარეთის ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებში.

ამ შემთხვევაში სეს ამ დოქტორების მხოლოდ რეგისტრაციით უნდა შემოიფარგლოს.

11. სადისერტაციო თემების მიმართ დისერტანტების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად შესაძლებლად გვეჩვენება სეს-ს არაოფიციალური რეცენზენტი ოპონენტების ინსტიტუტის შემოღება.

იგორ კვესელავა,
ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის გამგე, პროფესორი;

ლადო ჭანუყვაძე,
პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი.

ფიქრები ხმამაღლა

ზნეობრიობას თან გაჰყვა პატრიოტიზმის გრძნობა

ჯერ კიდევ უძველეს დროში ასეთი ფრთიანი ფრაზა არსებობდა: „თუ გინდა ქვეყანა გაანადგურო, მისი ახალგაზრდობა უნდა გარყვნა“. არ ვიცი, რომელ ქვეყანას აქვს დასახული ეს მიზანი, მაგრამ ჩვენში ნელნელა უფსკრულის ძირი რომ ახლოვდება, მგონი, საკამათო არ არის. განა როდისმე შეგვეძლო იმის წარმოდგენა, რომ 9-10 წლის მეძავები ან ამავე ასაკის ნარკომანები გვეყოლებოდა? ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია!

არ შეიძლება ნაწილობრივ არ დაეთანხმო იმ აზრს, რომ მეძავები გაჭირვებამ მოამრავლა. განა მარტო მან? გადახედეთ საგაზეთო ჯიხურებს თუ ქუჩაში მოვაჭრე ურიკებს, სადაც პორნოგრაფიული გაზეთების გამოფენაა, თანაც სურათების უმრავლესობაზე ლამაზმანები გამოხატულნი არიან ათასგვარ პოზაში (უმეტესად, დედიშობილა) და ეს უკვე ჩვენთვის ჩვეულებრივ ამბად იქცა. ჩვეულებრივი ამბავია ნახევრად შიშველი მოზარდების („თინეიჯერების“) ქუჩაში სიარულიც. ყველაზე დიდი პარადოქსი მაინც ის არის, რომ ჭიპგაშიშვლებულებში ბევრი 40 წელს გადაცილებულიც ურევია. ამ ხნის ქალბატონები ისე აცუნდრუკებულან, რომ თავი 17-18 წლის გოგონებად მოაქვთ.

ზოგიერთი ამ პორნოგაზეთების გამოსვლას ამართლებს, აქაოდა, ახალგაზრდობამ ყველაფერი უნდა იცოდესო, ეს ერის გამრავლებას ხელს შეუწყობსო და ა. შ. სინამდვილეში კი რა ხდება? ეს ადვილი მისახვედრია, — ეს „პორნონაგავის“ მაფიაა. ამით ერთეულები მდიდრდებიან, მრავალი კი იხრწნება.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ტელევიზიის ერთ-ერთ გადაცემას „ქალწულთა ინსტიტუტი“ ერქვა. არ ვიცი, რა მიზანი ჰქონდათ ამ „ინსტიტუტის“ დამაარსებლებს, რადგან მას სასიკეთოს ვერ დავარქმევდით. იქ გამოსულ ზოგიერთ ქალბატონს მიაჩნდა, რომ გათხოვებამდე ქალწულად დარჩენა ჩვენს ჩამორჩენილობაზე, ჩვენს „გოიმობაზე“ მიუთითებდა. ჯერ დრო ატარე როგორც გინდა, შემდეგ კი გათხოვდიო. და ეს ყველაფერი ჩვენთან უკვე ხდება. ჩვენთან, სადაც ქალთა სისპეტაკეს და კდემამოსილებას ყოველთვის დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ვინ იცის, რამდენ ქართველ ქალს მოუსწრაფია სიცოცხლე მას შემდეგ, როდესაც ძალადატანების მსხვერპლი გამხდარა.

თითქმის ყოველ ნაბიჯზე ახალგაზრდებისგან ისმის „ჩემი დედა“... ეს ყველაფერი ხომ უზნეობის დიდი გამოხატულებაა. მოდით, ზნეობრიობის განმარტება ლექსიკონს დავესესხოთ: „ზნეობრიობა — შინაგანი სულიერი თვისება, რომლითაც ადამიანი ხელმძღვანელობს და ამ თვისებებით გამოსახული ყოფაქცევის წესები და ეთიკური ნორმები“. დღეს ეს ყოფაქცევის წესები და ეთიკური ნორმები აღარავის ახსოვს, აღარავის აინტერესებს. არა მგონია, უმოკლეს ხანებში ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალოს, რადგან, სამწუხაროდ, ამის ნიშნები არსად შეიმჩნევა.

დღეს ყველაფერ კომუნისტურს ვებრძვით. არაფერი მათი არ მოგვწონს და გვავიწყდება, რომ ბევრი რამ კარგი ჰქონდათ.

რუსი პედაგოგი მაკარენკო წერდა: „ბავშვის ტვინი სუფთა დაფაა, რაზედაც პედაგოგი იმას დასწერს, რაც მოესურვება“. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბოლშევიკები მაწანწალა ბავშვებს იჭერდნენ, კოლონიებში აგზავნიდნენ და თავიანთი იდეებით ზრდიდნენ. ამ იდეების განმტკიცებას ემსახურებოდა სავალდებულო სწავლების შემოღება, პიონერული თუ კომკავშირული ორგანიზაციების დაარსება... თავისებური იყო პრესა, ტელევიზია, კინო და თეატრი... მათ დიდი აღმზრდელობითი ფუნქციები ჰქონდათ.

ახლა გადავხედოთ, თუ რა ხდება დღეს ჩვენს ქვეყანაში. ირგვლივ მათხოვარ, მეძავ, ნარკომან ბავშვთა ნაკადია. დადიან უპატრონოდ, უგზო-უკვლოდ. ნუთუ არ ვფიქრობთ, რომ ეს ჩვენი გენოფონდია, ეს ჩვენი მომავალია და ჩვენივე ხელით ვუთხრით სამარეს საკუთარ ქვეყანას?

ამჟამად ყველას პირზე დემოკრატია აკერია. არადა, უფრო ანარქიაა.

საინტერესოა, რომელი უფრო მოგვესადაგება დღესდღეობით? მე მგონი, უმრავლესობის აზრი მეორისაკენ გადაიხრება, ძალიან უნდა მოვიწადინოთ, რომ სადმე წესრიგი დავინახოთ. ვგონებ, ასეთი სფერო, სამწუხაროდ, არც გაგვაჩნია.

ერთ დროს რუსთაველის პროსპექტი თბილისელთათვის სათაყვანებელი ადგილი იყო. აქ ასეირნებდი ჩამოსულ სტუმარს, და მისი სილამაზით თავს იწონებდი. ახლა რას წარმოადგენს იგი? ულამაზო ქუჩას, რომლის ტროტუარებიც ჩახერგილია „ახალი ქართველების“ მანქანებით. ხალხს სიარული უჭირს. დიახ, სიარული, თორემ სასეირნოდ ვიღას სცალია!

ზნეობრიობას თან გაჰყვა პატრიოტიზმის გრძნობაც. პატრიოტიზმი თავისი სამშობლოსა და ხალხის სიყვარულსა და ერთგულებას ნიშნავს. შეიძლება კი ადამიანს სამშობლო არ უყვარდეს? ის ხომ ის ქვეყანაა, სადაც დაიბადა და გაიზარდა. სწორედ ამ სიყვარულის განსახიერება იყო ჩვენი ხალხის თავგანწირული ბრძოლები მომხდური მტრის წინააღმდეგ.

სამშობლოს სიყვარული მარტო ბრძოლაში არ ყალიბდება. იგი ყალიბდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. სამშობლოს სიყვარული ბავშვობიდან უნდა შევისწავლოთ, დედის რძესთან ერთად უნდა შევითვისოთ, რაშიც, რა თქმა უნდა, მშობლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ტელევიზიას, რადგან მას ყველაზე ხალხმრავალი აუდიტორია ჰყავს. სამწუხაროდ, ჩვენი ტელევიზია გატაცებულია გადმოქართულებული უცხო ფილმების ჩვენებით. პირველ არხს ერთ ხანს გამოყოფილი ჰქონდა კვირაში ერთი დღე — ორშაბათი ქართული ფილმის საჩვენებლად, მაგრამ ეს დღე საკმაოდ მალე დაიკარგა.

ტელევიზია ამჟამად სანახაობრიობის თითქმის ერთადერთი წყარო დარჩა ათასობით ადამიანისათვის, რადგან თეატრებსა და კინოში ბილეთი საკმაოდ ძვირია. მისი როლი აღმზრდელობით სფეროში საკმაოდ დიდია. ამიტომ გადაცემათა პროგრამის შედგენას საკმაოდ ფაქიზი მოპყრობა სჭირდება. თუ ჩვენი ეროვნულობა გაქრა, მორჩა ყველაფერი!

მინდა ჩვენს ტელეინფორმაციებზეც შევჩერდე. ბევრჯერ ისინი არათუ პატრიოტიზმითაა გამსჭვალული, არამედ ქვეყნის საზიანოდაცაა მიმართული. აქაოდა, ენას ძვალი არა აქვსო, ზოგიერთი ჩვენი ჟურნალისტი იმას ლაპარაკობს, რაც მოესურვება და არ უფიქრდება, რომ მას მილიონობით ადამიანი უყურებს (განსაკუთრებით „რუსთავი-2“-ს), რომელთა შორისაც მრავალი არაკეთილმოსურნეა. რატომღაც ჩვენს კორესპონდენტებს ავიწყდებათ ხალხური სიბრძნე — „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“. ხანდახან სენსაციაზე მონადირე ყოველგვარ ზღვარს გადადის. ასე იყო, როდესაც უღრან ტყეში ორ გახსნილ კონსერვის ქილას დიდი ამბით აჩვენებდნენ, სწორედ აქ იდგა გელაევის ხუთასკაციანი რაზმიო. და ჩვენ ჩრდილოელ მეზობელსაც რა უნდოდა, საბაბი გაუჩნდა და საქართველოც დაბომბეს, კაციც მოგვიკლეს. საკვირველი იყო, ზოგიერთი სამხედრო და პოლიციის ოფიცრის გამოსვლაც. ეკრანზე პრიმა-ბალერინებით თავს იწონებდნენ და დაწვრილებით ჰყვებოდნენ თუ პანკისის ხეობაში რა მიზნით იყვნენ ჩასული, საიდან და რომელ საგუშაგოზე იყვნენ განაწილებულნი. მათ გასაგონად ვამბობ: — თქვე დალოცვილიშვილებო, მანდ იარაღით იმყოფებით, ე. ი. საბრძოლო დავალებას ასრულებთ, და, ალბათ, მეტი თავდაჭერილობა გმართებთ!

თუ გვინდა ვიცხოვროთ თავისუფალ, გამართულ ქვეყანაში, მის საკეთილდღეოდ გონიერულად უნდა ვიაზროვნოთ და გონივრულადვე ვიცხოვროთ!

ანზორ მჭედლიშვილი.

ეროვნული თანხმობის დარბაზი

სამი პრობლემა და ამდენივე ალტერნატიული ვარიანტი

მეფის რუსეთის შორს გამიზნულმა ამბიციურმა პოლიტიკამ, რომელსაც ის თავის დროზე კავკასიის მიმართ ღიად ახორციელებდა, კომუნისტების მმართველობის პერიოდში საგრძნობი სახეცვლილება განიცადა. მან უფრო შენიღბული სახე მიიღო, მაგრამ სისტემის ნგრევის შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსულმა „დემოკრატებმა“ უგულებელყვეს, ამ მხრივ, წინამორბედთა მიერ აღებული კურსი და მათ წინააღმდეგ, ვინც უღელქვეშ ძველებურად ყოფნა არ ისურვა, აშკარა აგრესიაზე გადავიდნენ. თანაც კაცმა არ იცის, უახლოეს მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები.

სამომავლოდ, სწორედ ამ ავისმომასწავებელმა ფაქტორმა, დააყენა დღის წესრიგში კავკასიის ხალხთა გაერთიანების საკითხი, რომლის ინიციატორიც კავკასიური კონფედერაციაა (თავმჯდომარე — ზაალ კასრელიშვილი). პროექტით „მშვიდობისა და სტაბილურობისათვის კავკასიის რეგიონში“ გათვალისწინებულია საერთო კავკასიური სამშვიდობო ფორუმის შექმნა, რომელიც თანასწორუფლებიანი პრინციპით გააერთიანებს კავკასიელებს.

აღნიშნული პროექტის განხილვას მიეძღვნა ჟურნალისტთა სახლში ამას წინათ გამართული ეროვნული თანხმობის დარბაზის მორიგი სხდომა, რომელიც საზოგადოებრივი, პოლიტიკური პარტიების და საპარლამენტო დელეგაციების დიალოგში ჩართვის გზით ეცდება კავკასიაში საღეისოდ არსებული სიტუაციის განმუხტვას, ურთიერთნდობის აღდგენას და საერთო ენის გამონახვას.

პროექტის მიხედვით კავკასიისთვის ყოვლისმომცველ მშვიდობის პაქტს კი ხელი უნდა მოაწერონ კავკასიის ქვეყნებმა და მისი უშუალო მეზობლების, რუსეთის, თურქეთისა და ირანის ხელმძღვანელებმაც, რომლებიც ჩვენზე არანაკლებ უნდა იყვნენ დაინტერესებული კავკასიაში მშვიდობის დამყარებით. მანამდე კი სადღეისოდ არსებული პრობლემები ფართო საზოგადოების განსჯის საგანი უნდა გახდეს. თავის დროზე ამ პრობლემებს სათანადო გულისყურით რომ მოვკიდებოდით, დღეს აფხაზეთი დაკარგული არ გვექნებოდა.

საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობით გარკვეული როლი აკისრია და ეს ფაქტი დღეს გეგმაზომიერად და ჭკვიანურად უნდა გამოვიყენოთ.

ასეთია დარბაზის წევრთა ერთსულოვანი აზრი.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო დღის წესრიგის მეორე საკითხი, რომელიც აფხაზეთის თემას ეხებოდა. იმ დღეს კიდევ ერთხელ იჩინა თავი ქართველთა მიმტევებლურმა ხასიათმა აფხაზეთისა და აფხაზების მიმართ. მათი აზრით, ურიგო არ იქნება, თუ გაეროს მეშვიდე მუხლის გამოყენებამდე კიდევ ერთხელ მივმართავთ სახალხო დიპლომატიას. მათი აზრით, დღეს აფხაზეთში საკმაოდაა საღად მოაზროვნე ძალები, რომელთაც, სეპარატისტთა ხელისუფლებისაგან განსხვავებით, ქართველი ხალხის მიმართ სიძულვილი არ ამოძრავებთ. ისინი დღეს საღად უყურებენ და აფასებენ ჩვენი საერთო მტრის მიერ ჩვენს შორის ჩამოგდებულ შუღლს, რაც უბედურების მომტანი აღმოჩნდა როგორც აფხაზების, ისე ქართველებისთვისაც. სახალხო დიპლომატიისა და ხელისუფლების სწორი, გონივრული პოლიტიკის განხორციელებით კი ამის მიღწევა, მით უფრო ამ ეტაპზე, რთული არ უნდა იყოს.

საქართველომ თავისი კონსტიტუციური უფლებები უნდა გამოიყენოს. უამისოდ ქვეყანა ვერ იქვეყნებს. სამწუხაროდ, ერეკლე მეორის მიერ ერთმორწმუნე ერის აქ მოწვევა, თავის დროზე, იმის შედეგი იყო, რომ ვერ შევძელით საერთო ენის გამონახვა ჩვენს ჩრდილო კავკასიელ მეზობლებთან, რომლებიც გამუდმებით თავს გვესხმოდნენ და...

დღეს როცა ქვეყანა გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფება, თავს შეცდომების დაშვების უფლება არ უნდა მივცეთ.

დარბაზის წევრთა შორის, ასევე ცხარე დისკუსია გამოიწვია ალტერნატიული საარჩევნო კანონპროექტის განხილვამ, რომელიც ეროვნული თანხმობის დარბაზის სახელით დამსწრეთ ვახტანგ ძაბირაძემ წარუდგინა.

როგორც მან აღნიშნა, არსებული რეალობიდან გამომდინარე, უკვე არსებობს იმის საშიშროება, რომ პარლამენტს გარეთ დარჩენილი ძალები დესტაბილიზაციის მიზნით ქუჩაში გამოვიდნენ.

ამ უსიამოვნებების (რომელსაც ვინ იცის, რა შედეგები მოჰყვება) თავიდან აშორების მიზნით კი საჭიროა დემოკრატიული კანონმდებლობის მიღება და ახალი ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევა, რაც, მათი აზრით, თავისთავად გამორიცხავს გაყალბებას.

ასეთია დარბაზის წევრთა საერთო აზრი აღნიშნული პრობლემების მიმართ, რომელთა დროულ გადაჭრას ისინი სამომავლოდ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

მხარე

პროექტების რეალიზება მალე დაიწყება

ზესტაფონში მუნიციპალური პროგრამით, მსოფლიო ბანკის და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, მთავრდება ორი წყალსადენის პროექტი.

პირველი პროექტის მიხედვით, კვალითის მთებიდან, 7-8 კილომეტრის სიგრძეზე, დამონტაჟდება მილსადენები, საიდანაც თვითდინებით მიეწოდება წყალი ქალაქის კვალითის დასახლებას. წყალი ყველა მაღლივ ბინაში ააღწევს.

მეორე პროექტით, 4-5 კილომეტრი სიგრძის მილსადენით, ყვირილის მარცხენა სანაპიროდან მიეწოდება სასმელი წყალი ქალაქს.

წყალსადენები 1500-ზე მეტ ოჯახს მოემსახურება. ამასთან, მუნიციპალური პროგრამით და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით კვალითის დასახლების ცენტრალური ქუჩა 24 ათას კვადრატულ მეტრზე მოასფალტდება. გათვალისწინებულია, აგრეთვე, სხვა ქუჩების და ტროტუარების შეკეთება-მოპირკეთების სამუშაოები.

მალე პროექტების რეალიზაცია დაიწყება.

ჰენრი შარიძაძე,
„სრ“ საკ. კორ.

ავარიის შემდეგ

საყრდენი კაცები

სულაც არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ დემოკრატიულ ფასეულობათა ძიების ლაბირინთებში თანამედროვე ჟურნალისტიკას დაეკარგა ყველაზე მთავარი — რიგითი ადამიანი, უბრალო, შრომითა და ოფლით ლელოს გამტანი მუშაკაცი, სოფელ-ქვეყნის იმედ-საყრდენი და ერის ბურჯი. არა და გულდასაწყვეტია ზიზილ-პიპილოს და ჭრელა-ჭრულას გადაყოლილს თვალთახედვის არედან გამოგვრჩეს უმნიშვნელოვანესი, მარადიული. მადლობა უფალს, რომ კაცს ჯერ კიდევ შემორჩა ადამიანური ჩვევები და ამიტომაც ისევ სჭირდება მოფერება, მიალერსება, იმედიანი სიტყვა და ნუგეში.

ასეთ ადამიანებთან შეხვედრა ხომ სიამეს მოგვგვრის და აღტაცებას განგვაცდევინებს, დავუშვათ, ეს ემოციურობის გამოა, მაგრამ მათი უმწიკვლო ღვაწლით ხომ საქვეყნო და სახალხო საქმე კეთდება. ჩემი აზრით, მათზე წერა სამადლობელის თქმა.

ამას წინათ, ერთ პატარა ხიდზე ასეთი სურათი ვნახე. ხერხემალში გადამსხვრეულ ხიდზე მრავალტონიანი ვაგონები ჩაკიდებულიყო, ხიდსაც და ვაგონებსაც ფორმა და ფერი დაჰკარგვოდა. ულმობელ ხანძარს თავისი სიავე დაეტრიალებინა და ახლა ჯერი კაცის გარჯაზე მიმდგარიყო, გზა 24 საათში უნდა აღმდგარიყო, მოძრაობა უნდა განახლებულიყო.

ხიდისა და ვაგონების ქვეშ ხუთიოდე კაცი ფუსფუსებდა. თებერვლის იმ ყინვიან დილით ოფლი ღვარად სდიოდათ. ჯერ კიდევ მხურვალებას გამოსცემდა ხანძრის ნალოკი ლითონი. ჩაფხუტიანთა ხუთეული მაჯისსიმსხო ბაგირებს ამაგრებდა ჩახერგილ ვაგონებზე. მერე მდგრადობა გაუსინჯეს ჩაბმულ კაუჭებს. აუჩქარებლად ხელსაქმობდნენ, გულდინჯად. ესენი რომ საკეთებელს მორჩნენ და უხიფათო ადგილიდან ნიშანი მისცეს, აგუგუნდა და აძიგძიგდა თვითმავალი, შესაბამისად იმაბებოდა ინტერესი — დაძლევდა ამწე ჯართადქცეულ მრავალტონიან ტვირთს თუ სულაც ჩაიქცეოდა იავარქმნილი ხიდი ამწითურთ? იყო ამის საშიშროება, დიახაც, იყო და ირგვლივ შეგროვილ ხალხს, ნამდვილად შემიძლია განვაცხადო, რომ იმჟამად სხვა საფიქრალ-სადარდებელი არა ჰქონდა.

ხალხი, როგორც საიმედო ფალავანს, ისე შესცქეროდა ამწეს. აუცილებლად ასწევსო, — გავიგონე გვერდით მდგომი კაცისგან, — ნოდარისა და გურამის დაუძლეველი საქმე ჯერ არ მინახავსო. ამწის იმედიც ჰქონდათ, გერმანული წარმოებისა ყოფილა. რკინიგზის ხელმძღვანელობას ახლახან შეუძენია და გამოცდა, როგორც იტყვიან, ადრევე ჩაუბარებია, 135 ტონა ტვირთს ძლევსო.

გაიმართა ამწის ისარი, აწრიპინდნენ გორგოლაჭები და 80-მდე ტონიანი ვაგონი დაეკიდა ჰაერში. შვებით ამოისუნთქა ხალხმა. დანარჩენი საკეთებელი, როგორც თქვეს, ტექნიკის საქმე იყო, მეორე და მესამე ვაგონი შედარებით უმტკივნეულოდ ამოიღეს. ამის პარალელურად, ათობით კაცი ხიდის დაშლას შესდგომოდა, მეორე ჯგუფი კი ახლის გამართვას იწყებდა.

ენა იტყვის უბრალოდ, თორემ ყველა ამ საქმეს განუზომელი ენერგია და გულისხმევა სჭირდება. აქ დაუშვებელია ცდომილება, ურთიერთშეუთანხმებლობა, წაფუჩებული საქმე.

მატარებელთა მოძრაობა ზუსტად გათვლილ დროს აღსდგა. შვებით ამოისუნთქა დიდმა თუ პატარამ. აღმდგენი მატარებლის ჯგუფი ტექნიკურ აღჭურვილობას ალაგებდა. ახლა შეიძლებოდა მათთან გასაუბრება. მათი უფროსი ვალერი გრიგოლავა დავიმარტოხელე. უძილო და დაქანცული იყო, არ იმჩნევდა, მაგრამ დაწითლებული თვალები თავისსას ამბობდნენ.

— გუშინ ამწეს რომ პირველი ვაგონი ამოჰქონდა, შეამჩნევდით, როგორ ვღელავდით. ერთმა ხანდაზმულმა კაცმა მაშინვე გიწინასწარმეტყველათ გამარჯვება. ნოდარი და გურამი ახსენა, შეუძლებელს შესძლებენო, ვინ არიან ისინი?

— ამწის მემანქანეები არიან. ნოდარ თარგამაძე და გურამ ზამთარაძე.

— როგორც მითხრეს, თქვენი ჯგუფი განსაკუთრებულად გამორჩეული ხალხით არის დაკომპლექტებული. ვის დაასახელებდით?

— სულ ოცდაათნი ვართ. ვფიქრობ, გამიჭირდება ვინმეს გამოყოფა.

— რატომ უნდა გაგიჭირდეთ, — საუბარში სამტრედიის ტერიტორიული სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსი მერაბ წილოსანი ჩაგვერია, — მაგალითად, თქვენი მოადგილე ომარ გოჩალეიშვილი, თამაზ ჯულაყიძე, ზურაბ ლეჟავა, ნუგზარ კობესოვი, უშანგი ლობჟანიძე, დავით გოჩალეიშვილი, ზურაბ ჩიგია. ესენი არ იყვნენ, ამას წინათ მადლობა რომ გამოვუცხადეთ სამმართველოს დირექტორის ბრძანებით?

— ჰო, მაგრამ იმაშიც დამეთანხმეთ, რომ ჩვენთან განურჩევლად ყველა გულითადი და საყრდენი კაცია. მუშაობა ერთთავად ექსტრემალურ პირობებში გვიხდება. თითოეული მუშაკი ორ-სამ პროფესიას ფლობს და ბაგირის ჩაბმიდან ამწის მემანქანეობით დამთავრებული, ყველა საქმე საპასუხისმგებლოა.

— ხომ არავის დაუმატებდით?

— არა, საკმარისია, ისე ჩვენ ოცდაათნი ვართ, ერთ მუშტად შეკრული ოცდაათი კაცი.

საყრდენი კაცები, როგორც მათმა უფროსმა ბრძანა, შორიახლოს სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან იდგნენ, დიახ, იდგნენ, რადგან სუფრა ხელის ურიკაზე დადებულ ფიცარზე იყო გაშლილი და ალალ ლუკმას შეექცეოდნენ.

დავით ასპურავა,
„სრ“ საკ. კორ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 54. ხუთშაბათი, 27 თებერვალი, 2003 წელი.

სხვა გაზეთიდან

გორაკზე აღმართულა სადამის ბაბილონი

„მინდა, ერთ მშვენიერ დილით გავიღვიძო და შევიტყო, რომ ყოველივე ის, რასაც ომზე ლაპარაკობენ, მხოლოდ ღამის საშინელი კოშმარი იყო“, – განუცხადა რუს ჟურნალისტებს ერაყელმა მინისტრმა ალ-ჰაშემიმ. სამწუხაროა, მაგრამ ასეთ ოცნებას ახდომა არ უწერია. ექსპერტთა შეფასებით, ამერიკელები ერაყის წინააღმდეგ ლაშქრობაზე მხოლოდ ორ შემთხვევაში აიღებენ ხელს: თუ სადამ ჰუსეინი ნებაყოფლობით დათმობს ხელისუფლებას, ან ბაღდადში თუ მოხდება სახელმწიფო გადატრიალება. ერაყის პოლიტიკურ რეალიებში ჩახედული კაცისათვის კი ასეთი რამ ძნელი დასაჯერებელია. რა თქმა უნდა, ევროპას, ჩინეთსა და რუსეთს შეუძლიათ შეიმუშაონ რომელიმე გენიალური სამშვიდობო გეგმა. მაგრამ მაშინ ვაშინგტონი ყველაფერს იღონებს საიმისოდ, რომ შეუშალოს ხელი მის განხორციელებას. სხვათა შორის, მსგავსი პრეცედენტი უკვე იყო წინა ომის დროს. ერაყელთა მიერ ქუვეითის ოკუპაციის შემდეგ, საუდის არაბეთის თავდაცვის მინისტრს პრინც სულთანს დაებადა გონებამახვილური იდეა. პრინცმა მოიფიქრა, თუ როგორ შეეძლო გამოეყვანა ჯარები ქუვეითიდან სადამს და თანაც ისე, რომ შეენარჩუნებინა თავისი სახე. ამერიკელთა რეაქციამ არ დააყოვნა. თეთრი სახლიდან ტელეფონით დაუკავშირდნენ საუდის არაბეთის მეფეს. მან კი, თავის მხრივ, მკაცრად დატუქსა პრინცი...

ასე რომ, სადღეისოდ ომის მალე დაწყების ალბათობა 90-პროცენტიან ზღვარს აჭარბებს.

მხატვარი ახმედი 200 დოლარს მოულობს.

სადამ ჰუსეინის პირველი პორტრეტი ვიხილე ჯერ კიდევ მაშინ, როცა თვითმფრინავი არცკი შეხებოდა ერაყის მიწას. „სადამის“ აეროპორტის ასაფრენი ბილიკის მახლობლად განლაგებულ ანგარს ამშვენებდა საყვარელი ლიდერის უზარმაზარი გამოსახულება. საშუალოდ, ერაყის ქალაქების ქუჩებში პრეზიდენტის პორტრეტი ყოველ 50 მეტრში შეგხვდება კაცს. მაღაზიებსა და ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში, როგორც წესი, ერთმანეთის გვერდითაა გამოფენილი სადამის სამი-ოთხი სურათი მაინც. ძირითადი სახელმწიფო სამინისტროები კი ერთმანეთს ეჯიბრებიან შენობათა ფასადებზე ბელადის ქანდაკებათა რაოდენობის მიხედვით.

ჩემდა სამწუხაროდ, ამ დიდად დაფასებული ლიდერის პირადად ხილვა ვერ შევძელი. ამ ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში იგი სულ რამდენიმე უცხოელ ჟურნალისტს თუ შეხვედრია. თვით მაღალი რანგის რუსი პოლიტიკოსებიდანაც კი თითო-ოროლას თუ არგუნა ბედმა პირადი აუდიენცია სადამთან, როგორც ეს ჟირინოვსკიმ მოახერხა. თუმცა, არც ვლადიმერ ვოლფოვიჩს ჰქონია რაიმე გარანტია, რომ სწორედ ჰუსეინს ესაუბრა. უცხოელი ჯაშუშებისათვის თვალის ახვევის მიზნით, ერაყის ლიდერს, როგორც ამბობენ, რამდენიმე ორეული ჰყავს... ამიტომ, მხოლოდ „სადამის ადგილებში“ ექსკურსიებს უნდა დავჯერებულიყავით.

ჰუსეინმწერის სახელოსნოში

თუ მუხთალი ვაშინგტონი მაინც გაბედავს და აღმართავს ხელს სადამ ჰუსეინის წმიდათა წმიდა გვამზე, ეს მაშინათვე გამოიწვევს ერაყელი ხალხის რისხვას. მაგრამ განსაკუთრებით აღშფოთდებიან ადგილობრივი ფერმწერები. ბელადის გამოსახულებათა შექმნა ერაყში ერთ-ერთი ყველაზე სარფიანი ბიზნესია.

ბაღდადის ჩრდილიან ქუჩაზე მდებარე მხატვარ ახმედის სახელოსნოში უამრავი პეიზაჟი და ნატურმორტია. მაგრამ, როგორც თვით ახმედი აღიარებს, ამ სურათებს თითქმის არავინ ყიდულობს. მოსახლეობის მხოლოდ 1-2 პროცენტს თუ შეუძლია დართოს თავს ნება და გაიღოს ფული ხელოვნების ნიმუშის შესაძენად.

თუმცა ახმედი ბედს არ უჩივის. სახელოსნოს კუთხეში შევნიშნეთ სადამის უზარმაზარი ახლადდასრულებული პორტრეტი, რომლის წასაღებადაც სულ მალე მოვიდოდნენ ტრანსპორტის სამინისტროდან. ალბათ, ამ სახელმწიფო უწყებაში მთელი მუშაობა ჩაიშლებოდა, ბელადის ახალი სურათი რომ არ შეეძინათ. ამ შედევრის შექმნას ახმედმა ზუსტად ორი დღე მოანდომა, მისმა ჰონორარმა კი 200 დოლარი შეადგინა (ცნობისათვის: თვეში 5-8 დოლარი ხელფასი ერაყში ურიგო გამომუშავებად არ ითვლება). სულ კი მხატვრის კარიერის განმავლობაში ახმედმა საყვარელი ლიდერის 130 სურათის დახატვა მოასწრო. ყველაზე დიდმა ტილომ, რომელიც ბაღდადის რევოლუციის სასახლის ფასადისათვის შეუკვეთეს, ახმედს 800 დოლარი მოუტანა. ჩვეულებრივი ზომის ჰუსეინის პორტრეტები საშუალოდ 25-40 დოლარად ფასდება. ჰოდა, აბა რა გასაკვირია, თუ ახმედი ბედნიერად მიიჩნევს თავს. მხოლოდ ერთი ჭია უღრღნის გულს – იგი ჯერჯერობით არ არის მთელს ერაყში საუკეთესო „სადამმწერი“. ამ მხრივ პირველობას არავის უთმობს ქურთი სირუან ბარამი. „იგი ძალზე მაღალი ანაზღაურების მქონე მხატვარია, – გადაგვიხსნა გული ახმედმა. – სირუანს ორი მანქანა ჰყავს – 2002 წლის გამოშვების „ოპელი“ და ჯიპი „გრანდ ჩეროკი“. მე კი მხოლოდ 1969 წლის „ფოლკსვაგენით“ უნდა დავკმაყოფილდე! გარდა ამისა, სირუანს ცოლი არ ჰყავს, მე კი უნდა ვარჩინო ჩემი ოთხი შვილი და კიდევ თხუთმეტი სხვა ნათესავი!“

ბელადის საჩუქრების მუზეუმი

ჰუსეინისათვის მირთმეული საჩუქრების მუზეუმის შენობის ფოტოგადაღება, რომლის კოშკსაც უზარმაზარი საათი ამშვენებს, კატეგორიულად აკრძალულია. თუმცა, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ ასეთი აკრძალვა არ მოქმედებდა. ახლა კი, განმიმარტეს, რომ ერაყის სპეცსამსახურების ყოჩაღმა თანამშრომლებმა ფარდა ახადეს ამერიკელ იმპერიალისტთა ახალ ხრიკებს.

მუზეუმის პირველი დარბაზი ეძღვნება გლეხი ბიჭის – სადამის ერაყელთა დიდ ბელადად გადაქცევის ისტორიას. აქ საპატიო ადგილი უკავია ტყვიებით დაცხრილულ ძველმოდური ლიმუზინის ფოტოს. „ეს ჩვენმა მომავალმა პრეზიდენტმა ესროლა გენერალ ქასემის მაშინდელ პრემიერს, – ამაყად აგვიხსნა გიდმა. – მაგრამ, სამწუხაროდ, ააცილა!“ შემდეგ ფოტოზე აღბეჭდილია, თუ როგორ მიირთმევს კმაყოფილი სადამი მეგობრებთან ერთად ჩაის დიდ ღია ეზოში. ირკვევა, რომ ერაყელთა ყოფილი ბელადი, თურმე მაშინ საპყრობილეში იჯდა, სადაც მოხვდა იმის გამო, რომ ხალხის ბედნიერებისათვის იბრძოდა. იქვეა სადამის ვაჟის – უდეის ბავშვობისდროინდელი ფოტო. თურმე, ჩვილი ბავშვის საფენებში გახვეულ წერილებს გზავნიდა ჰუსეინი ციხიდან.

უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ სადამმა გამოიტანა დასკვნები ბურჟუაზიულ საპყრობილეში ყოფნიდან. ამჟამინდელ ერაყში თითქმის შეუძლებელია „რევოლუციის წინააღმდეგ წარმატებული შეთქმულების“ მოწყობა. ექსპერტთა გაანგარიშებით, ამჟამად ქვეყანაში მოქმედებს სულ ცოტა ექვსი დიდი სპეცსამსახური. ფორმალურად ყოველ მათგანს აქვს თავისი დამოუკიდებელი სამუშაო უბანი. მაგალითად, „ალ-ჰადი პროექტ 1858“ სამსახური ისმენს ხალხის მტრების სატელეფონო საუბრებს, „სადამის ფედაინები“ კი, რომელსაც პრეზიდენტის ვაჟი უდეი ხელმძღვანელობს, ახორციელებს პატრულირებას და ებრძვის კონტრაბანდას... მაგრამ, ერაყის სპეცსამსახურების ძირითადი საქმიანობაა ის, რომ გულმოდგინედ ადევნონ თვალყური ერთმანეთს. ხომ შეიძლება, ერთ-ერთ ასეთ სამსახურში ფეხი მოიკიდონ ჰუსეინის მტრებმა!

მხილებულ ხალხის მტრებს სადამის ქვეყანაში „მკაცრად, მაგრამ სამართლიანად“ ეპყრობიან. „ამნესტი ინტერნეიშნლის“ მონაცემებით, პატიმართა აღზრდის ყველაზე გავრცელებული მეთოდია ის, რომ მათ უკანა ტანში ტენიან გატეხილ ბოთლებს. სისასტიკეა, რა თქმა უნდა. მაგრამ, უბრალო ერაყელები მხურვალედ იწონებენ ასეთ ზომებს. ჩემმა ერთმა კოლეგამ შეძლო გასაუბრებოდა ქალბატონს, რომლის ქმარიც დილეგში იყო მოთავსებული. უნდა მოგესმინათ, რა ხოტბა-დიდებას ასხამდა ეს ქალბატონი სადამს მისი შორსმჭვრეტელობისა და სიბრძნისათვის. პრეზიდენტისადმი ერთგულების კიდევ უფრო ამაღელვებელი სხვა მაგალითებიცაა ცნობილი. რვა წლის წინათ, სადამის ორი ქალიშვილის ქმრებმა საქვეყნოდ შეირცხვინეს თავი, როცა ცოლებთან ერთად იორდანიაში გაიქცნენ. ჰუსეინმა დაიფიცა, რომ მიუტევებდა მათ ერაყში დაბრუნების შემთხვევაში. საბოლოოდ, შინდაბრუნებული სადამის ქალიშვილები უვნებლები დარჩნენ, სიძეები კი მათივე ნათესავებმა აქციეს ნაკუწ-ნაკუწ, რომლებმაც, თავის მხრივ, შემდეგ თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე...

მუზეუმის სხვა დარბაზებში გამოფენილია ის მრავალი საჩუქარი, რომლებიც ბელადს მსოფლიოს ყველა კუთხიდან გამოუგზავნეს.

პრეზიდენტი ათვალიერებს ქვეშევრდომთა მიერ გამოგზავნილ საჩუქრებს.

უცხოელთა მიერ მორთმეული ძღვენი გაცილებით მოკრძალებულად გამოიყურება. წერეთელმა, მაგალითად, ჰუსეინს უსახსოვრა თავისივე დამზადებული თეფში წარწერით: „სიკეთე ამარცხებს ბოროტებას“. ჟირინოვსკიმ – სურათი, რომელზეც კრემლია გამოსახული, და წიგნი – „რუსეთის ხალხების ლექსები სადამზე“. ჰუსეინის ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა მზიური ტაჯიკეთიდან მას აჩუქა „გზის მშენებლის რუსულ-ტაჯიკური ლექსიკონი“, რომელიც თვითონ შეადგინა. ამ ფონზე, ალბათ, ყველასგან გამოირჩევა პრეზიდენტ კუჩმას მიერ გაგზავნილი საჩუქარი. ლეონიდ დანიელის ძემ ბაღდადში გაგზავნა სადამ ჰუსეინის პორტრეტი, რომელიც უკრაინელმა ოსტატებმა ქარვის პატარ-პატარა ნატეხებისაგან შექმნეს.

სამაგიეროდ, ერაყელები არაფერს იშურებენ თავიანთი ლიდერისათვის. მუზეუმის ვრცელი დარბაზები სავსეა ეტლებით, სამეფო ტახტებით, საოქრომჭედლო ნაწარმითა და, რა თქმა უნდა, ხმლებითა და ავტომატებით... იქვეა მოთავსებული მშობელი ხალხისათვის სადამის მიერ გაგზავნილი ორი საპასუხო ძღვენი: მის მიერ შექმნილი წიგნი „დემოკრატია“, აგრეთვე ყურანის პირი, რომელიც პრეზიდენტის სისხლითაა დაწერილი.


ბაბილონის სასახლე ერთ-ერთი ყველაზე მოკრძალებულია ჰუსეინის სასახლეებს შორის.

ვერსალი ისვენებს

უძველესი ქალაქი ბაბილონი ახლა ნაკლებად თუ წააგავს მსოფლიო ტურისტულ ძეგლს. გერმანელებმა, რომლებმაც ამ ასიოდე წლის წინათ გათხარეს იგი, მაშინათვე წაიღეს ბერლინის მუზეუმში ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა. ერაყის ხელისუფლებამ კი სხვა ვერაფერი მოიგონა, გარდა იმისა, რომ ბაბილონი აღედგინათ თანამედროვე აგურით. ყოველივე ამის შედეგად, მაგალითად, ახლა ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების ადგილი ახალი რუსის დაუმთავრებელ ვილას უფრო წააგავს (ბაღდადს, სხვათა შორის, ბაბილონის გოდოლის აღდგენაც ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ, საბედნიეროდ, ამერიკელებთან დაწყებულმა ომმა ხელი შეუშალა ამ იდეის განხორციელებას).

მაგრამ მაინც, ერაყის ბლოკადის დაწყებამდე, 1990 წლამდე, ყოველთვიურად ბაბილონში ჩადიოდა 5 ათასი უცხოელი ტურისტი . „ახლა კი, ზოგჯერ ნახევარი წელი გავა ისე, რომ ერთ უცხოელსაც ვერ მოჰკრავ თვალს“, – დაიჩივლა ადგილობრივმა გიდმა მუჰამედმა. და მართლაც, მეფე ნაბუქოდონოსორის ხელახლა აშენებულ სასახლეში ჩვენ მხოლოდ ერაყის სკოლების უფროსკლასელთა ჯგუფი ვნახეთ. გაგვაოცა ბავშვების საქციელმა – ისინი ხტოდნენ, ტაშს უკრავდნენ და ერთხმად გაიძახოდნენ: „იცოდე ბუშ! ჩვენ ყველას გვიყვარს სადამი!“.

თუმცა, მალე გაირკვა, რომ ბლოკადა სულაც არ ყოფილა იმის მთავარი მიზეზი, რომ უცხოელები ერიდებიან ბაბილონში ჩასვლას. საინტერესო კადრის გადაღების იმედით სულ უფრო ღრმად შევდიოდით ძველი ქალაქის ქუჩების ლაბირინთში. და ყოველი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ სულ უფრო მეტად ღიზიანდებოდა ჩვენი ჯგუფის თანმხლები ორი პირი – „სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული ერაყელი ხელოვნებათმცოდნეები“. ისინი უკვე ისტერიულად მოითხოვდნენ, რომ უკან გავბრუნებულიყავით და ჯგუფს შევერთებოდით. შემდეგ კი, ქალაქის კედელთან შაშხანებით შეიარაღებული ჯარისკაცებიც გამოჩნდნენ. იქაურთა ასეთი უცნაური ქცევის გამო ჩემი გაოცება დიდხანს არ გაგრძელებულა. უცრად ბაბილონის გვერდით მდებარე ბორცვზე გამოჩნდა სასახლე, რომელიც არც ერთ ტურისტულ რუკაზე არ არის აღნიშნული. ეს გახლდათ სადამ ჰუსეინის იმ 52 სასახლეთაგან ერთ-ერთი, რომლებიც მთელი ერაყის ტერიტორიაზეა მიმობნეული.

სადამის ბაბილონის რეზიდენციაში განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ იგი სულ ცოტა ხნის წინათ ააგეს. საერთაშორისო ბლოკადის დაწყების შემდეგ, როგორც ცნობილია, უბრალო ერაყელებს არ ჰყოფნით ფული თვით აუცილებელი საქონლის შესაძენადაც კი. მაგრამ საყვარელი ბელადისათვის მყუდრო რეზიდენციის ასაგებად ხალხი სახსრებს არ იშურებს. ექსპერტების შეფასებით, ამ ბოლო წლებში თავისი სასახლეების მშენებლობისა და განახლებისათვის ჰუსეინმა 2 მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა.

თავისი მოცულობით ჰუსეინის ბაბილონის სასახლე მნიშვნელოვნად აღემატება ნაბუქოდონოსორისას. მაგრამ, სადამის საზომით, ამას მხოლოდ კომუნალური ბინის ოთახს თუ შევადარებთ. თვით სიტყვა „სასახლეც“ კი ძალზე მოკრძალებული ეპითეტია ერაყელი ბელადის რეზიდენციის აღწერისათვის. ეს მთელი ქალაქი უფროა. მაგალითად, ბაღდადის რესპუბლიკის სასახლე 700 შენობისაგან შედგება! ჰუსეინისათვის ფრანგების მიერ აშენებული მეორე სასახლე კი განთქმულია იმით, რომ იგი ვერსალს სიდიდით ზუსტად ხუთჯერ აღემატება. ექსპერტები დღემდე კამათობენ იმაზე, თუ სადამის რომელი სასახლეა ყველაზე დიდი. ერთნი პირველობის შტოს ანიჭებენ ჰუსეინის მშობლიურ ქალაქ თიქრითში მდებარე სასახლეს, მეორენი კი ირანის საზღვრის მახლობლად აშენებულ ახალთახალ რეზიდენციაზე მიანიშნებენ. ეს კოხტა „სახლი“, რომელსაც 4 კვადრატული კილომეტრი ფართობი უკავია, პირდაპირ ხელოვნური ტბის ზედაპირზეა აშენებული. ამ ტბის წყლით შესავსებად კი თვით სახელგანთქმულ ტიგროსს შეუცვალეს კალაპოტი...

გაზეთი „მოსკოვსკი კომსომოლეცი“, 19.02. 2003 წ.

თარგმნა **ზაზა ბეჟანიძემ.**

• რუსეთი ლიდერობს იარაღის ექსპორტის მიხედვით
• ბალკანეთში კვლავ დაძაბულობა
• რა მოჰყვება მაგატეს დასკვნას?

რუსეთის იარაღის ექსპორტში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი სამხედრო თვითმფრინავებს უკავია

რუსეთმა 2002 წელს დაამყარა რეკორდი საზღვარგარეთ იარაღის გაყიდვის მიხედვით.

როგორც უცხოეთის სახელმწიფოებთან რუსეთის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ დიმიტრიევმა თქვა, 2002 წელს რუსეთმა 4,8 მილიარდი დოლარის იარაღი და სამხედრო ტექნოლოგიები გაყიდა, რაც თითქმის მილიარდი დოლარით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

ეს მხოლოდ წინასწარი ციფრებია, მაგრამ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვიმსჯელოთ რუსული სამხედრო ექსპორტის მკვეთრ ზრდაზე.

ზედიზედ მეექვსე წელია იზრდება რუსული შეიარაღების ექსპორტი. 1997 წლიდან კი, მისი მოცულობა ორი მესამედით გაიზარდა. გაყიდული შეიარაღების ნომინალური ფასების მიხედვით, რუსეთი ამჟამად მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს ჩამორჩება.

მაგრამ, შეიარაღების პრობლემებზე მომუშავე ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუტი – სტოკჰოლმის მშვიდობის პრობლემათა საერთაშორისო ინსტიტუტი – გვთავაზობს გაანგარიშების სხვაგვარ მეთოდიკას, რომლის მიხედვითაც რუსეთმა უკვე ჩამოიტოვა უკან ამერიკის შეერთებული შტატები და გახდა მსოფლიოში იარაღის უდიდესი ექსპორტიორი.

ფორმალურად, რუსული შეიარაღების ექსპორტის ამჟამინდელი მოცულობა 80-იანი წლების საბჭოური ექსპორტის დონის თითქმის მესამედს შეადგენს. მაგალითად, 1981-1991 წლების პერიოდში სსრ კავშირი მეგობრულ რეჟიმებს წელიწადში საშუალოდ 20 მილიარდი დოლარის შეიარაღებას აწვდიდა. თუმცა, „ცოცხალი ფულით“ მოსკოვი ამ თანხის მხოლოდ მეხუთედს თუ იღებდა. დანარჩენის მიწოდება ხდებოდა ან პოლიტიკური მოსაზრებით ვალის ანგარიშში, რომლის დაბრუნების იმედი სსრ კავშირში თითქმის არ ჰქონდათ (მაგალითად, ერაყს დღემდე მართებს რუსეთისა დაახლოებით 8 მილიარდი დოლარი), ანაც სსრ კავშირში საქონლის მოწოდების სანაცვლოდ.

ახლა კი პირიქით ხდება, რუსეთთან მიწოდებული იარაღისათვის ანგარიშსწორება ძირითადად ხორციელდება „ცოცხალი“ ფულით და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში – სასაქონლო მიწოდების, ან ძველი ვალების ანგარიშში.

რუსეთის ექსპორტის ძირითად მიზნად კვლავ რჩება განვითარებადი ქვეყნების ბაზრები. მაგრამ, როგორც დიმიტრიევმა განაცხადა, რუსეთი არ აპირებს დაარღვიოს კოოპერაციის საბაზო პრინციპები. კერძოდ, იმის მიუხედავად, რომ იარაღის ძალზე მიმზიდველი ბაზარია ახლო აღმოსავლეთი, რუსეთი ერიდება ამ რეგიონში იარაღის მსხვილი პარტიების გაყიდვას და ეს მოხდება მანამ, სანამ იქ არ დამყარდება სტაბილურობა.

მაგრამ მეორე „ცხელი“ რეგიონი – ინდოსტანის ნახევარკუნძული, სადაც გასულ წელს ომის გაჩაღების პირას იყო მისული ორი ბირთვული სახელმწიფო – ინდოეთი და პაკისტანი, ჩინეთთან ერთად, კვლავ რჩება რუსული შეიარაღების მთავარ შემსყიდველად.

რუსული იარაღის ტრადიციულ შემსყიდველებს ახლებიც დაემატნენ – ალჟირი, ვიეტნამი, საბერძნეთი, ქუვეითი, მალაიზია, აგრეთვე, აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები.

რუსული შეიარაღების ექსპორტში ძირითადი ადგილი კვლავ უკავია საავიაციო ტექნიკას. რუსეთის სტრატეგიისა და ტექნოლოგიათა ანალიზის ცენტრის მონაცემებით, 2002 წელს, მარტო „რუსეთთავდაცვაექსპორტის“ სახელმწიფო კომპანიის ხაზით ჩინეთში, ინდოეთში, ეთიოპიასა და შესაძლოა, ალჟირშიც გაიყიდა „სუ“ მარკის 60 თვითმფრინავი.

ექსპორტის დაახლოებით 15 პროცენტს შეადგენს ტანკები, რომელთა დიდი ნაწილი ინდოეთში იგზავნება. სულ კი რუსეთი შეიარაღების ბაზარზე 67 ქვეყანასთან თანამშრომლობს.

რუსული შეიარაღების ექსპორტის ბაზარზე დომინირებს „რუსეთშეიარაღების“ კომპანია. გარდა ამისა, შედარებით პატარა ფირმების წილად მოდის საზღვარგარეთ დადებული ყველა გარიგების დაახლოებით 15 პროცენტი.

რუსეთი აპირებს განახორციელოს თავდაცვითი მრეწველობის რეფორმირება და ამ მიზნით 1700-ზე მეტ თავდაცვით საწარმოს გარდაქმნიან 50-70 ჰოლდინგად.

სერბები კოსოვოელი მოთარეშეების თავდასხმისათვის ემზადებიან

სერბეთის ხელისუფლებას გაძლიერებულ საბრძოლო მზადყოფნაში მოჰყავს თავისი სამხედრო კონტინგენტი კოსოვოს საზღვარზე. ეს გამოწვეულია ამ ბოლო დღეებში პროვინციაში დაძაბულობის გამწვავებით.

როგორც სერბეთის ოფიციალური წარმომადგენლები აცხადებენ, მათ მიიღეს მონაცემები იმის თაობაზე, რომ კოსოვოელი ტერორისტები, როგორც მათ სერბეთში უწოდებენ, აპირებენ, განახორციელონ შეტევა რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილზე. ბელგრადში აცხადებენ, რომ ეს მონაცემები მათ მიიღეს კოსოვოში გაეროს მისიისაგან.

თუმცა, მისიის წარმომადგენელმა ბი-ბი-სის კორესპონდენტთან საუბრისას აღნიშნა, რომ გაეროს არა აქვს ასეთი ინფორმაცია და ორგანიზაციისათვის არაფერია ცნობილი იმის თაობაზე, გადასცეს თუ არა მსგავსი ცნობები სერბეთის ხელისუფლებას.

1999 წლიდან, ანუ ალბანელ უმცირესობასა და სერბეთის ძალებს შორის მწვავე კონფლიქტის შემდეგ, დაძაბულობა კოსოვოში მნიშვნელოვნად შენელდა. თუმცა, დრო და დრო იქ ხდება შეტაკებები, და, როგორც ჩანს, ახლა სწორედ ასეთი პერიოდი დადგა.

ამ ცოტა ხნის წინათ კოსოვოს პარლამენტის დეპუტატთა მესამედმა მოითხოვა სერბეთისგან მხარის დამოუკიდებლობის გამოცხადება, თუმცა, მოგვიანებით გადაიდო ამ საკითხის გადაწყვეტა. სერბეთის პრემიერ-მინისტრმა კი განაცხადა, რომ სერბთა ჯარებს უნდა დართონ კოსოვოში დაბრუნების ნება.

მთელი რიგი მიმომხილველების აზრით, ორივე მხარის ასეთი მანევრები პოლიტიკური თამაშია. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსგავს თამაშს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეუძლია სერიოზული კრიზისის შექმნა.

მოსკოვი – ვაშინგტონი: უთანხმოება კვლავ რჩება

მაღალი თანამდებობის ამერიკელი დიპლომატის გამონათქვამის დამოწმებით, „ფაინენშლ ტაიმსის“ მოსკოველი კორესპონდენტი აცხადებს, რომ ამ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში „რუსეთის არაოფიციალური მიმწოდებლები“ ცდილობდნენ ერაყში გაეყიდათ „იგლას“ ტიპის გადასატანი სარაკეტო დანადგარები. როგორც იტყობინებიან, საქონლის დანიშნულების ადგილს გულდასმით ნიღბავდნენ: ერაყის ნაცვლად დოკუმენტებში ფიგურირებდნენ მეზობელი ქვეყნები, მაგალითად, სირია.

გაზეთის ინფორმაციით, ეს ერთ-ერთ იმ გარიგებათაგანია, რომლის განხორციელებასაც ცდილობდნენ რუსი მიმწოდებლები, თუმცა, რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო ყოველივე ამის თავიდან აცილება, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ გეგმების არსებობის შესახებ მათ შეატყობინეს ამერიკელებმა, რომლებსაც ამის თაობაზე საკუთარი სადაზვერვო მონაცემები ჰქონდათ.

„ფაინენშლ ტაიმსის“ შეფასებით, ეს ეპიზოდი ხაზს უსვამს რუსეთისა და შეერთებული შტატების თანამშრომლობის ახალ დონეს, თუმცა, ამავე დროს იმ ფაქტზეც მიუთითებს, რომ მკაცრი სახელმწიფო კონტროლის მიუხედავად, რუსეთის შეიარაღების ექსპორტის სისტემას აშკარად აქვს სუსტი წერტილები. „რუსეთთავდაცვითექსპორტის“ და იმ ძალზე მცირერიცხოვან კომპანიათა წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნიათ საექსპორტო ლიცენზიები, ამტკიცებენ, რომ რუსული იარაღი ხშირად იყიდებოდა და ახლაც იყიდება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკიდან, კერძოდ, შუა აზიის რესპუბლიკებიდან.

გაზეთი შეგვახსენებს, რომ შარშან ნოემბერში კენიაში ისრაელის თვითმფრინავს ესროლეს

„სტრელას“ ტიპის ორი რაკეტა, რომელთა სერიული ნომრებითაც დადგინდა, რომ ისინი მოსკოვის ოლქში იყო დამზადებული. თუმცა, გაზეთი იმასაც დასძენს, რომ ქარხნიდან გამოშვების შემდეგ, ეს საქონელი შესაძლებელია არაერთგზის გადასულიყო ხელიდან ხელში, სანამ ტერორისტებთან მოხვდებოდა.

ამერიკელები, წერს „ფაინენშლ ტაიმსი“ აქამდე გამოთქვამდნენ დიდ გულისტკივილს იმის გამო, რომ იარაღს ბელორუსიიდან და უკრაინიდან აწვდიდნენ ერაყსა და სხვა „იზგოი-სახელმწიფოებს“. მაგრამ, რაკეტების შესახებ გამოქვეყნებული ეს ინფორმაცია უდავოდ ამახვილებს ყურადღებას „რუსეთის კავშირებზე და ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა მოსკოვი ცდილობს ერთის მხრივ „განამტკიცოს კავშირურთიერთობა შეერთებულ შტატებთან, მეორე მხრივ კი – არ სურს დაუჭიროს მხარი საომარი მოქმედების დაწყებას სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ“.

ამერიკელმა დიპლომატმა, რომელსაც ესაუბრა გაზეთის მოსკოველი კორესპონდენტი, ასევე გამოთქვა ვაშინგტონის უკმაყოფილება ირანთან რუსეთის თანამშრომლობის გამო, სადაც მოსკოვი აშენებს ბუშერის ატომურ ელექტროსადგურს. ამერიკელმა დიპლომატმა დასძინა: ვაშინგტონი ცდილობს მოსკოვისაგან მიიღოს იმის გარანტიები, რომ იგი აღარ ააშენებს ირანში ასეთი ტიპის სხვა ობიექტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატები არ მოუხსნის შეზღუდვას მოსკოვისათვის ფონდების მინიჭებას, რათა მან შეძლოს გააფართოვოს თავისი მონაწილეობა საერთაშორისო კოსმოსურ პროგრამაში.

ჩრდილოეთ კორეის საკითხს შეისწავლის გაეროს უშიშროების საბჭო

ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტომ (მაგატე) ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეამ დაარღვია ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ და საკითხი განსახილველად გადასცა გაეროს უშიშროების საბჭოს.

ასეთმა ნაბიჯმა, თუ გაეროს უშიშროების საბჭო დაეთანხმება მაგატეს დასკვნებს, შესაძლოა გამოიწვიოს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მთელი რიგი სანქციების და, მათ შორის, ეკონომიკური სანქციების შემოღება.

ფხენიანი უკვე აცხადებდა, რომ სანქციების შემოღებას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა მიიჩნევს ომის გამოცხადებად, მაგრამ მაგატეს გადაწყვეტილებას ფხენიანის ოფიციალური რეაქცია ჯერჯერობით არ მოჰყოლია.

ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს წევრი 35 ქვეყნიდან მხოლოდ რუსეთმა და კუბამ შეიკავეს თავი კენჭისყრის დროს. რუსეთმა მაგატეს გადაწყვეტილებას ნაადრევი უწოდა.

ამავე დროს, ამერიკის დაზვერვა იტყობინებოდა, რომ ჩრდილოეთ კორეამ შეიმუშავა ბალისტიკური რაკეტა, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს ამერიკის კალიფორნიის შტატამდე, თუმცა, როგორც მზვერავები ადასტურებენ, ამ რაკეტას ჯერ არ გაუვლია საფრენოსნო გამოცდები.

სეულში ყოფნისას ევროპის კავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორმა ხავიერ სოლანამ აღნიშნა, რომ ევროკავშირი მზად არის, რაც შეიძლება მალე გაგზავნოს ჩრდილოეთ კორეაში ამ ორგანიზაციის მაღალი თანამდებობის პირთა დელეგაცია. ხავიერ სოლანამ განაცხადა, რომ სანქციები ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ვერ შეუწყობს ხელს ამ ქვეყნის ბირთვული პროგრამის ირგვლივ შექმნილი კრიზისის მოგვარებას. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღებას არც ჩინეთი, იაპონია და სამხრეთ კორეა უჭერენ მხარს.

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის ირგვლივ კრიზისი დაიწყო შარშან ოქტომბერში, როცა ფხენიანმა აღიარა, რომ აწარმოებს ურანის გამდიდრების სამუშაოებს და ამით არღვევს 1994 წლის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას ეკრძალებოდა ასეთი სამუშაოების განხორციელება სათბობის მიწოდებისა და ორი ატომური რეაქტორის მშენებლობის სანაცვლოდ.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა **ზაზა ბეჟანიძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 54. ხუთშაბათი, 27 თებერვალი, 2003 წელი.

დაბადების 75 წლისთავისათვის

რამაზ ჩხიკვაძე: გავვოცდე და მაყურებელიც გავაოცო...



„საკუთარი ხელოვნებით ტკბობა“. — ასე განსაზღვრა ერთხელ საკუთარი შემოქმედებისადმი რამაზ ჩხიკვაძის დამოკიდებულება სერგეი გერასიმოვმა. ამ ტკბობაში, ხაზი გაუსვა მან, იოტისოდენადაც კი არ შეიმჩნევა პატივმოყვარეობით გაჯერებული ის აქტიორული ნარცისიზმი, რომლის შედეგადაც ოდესღაც მიგნებული ხერხის ჩარჩოებს ვეღარ სცილდება მსახიობი და მისი შემოქმედება ერთფეროვანი და მოსაწყენი ხდება მაყურებლისთვისაც. რამაზ ჩხიკვაძეს მარადიული ძიების სტიმული ამოძრავებს. თორემ, აბა, სხვა რა არის მსახიობის თამაში, თუ არა უმაღლესი ტკბობის წყარო როგორც მისთვის, ისე მისი პარტნიორებისთვის სცენასა თუ ეკრანზე და, რა თქმა უნდა, ჩვენთვის, მისი მაყურებლებისთვისაც...

დღეს დიდი მსახიობი 75 წლის არის. როგორ სწრაფად გაირბინა წლებმა. ბევრს, ალბათ, ახსოვს ჩხიკვაძის პირველი ნაბიჯები დიდ სცენაზე. მის მიერ განსახიერებული როლი სპექტაკლში „ესპანელი მღვდელი“, სადაც მან მაყურებელი არა მარტო ბრწყინვალე აქტიორული შესრულებით მოხიბლა, არამედ შეუდარებელი ხმითაც. შემდეგ კი იყო შემოქმედებითი წარმატებები და ახალ გმირებთან შეხვედრების სიხარული თეატრსა თუ კინოში, რომელთაგან თითოეული მაყურებლისათვის დღესასწაულად იქცეოდა, მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიას კი ახალ ფურცლებს მატებდა...

ყოველი ახალი როლით მკვიდრდებოდა რამაზ ჩხიკვაძის ამპლუა, რომელიც ნაკარნახევი იყო მკაფიოდ გამოკვეთილი მონაცემებით, როგორიც არის პოეტურობა, მუსიკალურობა, კომედიური ექსცენტრიკისადმი აშკარა მიდრეკილება.

მსახიობის ნამსახურობის სიაში დაახლოებით ასი როლია, და თუ ვეცდებით მას მივუსადაგოთ ეს ძველმოდური ცნება „ამპლუა“, უნებლიეთ დაბნეულები შევჩერდებით. როგორია მისი აქტიორული პალიტრა? გროტესკი და უდიდესი პოეტურობა, კომედიურობა, მგზნებარება და ასკეტიზმი, ტრაგიკული მონოლოგი... და მაშინ გასაგები ხდება მსახიობის აღსარებაც. „მე ყველაზე მეტად მაშინებს ის, რომ არ გავმეორდე. ჩემთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს გარდასახვას, შინაგან ცვლილებას, მეტად ძვირფასია მოულოდნელი სიხარული, იმის შესაძლებლობა, რომ გავვოცდე თავად და გავაოცო მაყურებელი...“

და ასე იყო მუდამ. მაშინაც, როდესაც იგი ყვარყვარედ მოგვევლინა დიმიტრი ალექსიძის სპექტაკლში, მაშინაც, როდესაც აზდაკი შეასრულა სტურუას „კავკასიური ცარცის წრეში“ და მაშინაც, როდესაც მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლში „ჭინჭრაქა“ უარი თქვა მთავარ როლზე და ქოსას ეპიზოდური სახის შესრულებას დასჯერდა...

თითოეულ როლში სახეცვლილება მოთხოვნილებად იქცა არა მარტო მისთვის, არამედ მაყურებლისთვისაც. მან მიგვაჩვია ამ სახეცვლილებას, ამაშია სწორედ მისი ძალა. და როდესაც დაიდგა რიჩარდი, მაყურებელი უკვე შინაგანად იყო მზად ახალ, აქამდე უცნობ ჩხიკვაძესთან შესახვედრად. ეს ჩხიკვაძისეულ რიჩარდზე წერდა ცნობილი ინგლისელი კრიტიკოსი მაიკლ კოვენი დიდ ბრიტანეთში რუსთაველელთა გასტროლების დროს: „ჩხიკვაძე განეკუთვნება ყველაზე შთამბეჭდავ შემსრულებელთა რიცხვს, რომლებიც კი მინახავს... ახლა, ამბობენ, რომ რუსთაველის თეატრი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დადგამს „მეფე ლირს“, რომელშიც ჩხიკვაძე მთავარ როლს შეასრულებს. გარწმუნებთ, ბატონებო, მზად ვარ ფეხით ჩავიდე საქართველოში, ოღონდ კი ვნახო ეს სპექტაკლი!“... მალე შექსპირის სამშობლომ, ისე როგორც ათობით სხვა ქვეყანამ, რომლებიც უკვე იცნობდნენ მის აზდაკსა და რიჩარდს, იხილეს მისი ლირიც. ბრიტანეთის პრესამ ჩხიკვაძეს უწოდა „თანამედროვეობის დიდი მსახიობი“, „კავკასიელი ლოურენს ოლივიე“. ლონდონის „თაიმსი“ კი წერდა: „ქართველებს შეუძლიათ გვასწავლონ, როგორ დავდგათ შექსპირი...“

ბრწყინვალე რობერტ სტურუასთან შემოქმედებითი ურთიერთობის წლებმა გაამდიდრა მსახიობის საშემსრულებლო პალიტრა, გააფართოვა მისი ამპლუის ფარგლები.

დღეს იგი 75 წლის არის, ბევრს და დაძაბულად მუშაობს. ბოლო ხანს მას მოუწია ემუშავა საზღვარგარეთ, მონაწილეობა მიეღო გერმანულ, ფრანგულ ფილმებში. მშობლიური თეატრის სცენაზე „კავკასიური ცარცის წრის“ საიუბილეო სპექტაკლებში მან კვლავ გააოგნა პუბლიკა. ...

მეგობრები ამბობენ, რომ რამაზ ჩხიკვაძე მსახიობია ყველგან და ყოველთვის. იგი ყოველთვის ყურადღების ცენტრშია სცენაზე იქნება ეს, ეკრანზე, მეგობრების წრეში, სუფრასთან თუ შესვენებებზე, თუმცა ექიმები უკვე ურჩევენ, მოუფრთხილდეს ჯანმრთელობას, დაიოკოს ემოციები. ხშირად პარტნიორები უკმაყოფილებას გამოხატავენ, როდესაც სცენაზე ან კინოგადაღებების დროს იგი, მომენტს იხელთებს თუ არა, სხვებისათვის შეუმჩნევლად ახველებს, ხმას იწმინდავს. მაგრამ ეს ერთი წამით და კვლავ ცოცხლდება მაქციას ონავრული ნიღაბი, ისმის მომაჯადოებელი ხმა და სულგანაბული დარბაზი უსმენს თავისი კუმირის მონოლოგს. დიახ, სწორედ ასე ხდებოდა ყველგან და ყოველთვის, ყოველთვის, ამ ღვთივბოძებული ნიჭით დაჯილდოებულ მსახიობთან და ადამიანთან ყოველი შეხვედრისას. მასში ჰარმონიულად არის შერწყმული ტემპერამენტი და ოსტატობა, რომლის მეოხებითაც ამ ტემპერამენტს იგი აზრის ცხადად გამოკვეთის ფონად იყენებს. დიახ, ჩვენ ამას მივეჩვიეთ და არც გვსურს უარი ვთქვათ ამ „ჩვევაზე“. და დღეს, რამაზ ჩხიკვაძის საიუბილეო დღეებში, ისე როგორც მისი ნიჭის ათასობით თაყვანისმცემელი, საქინფორმის რედაქცია უერთდება მრავალრიცხოვან მილოცვებს და იუბილარისაგან ელის ახალ შემოქმედებით წარმატებებს, რადგან, დამეთანხმებით, მთელი ამ წლების განმავლობაში ეს ყველას ასე გვაკლდა!

სალიმა ჩიაევა,
საქინფორმის კორ.

უცნობი სიმართლე

„კომუნიზმისა და ნათელი მომავლის“ ფუძემდებელი — ყველაზე დიდი თაღლითი

უცნაურია ადამიანის ბუნება — თავისი კერპის თაღლითობის დამამტკიცებელი ათასგვარი ფაქტი რომ დაუწყო, აზრს მაინც არ შეიცვლის. ამგვარი მაგალითებისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. ავიღოთ თუნდაც „კომუნიზმის მოციქულის“, „კაპიტალის“ ავტორის კარლ მაქსის ცხოვრება. მისი იდეების უმეტესობამ პრაქტიკას ვერ გაუძლო (მარქსიზმის იდეების პოლიგონის — საბჭოთა კავშირის დაშლაც კმარა ამის დასამტკიცებლად). მაგრამ ბევრისთვის მარქსის სახელი შარავანდედითაა მოსილი, — „პროლეტარული სამოთხის“ ფუძემდებელი წმინდანის რანგშია აყვანილი.

საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და პირად ცხოვრებაში სხვადასხვა შეცდომისაგან არავინაა დაზღვეული. გამონაკლისს ამ მხრივ არც მარქსი წარმოადგენდა, მაგრამ მას შეეძლო თავისი შეცდომები ბრტყელ-ბრტყელი ლოზუნგებითა და ლამაზი სიტყვებით შეენიღბა. მარქსის ცხოვრებისეულ კრედოს წარმოადგენდა, რაც შეიძლება ნაკლები შრომით ყოველგვარი სიამოვნების მიღება. სწორედ ამ პრინციპის განსახორციელებლად დაუმეგობრდა იგი ფრიდრიხ ენგელსს. მდიდარი ფაბრიკანტის შვილი ადვილად წამოეგო მარქსის ლამაზ ლოზუნგებზე და მისი უტოპიური აზრების განსახორციელებლად მამის, თითქმის, მთელი სიმდიდრე მიუძღვნა. მარქსი მეგობრის ქონებას პროლეტარიატის ნათელი მომავლისათვის კი არ იყენებდა, არამედ რესტორნებსა და მანდილოსანთა წრეში ფლანგავდა. როდესაც თანხა შემოაკლდებოდა, მდიდარ მეგობართან წერილს აფრენდა, ვითომდა ფეხმძიმე ცოლის მისახედად თანხა სჭირდებოდა. ფულის მიღებისთანავე ავიწყდებოდა „მოსიყვარულე ქმრის“ მოვალეობა და მრავალრიცხოვან საყვარლებთან ორგიაში ეფლობოდა.

საბოლოოდ „უძღები ბელადი“ ისე გათავხედდა, რომ, როდესაც ენგელსისგან საჭირო თანხა ვერ მიიღო (ენგელსი ატყობინებდა, მამაჩემი შეუძლოდაა და ფულს ვერ გამოვართმევო) დაუფარავად მიახალა — მამაშენი ძაღლიშვილი და ტიპური ექსპლუატატორიაო.

წვეროსანი თეორეტიკოსის ყველა ახლობელი ერთხმად აღნიშნავდა: „მიუხედავად იმისა, რომ მარქსს ყოველთვის ჰქონდა თანხა, იგი მაინც ეგოიზმითა და ხელმოჭერილობით გამოირჩეოდა. გარდა ამ თვისებებისა, იგი მეტად ულმობელი იყო საკუთარი ოჯახის წევრებისა და დედის მიმართაც“.

მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერისა და ცნობილი გერმანელი პუბლიცისტის ფერდინანდ ლასალის არქივში ინახება მისდამი მიწერილი მარქსის ბარათი, სადაც „უძღები შვილი“ იტყობინება: „დედაჩემს გახვრეტილი გროშიც ვერ დავცანცლე. ისეთი ძუნწია, ყელშიც რომ წავუჭირო, ფულს მაინც არ მომცემს“. მკითხველისთვის, ალბათ, წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება დედის ამგვარად მოხსენიება 36 წლის ფილოსოფოსის მიერ.



თავად ფერდინანდსაც არ ასცდა მარქსის რისხვა. მიუხედავად იმისა, რომ მან მრავალჯერ გაუწია ფინანსური დახმარება. ერთხელ, როდესაც საჭირო თანხა ვერ მიაშველა, გაცეცხლებულმა კარლმა სახალხოდ გამოლანძღა. თვითმხილველები იგონებენ, პროლეტარიატის ბელადი უბრალო მეწაღესავით იგინებოდა და ბილწსიტყვაობდაო.

მაგრამ ცინიზმისა და დაუფასებლობის პიკად ითვლება მარქსის დამოკიდებულება რუსეთის მიმართ. რუსეთში, ევროპელებისგან განსხვავებით, მარქსს მხოლოდ მისი წიგნებით იცნობდნენ და წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა კაცი იყო ცხოვრებაში. მისმა უტოპიურმა იდეებმა რუსეთში ღრმად გაიდგა ფესვები. სხვათა შორის, მარქსის „კაპიტალი“ უცხო ენაზე პირველად რუსეთში ითარგმნა და პეტერბურგში დაისტამბა. თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ენგელსის ფულის გამომძალველს რუსეთის მიმართ, კარგად ჩანს „ნიუ-იორკ ტრიბუნისათვის“ სიცოცხლის ბოლოს მიცემულ ინტერვიუში: „მთელი ნახევარი საუკუნე ვებრძოდი რუსებს, თავს ვუბრუნებდი ჩემი შეგონებით, მაგრამ ისინი ყოველთვის ლმობიერად მექცეოდნენ“.

შუბი ხალთაში არ დაიმალება. ადრე თუ გვიან ყველაფერი გამჟღავნდა. ფაქტები? ფაქტები უამრავია, თანამედროვეთა მოგონებები, პირადი წერილები და საარქივო მასალები.

ყველაზე მთავარი — კარლ მარქსი რუსი და ევროპელი თანამოაზრეების წყალობით მსოფლიო ტერორიზმის ფუძემდებლადაც გადაიქცა. სახელმწიფო გადატრიალებები, მკვლელობები, ათასობით უდანაშაულო ადამიანთა რეპრესიები — ყველაფერი ეს „ნათელი მომავლის“ იდეებით შენიღბული მკვლელების ხელშეწყობითა და აქტიური მონაწილეობით ხდებოდა.

მოამზადა
მამუკა ვაშაკიძემ.

გამოიცა

განათლების ისტორიისათვის აჭარაში

განათლების დარგი საქართველოში ყოველთვის პრიორიტეტული იყო. ცხოვრების ყველა სფეროს თავისი განზომილება აქვს და ჩვენი ქვეყნის უძველესი მხარის, აჭარის განათლების ისტორია ქართველი ერის განათლებისა და კულტურის ისტორიის შემადგენელი ნაწილი იყო; იგი საქართველოს სახელმწიფოს საერთო კონტექსტში განიხილება. წიგნში „განათლების ისტორიისთვის აჭარაში“ მოხვედრილი ამ სფეროს მუშაკთა, მასწავლებელთა უმრავლესობას ვიცნობ. მათ, სკოლაში თუ აჭარის სკოლისგარეშე დაწესებულებებში არაერთხელ შევხვედრივარ, გავეცნობივარ მათ საქმიანობას და მათზე წერილებიც გამოქვეყნებულა პედაგოგიურ თუ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. რარიგ სასიამოვნოა, რომ ვახტანგ წულუკიძის ერთ წიგნად აკინძულ ნაშრომში ისინიც მოხვედრილან. მათ შორისაა ნანი გუგუნავა (ამჟამად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრი), სამაეთ გოგიბერიძე (ქობულეთის პირველი და ბობოყვათის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი, წლების განმავლობაში არაერთი სიახლის დამნერგავი), ალი თანდილავა (სოფელ სარფის სკოლის დირექტორი, ღვაწლმოსილი მასწავლებელი). ნუნუ დარჩია (მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი, მეთოდისტი), ლიანა სარიშვილი (ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი), ცნობილ პედაგოგთა ოჯახიდან რეზო ბოლქვაძე და თვითონაც 40 წლის განმავლობაში ბათუმის მოსწავლეთა პარკის დირექტორი და სხვები. ვახტანგ წულუკიძის წიგნიც, რომელიც აჭარის განათლების ისტორიას მოიცავს, ვრცლადაა გადმოცემული სწავლისა და აღზრდის როლი ამ მხარის განათლების სისტემაში, ლაპარაკია ქართველ განმანათლებელთა შეხედულებებზე და იმ პრინციპებზე, რომლებიც ეროვნული სკოლის მშენებლობას საფუძვლად უნდა დაედოს. ავტორს არც ის გამორჩენია, როცა შუა საუკუნეებში აჭარა, — მთლიანად სამხრეთ საქართველო, განათლებისა და კულტურის თვალთახედვით დაწინაურებული მხარე იყო. ნაშრომში კარგად არის წარმოჩენილი აჭარაში ქართული სკოლის გახსნისთვის პირობების მომზადების პერიოდი, და საერთოდ განათლების მდგომარეობა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან და XX საუკუნის 20-იან წლებამდე.

დანახულია იმ დროის ერის შვილების დიდი ღვაწლი; პირველ მასწავლებელთა თავდადებული მუშაობა და ადგილობივი მოწინავე პიროვნებების დიდი დამსახურება ქართულ, ეროვნული თვითშეგნების აღორძინებისათვის; გაანალიზებულია განათლების მდგომარეობა აჭარაში XX საუკუნის 20-იან წლებიდან, ამავე საუკუნის დასასრულამდე. ლაპარაკია, საყოველთაო სწავლების დარგში, საერთოდ, განათლების სფეროში მიღწეულ წარმატებებზე, გაანალიზებულია სასკოლო რეფორმები და ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებებიც.

სკოლის და სკოლამდელი დაწესებულებების გარდა წიგნის ავტორი აშუქებს აჭარაში საშუალო სოციალური და უმაღლესი განათლების ისტორიას. ავტორს ყურადღების მიღმა არც იმ პედაგოგთა მოღვაწეობა დარჩენია, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს აჭარაში მოსწავლეთა და სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების საქმეში.

ვახტანგ წულუკიძე, წლების განმავლობაში თავკაცობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სისტემას; იგი ადრე იყო სკოლაში ქართულის მასწავლებელიც, განათლების განყოფილების გამგეც, გაზეთ „აჭარის“ რედაქტორიც, მაგრამ, სადაც კი იმუშავა, აჭარის განათლების სისტემასთან კავშირი არ გაუწყვეტია. გამოქვეყნებული ჰქონდა 30-მდე მეცნიერული ნაშრომი, 300-ზე მეტი საგაზეთო თუ საჟურნალო პუბლიკაცია; განათლების საკითხებზე გამოსცა სამი წიგნიც, მათ შორის, „პირველი ქართული სკოლა აჭარაში“ (1982 წ.) „ეროვნული სკოლის მშენებლობის გზაზე“ (1995 წ.).

საქართველოში დღეს ფართო პლანით დგება განათლების სისტემის განახლების ახალი ტიპის ამოცანა, დროა მბრძანებელი, მას ყველამ უნდა აუწყოს ფეხი, ამ წიგნში ავტორის ასეთი ცდაც იგრძნობა.

ნათელა ფაილოძე.

პერიოდიკა

პატარა გაზეთის დიდი საქმე

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის მცხეთა-მთიანეთის დეპარტამენტის გაზეთი **„ენა ქართული“** პირველად შარშან მოევლინა ქართული პრესის დიდ ოჯახს. უკვე სათაური გვამცნობს მის მიზანსა და ამოცანებს. იმ პირველ ნომერს პირველივე გვერდზე გამოტანილი ჰქონდა ირაკლი აბაშიძის ლოცვასავით აღვლენილი „ო, ენავ, ჩემო, დედაო ენავ!“ აქვეა დაბეჭდილი დიდი სამების — ფარნავაზ მეფის, ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის პორტრეტები სათანადო მინაწერებით.

სამწუხაროდ, დიდი დრო გავიდა, ვიდრე მეორე ნომერი დღის სინათლეს იხილავდა. მიზეზი რედაქტორის, პოეტ ალექსანდრე დიდებაშვილის სიზარმაცე კი არა, უფულობაა... ამჯერად გაზეთს დახმარების ხელი გაუწოდა ქალაქ მცხეთის საკრებულოს თავმჯდომარემ შალვა ხამხაძემ. შედეგად ხელთა გვაქვს „ენა ქართულის“ ახალი ნომერი. მასაც, როგორც წინამორბედს, ასულდგმულებს ილიასეული მცნება — „მამული, ენა, სარწმუნოება“. როგორც საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე ლევან ღვინჯილია გაზეთში დაბეჭდილ ინტერვიუში ბრძანებს, მშობლიური ენის სიწმინდის დაცვა და განვითარება „სამარადჟამო საზრუნავია“. ამ თვალსაზრისს ადასტურებენ მწერლები აკაკი გეწაძე, გოდერძი ჩოხელი, სხვა ავტორები. სათაურებიც რომ „კაკალ გულში“ ხვდება! — „სიტყვა ხალხში იბადება“, „ქართული ქართველთ რწმენაა“, „ვაკმაროთ საქართველოს შემოკლება“, „სულხან-საბა — სიტყვის პაპა“, „მომავლის იმედი“...



გაზეთში თავისი ადგილი აქვს მიჩენილი კრიტიკულ შენიშვნებს, განმარტებებს, კურიოზებს, პარადოქსებს, გაფრთხილებას, სადაც ქართული ენის სიწმინდის დარღვევაში შემჩნეული ფაქტებია აღნუსხული. არის რუბრიკა „რეაგირება“, რომელიც ორიოდე სიტყვით იმათზეც მოგვითხრობს, ვინც შეცდომები უკვე გამოასწორა. საინტერესოა ლინგვისტური კროსვორდი.

ერთი სიტყვით, ამ მართლაც „კოკროჭინა“ გაზეთში პრობლემით დაინტერესებული ადამიანი ბევრ ჭკუისსაკითხავსა და დასამახსოვრებელს ამოიკითხავს. სამწუხაროდ, გაზეთი „ენა ქართული“ არ იყიდება — მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს ურიგდება და, ამდენად, ცოტა ძნელად ხელმისაწვდომია. ესეც იმ „უბრალო“ მიზეზით, რომ უფულობის გამო მცირე ტირაჟით იბეჭდება. ასეთი გამოცემები კი მართლა ჰაერივით გვჭირდება.

გუჯა რთველაძე.

ხუთშაბათი 27 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.15 მხ. ფილმი **"საგანგებო მდგომარეობა 2"** 11.40 დოკ. სერიალი "კონტაქტი" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.00 "ნაშუადღევს" 14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ბაზრები" 15.15 მხ. ფილმი **"ჯვარედინი"** 17.00 დოკ. სერიალი "წყვილები და დუეტები" 17.25 რამპა 17.30 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ჯანმრთელობა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 21.50 "სატელ. ჟურნალის ისტორია" 22.25 "საქართველო არის ესე" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი **"ოიდიპოს მეფე"** 01.35 ქართული ენის გაკვეთილი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"მარკიზ დე სადი"**

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი **"მედისონის სკოლა"** 19.05 სერიალი **"კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"** 20.05 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 00.05 მხ. ფილმი **"განრისხებული ფანტომასი"** მთ. რ-ში: ლუი დე ფიუნესი, ჟან მარე 02.10 კლასიკა

08.00 ანონსი, ალსავალი 08.05 დიალოგი 10.35 მხ. ფილმი **"ანგელოზთა მრისხანება"** 1-ლი ს. 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10 მხ.ფ. **"ანგელოზთა მრისხანება"** მე-2 ს. 14.30 დოკ. ფილმი 15.20, 18.00 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 16.20 მულტფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.30 კონცერტი 21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით) 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. **"ანგელოზთა მრისხანება"** მე-3 ს. 00.55 მხ.ფ. **"ანგელოზთა მრისხანება"** მე-4 ს. 02.10 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **"კაზინო"** 15.30 მხ. ფილმი **"პონეტი"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"მარვინის ოთახი"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"სახის გარეშე"**

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.00 რუსული ენის გაკვეთილი 11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 მუსიკალური კოლაჟი 12.30, 22.00 სალონი 14.00 ექიმი გვირჩევს 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "ერთი ერთზე" 20.30 მულტფილმი 21.00 მსოფლიო სპორტი 23.30 მხ. ფილმი **"ფანატი"**

IST

08.00 ტოროლა 11.00 განმ. ქართულ-უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი **"ადამიანები შავებში-2"** მთ. როლ-ში ტომი ლი ჯონსი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 მუსათეული მიქსი 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო **"ისეთი არაფერი მგზავრობა"** მთ. როლ-ში სტივ ზანი, პოლ უოკერი. 01.45 ფილმი ღამურა **"ჩვენ ვიყივაით ჯარისკაცები"** მთ. როლში მელ გიბსონი, მედლინ სტოუ. 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი **"პორასი და თინა"** 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** 12.45 მხ. ფილმი **"ინტრეპიდი"** 14.15 "ტელემეტრი" 14.45 "ევროპის სტადიონებზე" 15.10 დოკ. სერიალი "სუპერშეგრძნება" 15.45 მხ. ფილმი 18.00 მხ. სერიალი **"პორასი და თინა"** 18.40 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 20.00 დოკ. ფილმი "კანი, 400 დარტყმა" 1-ლი ნ. 21.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** 22.00 "ჩემი ქვეყანა" 22.10 მხ. ფილმი **"ლაბირინთი"** 00.20 მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** 00.45 მხ. ფილმი **"მაღალი ძაბვა"**

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.20 კომედია **"სამი ძმებილი"** 10.50 დოკუმენტური ფილმი 12.10 ისტორიული ფილმი **"მამაცი გული"** 15.00 დოკუმენტური ფილმი 16.10, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.15 მულტფილმი "ანასტასია" 17.20 მხატვრული ფილმი **"დათვი"** 19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "პირისპირ" 20.20 კომედია **"ვეფხვების მომთვინიერებელი"** 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.10 დოკუმენტური ფილმი 01.10 დრამა **"მარვინის ოთახი"** 03.30 მელოდრამა **"მოხეტიალე ვარსკვლავები"**

VII არხი

09.10 მელოდია 09.25 "აჩიკუდა" 09.45 მობილურები 10.10 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით 11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 11.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 12.10 "ბიორითმი" - სპაის გიოლზი . 12.30 აუდიო-ვიდეო-ტელე 13.00 დისნეი და მისი მეგობრები 13.20 კომპიუტერული თამაშები 13.40 კომპიუტერული ტექნიკა 18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 აუდიო-ვიდეო-ტელე 20.20 კომპიუტერული თამაშები 20.25 ღამის კაპრიზი" - თემა: "ჩემი მუსიკა". 21.25 მობილურები 22.10 რაგბი - ზეტ12 - ბრიზბენი - კანბერა 23.40 "კინოკლუბი " - **"სპარტაკი-1"**. ა.შ.შ. 1960 წელი. ცხოვრებისეული. რეჟისორი: სტენლი კუბრიკი. როლებში-კირკ დუგლასი ლორენს ოლივიე 01.05 კომპიუტერული ტექნიკა 01.35 "ბიორითმი" - სპაის გიოლზი .

პარასკევი 28 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.15 მხ. ფილმი **"ოიდიპოს მეფე"** 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 "მხოლოდ კლასიკა" 15.15 მხ. ფილმი **"ღარიბ შეყვარებულთა ქრონიკა"** 16.45 დოკ. სერიალი "კონტაქტი" 17.10 50-50 17.45 "ზუმი" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ენა დედაა ერისა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 21.50 "სატელ. ჟურნალის ისტორია" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი **"ამფეთქებელი"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 საქართველო არის ესე 21.00 დოკ. ფილმი 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"ურჩხულთა მეჯლისი"**

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი? 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი **"მედისონის სკოლა"** 19.05 სერიალი **"კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"** 20.05 სერიალი **"დატყვევებული გულები"** 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.05 მხ. ფილმი **"დავიწყებული მელოდია ფლეიტისათვის"** მთ. რ-ში: ლეონიდ ფილატოვი 02.10 მხ. ფილმი **"ნათლია 2"** მთ. რ-ში: რობერტ დე ნირო, ალ პაჩინო 04.00 კლასიკა

08.00 ანონსი, ალსავალი 08.05 დიალოგი 10.35 მხ. ფილმი **"ანგელოზთა მრისხანება"** მე-3 ს. 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10 მხ. ფილმი **"ანგელოზთა მრისხანება"** მე-4 ს. 14.30 დოკ. ფილმი 15.20, 18.00 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 16.20 მულტფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.30 "ნაცნობი უცნობი ამბები" 20.00 მხ.ფ. **"როკის მეფეები"** 22.00 დიალოგი 00.55 მხ. ფილმი **"სასიყვარულო წერილი"** 02.10 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **"სახის გარეშე"** 14.40 მხ. ფილმი **"ტყუპები"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"ფლიუკი"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"საცდელი დღე"**

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.00 რუსული ენის გაკვეთილი 11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 მუსიკალური კოლაჟი 12.30, 22.00 სალონი 14.00 ექიმი გვირჩევს 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "მომავალი" 20.00 ტელესერიალი **"ჩრდილოეთი-სამხრეთი"** 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 "გამარჯობა" 23.15 ძველი კინოკლასიკა მხატვრული ფილმი **"უპატიებელი"**

IST

08.00 ტოროლა 11.00 განმ. მიქსი მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი **"მოუქნელნი"**. მთ. როლ-ში სტივ ზანი, ჯეფ გოლდბლიუმი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 რუსული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 პაპარაცი 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 ფილმი ბრავო **"ვნება"** მთ. როლ-ში რიჩარდ გირი, დაინა ლეინი 02.15 ფილმი ღამურა **"ქარიშხალი"** მთ. როლ-ში კასპერ ვან დიენი, რობერტ ინგლუდი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.55, 23.40 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი **"პორასი და თინა"** 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** 12.35 მხ. ფილმი **"ლაბირინთი"** 14.15 "ჩემი ქვეყანა" 14.45 დოკ. ფილმი "კანი. 400 დარტყმა" 1-ლი ნ. 15.15 დოკ. სერიალი "სუპერშეგრძნება" 15.45 მხ. ფილმი **"მაღალი ძაბვა"** 18.00 მხ. სერიალი **"პორასი და თინა"** 18.40 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 20.00 დოკ. ფილმი "კანი. 400 დარტყმა" მე-2 ნ. 21.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ. ფილმი **"მკვლელის შვილი"** 00.20 მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** 00.45 მხ. ფილმი **"შეუპოვარი მაძიებლები"**

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 10.00 საბავშვო ფილმი **"პატარა პატრიოტი"** 12.15 სათავგადასავლო ფილმი **"აფიორა"** 14.35 კომედია **"ფორტუნა"** 16.15 მულტფილმი 17.35 ისტორიული დრამა **"ფარიკაობის მასწავლებელი"** 19.00 საინფორმაციო გამოშვება 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.25 "პრესდაიჯესტი" 19.30 მუსიკა 20.00 დრამა **"რომეო და ჯულიეტა"** 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.40 "გალერეა" 22.45, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 22.55, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05 "ალტერნატივა" 01.00 მხატვრული ფილმი **"ახალ ჰაუთენის"** 03.30 კომედია **"პარლემის ღამეები"**

VII არხი

09.15 მელოდია 09.35 "აჩიკუდა" 10.00 კომპიუტერული ტექნიკა 10.40 "ბიორითმი" - სპაის გიოლზი . 11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 11.40 მობილურები 12.25 დისნეი და მისი მეგობრები 12.50 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 13.25 "მელოდია" 13.50 კომპიუტერული თამაშები 14.00 "მელოდია" 14.10 აუდიო-ვიდეო-ტელე 18.20 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 კომპიუტერული თამაშები 19.45 "ობიექტივი" -სტუმარი 20.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.00 მელოდია 21.30 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 22.10 რაგბი - ზეტ12 - სიდნეი -ოკლენდი 23.00 "კინოკლუბი " - **"სპარტაკი-2"**. ა.შ.შ. 1960 წელი. ცხოვრებისეული. რეჟისორი: სტენლი კუბრიკი. როლებში-კირკ დუგლასი ლორენს ოლივიე 01.10 მობილურები 02.00 ბიორითმი" - სპაის გიოლზი.

შაბათი 1 მარტი

08.00, 20.00, 00.45 მოამბე 08.15 მხ. ფილმი **"ამფეთქებელი"** 09.40 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.00 დილის პაემანი 11.00 "ლატარია ყველასათვის" 11.10 "მხიარული კარუსელი" 11.40 დოკ. სერიალი "კონტაქტი" 11.55 "გლობუსი" 12.25 "მეტრო" 13.00 კვალი 13.30 დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" 14.25 "საქართველო, დრო, მოვლენები" 15.15 მხ. ფილმი **"ქარიანი ღამე"** 16.45 საწინდარი 17.15 "შემოქმედებითი პორტრეტი" ს. წერეთელი 17.40 რეალური სამყარო 18.00 ვესტნიკი 18.45 "თბილისის დროით" 19.05 "ენერგია" 19.35 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" 20.40 "ფორტუნა" 21.15 სერიალი **"ქალები ზღვისპირეთში"** 22.00 კონცერტი 23.00 მხ. ფილმი **"აღორძინების ეპოქის ადამიანი"** 02.30 ღამის ჯაზი

19.00 მულტფილმი 19.30 ორატორი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 "ახლო ხედი" 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ბუდარია 21.40 მხ. ფილმი **"ბნელი წარსული"**

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი **"ათასწლეული"** 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.45 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.00 სერიალი **"კოლომბო"** 18.00, 01.00 კურიერი 18.20 სერიალი **"კოლომბო"** 18.45 სერიალი **"სახლი ძველ უბანში"** 19.15 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 20.05 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.00 **კურიერი** P.S. 22.00 **ფსიქო.** მხ.ფ. **"ყველაზე ლამაზი"**. 01.15 მხ.ფ. **"ისტორია ივსი"** მთ. რ-ში: ედვარდ ნორტონი 03.20 ღამის ჯაზი

08.00 ანონსი, ალსავალი 08.05 დიალოგი 10.35 მხ. ფილმი **"როკის მეფეები"** 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა 12.40 მხ. ფილმი **"სასიყვარულო წერილი"** 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 15.20 დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** 16.30 მულტფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.00, 19.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი 21.00 დოკ. ფილმი 22.30 მხ.ფ. **"ბლანში"** 00.00 მხ.ფ. **"მოახლე ტიტანიკიდან"** 01.40 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **"საცდელი დღე"** 14.20 მხ. ფილმი **"ბრონქსის ისტორია"** 16.20 მხ. ფილმი **"უკანასკნელი მეტრო"** 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 მულტფილმი 21.00 მხ. ფილმი **"ანდროიდების კოლონია"** 22.30 მხ. ფილმი **"ტყუილი სამიზნე"** 00.20 მხ. ფილმი **"შოკოლადი"**

10.30 საოცარი პირამიდა 11.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 12.00 რუსული ენის გაკვეთილი 12.30 ინგლისური ენის გაკვეთილი 13.00 სალონი 14.30 ექიმი გვირჩევს 15.30 დოკ. ფილმი 16.00 ლაბირინთი 18.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 19.00 რუსული ენის გაკვეთილი 19.30 ინგლისური ენის გაკვეთილი 20.00 თინეიჯერი 21.00 ცეროდენა ვარსკვლავები 22.00 "და ღმერთმა შექმნა ქალი" 22.30 თეატრალური შეხვედრები 23.45 მხ. ფილმი **"ცრემლები წვიმაში"**

IST

09.00 განმ. რუსული მუსათეული 10.00 ტოროლა 13.00 განმ. უცნობი 14.00 SMS შოუ 17.00 ფილმი **"ო, ძმაო სად ხარ"** მთ. როლ-ში ჯორჯ კლუნი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 კვირის საუკ. ლექსები 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 ფილმი ბრავო **"ქარცვა"** მთ. როლში ჯინ ჰეკმანი, დენი დე ვიტო 01.50 ფილმი ღამურა **"ჰელოუნი-3"** მთ. როლ-ში ჯემი ლი კერტისი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი **"პორასი და თინა"** 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** 12.45 მხ. ფილმი **"მკვლელის შვილი"** 14.15 "ტელემეტრი" 14.45 დოკ. ფილმი "კანი. 400 დარტყმა" მე-2 ნ. 15.15 დოკ. სერიალი "სუპერშეგრძნება" 15.45 მხ. ფილმი **"შეუპოვარი მაძიებლები"** 18.00 მხ. სერიალი **"პორასი და თინა"** 18.40 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 გადაცემა "საუბრები სტუდიაში" 20.00 დოკ. ფილმი "კანი. 400 დარტყმა" მე-3 ნ. 21.00 დოკ. მუს. ფილმი "იგლზი" მე-2 ნ. 22.00 მარიონეტების ფილმი **"ყორანები"** 1-ლი ს. 22.15 კლუბი ყაზბეგი: 1. მხ. ფილმი **"კოლექი"** 77-83-28 2. მხ. ფილმი **"რითმი"** 77-83-29 3. მხ. ფილმი **"უსახო"** 77-83-30

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 მულტფილმი 09.40 საბავშვო ფილმი "პიფ, პაფ, ვაი, ვაი, ვაი" 12.15 მხატვრული ფილმი **"გუსარების ესკადრონი"** 1-2 სერია 15.00 დოკუმენტური ფილმი 16.15 მულტფილმი 17.40 კომედია **"ლიფტიდან მარცხნივ"** 19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.25 "ყველანი ვართ პატარები" 19.30 "პრესდაიჯესტი" 19.55 მელოდრამა **"შემოდგომის ლეგენდა"** 22.40 "პრესდაიჯესტი" 22.45, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.00 «Ñëî âî » 01.00 მელოდრამა **"ამერიკელი პრეზიდენტი"** 03.30 მელოდრამა **"შორეული შორეთი"**

VII არხი

18.10 მობილურები 18.50 მელოდია 18.55 კომპიუტერული თამაშები 19.00 "აჩიკუდა" 19.25 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით 19.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.15 "ღამის კაპრიზი" - თემა: მე-7 არხი 21.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.50 მელოდია 22.15 "კინოკლუბი " - **"ვაიდევია"** იტალია 1994 წელი. სათავგადასავლო. როლებში: დასტინ ხოფმანი 00.25 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -ესპანეთის ჩემპიონატი. 02.15 კომპიუტერული ტექნიკა

კვირა 2 მარტი

08.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი **"ხუმრობა"** 10.00 "დილის პაემანი" 11.05 "ამბები ჩვენზე" 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.05 "სპა" 12.35 "პრეს-სტუდია" 13.25 მოსკოვი-თბილისი 13.55 "ღამის ჯაზი" 14.25 არათბილისური ამბები 15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 15.15 დოკ. სერიალი "აეროშოუ" 16.30 სპექტაკლი "ძველი სამრეკლო" 17.40 ტელეზღაპარი 18.00 ტაიმ-აუტი 18.20 "ფრაგმენტები სურათისათვის" 18.50 პალიტრა 19.25 "ჩვენი მისამართია" 20.00 ტაიმ-აუტი 20.55 "ამბობენ" 21.25 ტელესერიალი **"ქალები ზღვისპირეთში"** 22.15 ქართ. მხ. ფილმი **"თბილისი ჩემი სახლია"** 23.50 ტაიმ-აუტი 00.20 მხ. ფილმი **"ჯონი მნემონიკი"**

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 დიზაინი 19.50 ტალანტები და თაყვანისმცემლები 20.30 საქართველოს მატიანე 21.00 მაღალი მოდის სამყარო (დოკ. ფილმი) 21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.00 შვიდეული 23.00 მხ. ფილმი **"ბედის საჩუქარი"**

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი **"ათასწლეული"** 11.50 სიმფსონები 12.50 მხ.ფილმი 14.35 ველური ბუნება 15.05 მხ. ფილმი 17.00 სერიალი **"კოლომბო"** 18.00, 00.40 კურიერი 18.20 სერიალი **"კოლომბო"** 18.45 სერიალი **"სახლი ძველ უბანში"** 19.15 ველური ამბები 20.00 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.00 60 წუთი 22.25 ჩვენ ეზო 22.40 "ჯეოსელის კინოკლუბი" - **"ჯუდი"** 8 77 45-79-25 კეიტ უინსლეტი, კრისტოფერ ეკლსტოუნი. **"დაცინვა"** 8 77 45-79-26, ჟან როშფორი, ფანი არდანი. **"კალაუზურება, ჭვეპა და მკვლელობა"** 8 77 45-79-27 მიშელ პფაიფერი, ბრაიან კერვინი. 00.50 მხ.ფ. **"იმპერატორი და მკვლელი"** მთ. რ-ში: ჩენ კაიგე, გუნ ლი. 03.30 კლასიკა.

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა 08.30 ახალი ამბები 09.00 მხ. ფილმი **"ბლანში"** 10.20 მხ.ფ. **"მოახლე ტიტანიკიდან"** 13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით) 19.30 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი **"კოსმოსის ტყვეობაში"** 22.00 ტელე-სინე-ვიდეო 23.00 მხ.ფ. **"მაცდური დღიური"** 00.50 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **"ანდროიდების კოლონია"** 13.30 მხ. ფილმი **"ტყუილი სამიზნე"** 15.00 მხ. ფილმი **"ბენ ბური"** 18.30 ჯაზ-პარნასი 19.00 ინდ. მხ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი **"მრბოლელი"** 00.10 მხ. ფილმი **"ყვავი"**

11.00 ცისკრის ზარები 11.05 ტელესერიალი **"ჩრდილოეთი-სამხრეთი"** 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.25 თბილისური ოჯახები 14.10 მხ. ფილმი **"რომეო და ჯულიეტა"** 16.00 - 18.00 რელიგიის საათი 18.00 დოკ. ფილმი 19.00 კითხვების კორიანტელი 19.20 მუსიკალური კოლაჟი 20.00 შეხვედრა ვარსკვლავთან 20.20 მოგზაურობა ბავშვობაში 20.40 თავისუფალი მიკროფონი 20.50 თქვენი აზრით 21.00 ტელესერიალი **"ჩრდილოეთი-სამხრეთი"** 22.00 "იდენ-ტვ" 22.30 საოცარი პირამიდა 23.30 მხ. ფილმი **"კერძო დეტექტივი"**

IST

10.00 ტოროლა 13.00 განმ. უცხოური მუსათეული 14.00 SMS შოუ 17.00 ფილმი **"მაკჰეილის ფლოტი"** მთ. როლ-ში ტომ არნოლდი, ტიმ კარი. 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 ქართული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 კვირის მელოდია 00.00 ფილმი ბრავო **"ტეხასის მეფე"** მთ. როლ-ში პატრიკ სტიუარტი 01.40 ფილმი ღამურა **"დოქტორ მოროს კუნძული"** მთ. როლ-ში ველ კილმერი, დევიდ ტიულისი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი **"პორასი და თინა"** 11.00 გადაცემა "საუბრები სტუდიაში" 12.00 დოკ. ფილმი "კანი. 400 დარტყმა" მე-3 ნ. 12.50 რუს. მხ. ფილმი **"ალექსანდრე ნეველი"** 14.55 მხ. ფილმი **"რითმი"** 16.35 მულტფილმი "სამყაროს შექმნა" 17.05 მხ. ფილმი **"სისხლიანი დანაშაული"** 19.00 გადაცემა "ბელისიმო" 19.30 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 გადაცემა "ოსტატები" 20.40 დოკ. სერიალი "ფოტორობოტი" მე-2 ს. 22.00 მარიონეტების ფილმი **"ყორანები"** 1-ლი ს. 22.15 მხ. ფილმი **"ჩრდილში"** 00.20 მხ. ფილმი **"ჯოჯოხეთში მიმავალი მატარებელი"**.

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.15 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.20 «Ñëî âî » 10.00 საბავშვო ფილმი **"პეპის კვირტი-4"** 11.45 "ყველანი ვართ პატარები" 12.15 თრილერი **"პერლ-ჰარლბორი"** 15.10 დოკუმენტური ფილმი 16.15 მულტფილმი 17.45 კომედია **"კავკასიელი ტყვე ქალი"** 19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.30 მელოდრამა **"შორეული შორეთი"** 22.30 «Í î âî ñòè â âî ñêðåñåíüå» 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.30 «Í î âî ñòè â âî ñêðåñåíüå» 00.40 თრილერი **"ქვეცი ბიჭები"** 02.20 დოკუმენტური ფილმი 03.30 მხატვრული ფილმი **"აფიორა"**

VII არხი

16.50 "ლა-ლა-ლა" 17.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 18.00 ევროპული ფეხბურთი 19.00 "აჩიკუდა" 19.50 კომპიუტერული თამაშები 20.00 ავტოტრეკინგი 20.50 "კინოკლუბი " - **"მისია"** იტალია 1988 წელი. სათავგადასავლო . როლებში: რობერტ დენირო 23.00 კომპიუტერული თამაშები 23.10 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა 23.20 მელოდია 23.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - იტალიის ჩემპიონატი. 01.20 მობილურები

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

saqarTvelos erovnuli bankis satendero komisia giwvevT

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, სატენდერო კომისიის 28.01.2003 წლის №1 სხდომის გადაწყვეტილებით, 2003 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებულ საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და მობილურ სატელეფონო კავშირების ოპერატორებზე გამავალი ზარების მომსახურეობაზე აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მომსახურეობა განხორციელდება 2003 წლის განმავლობაში. მომსახურეობის ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით, დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ(CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტ გოსტ-I-64.20.12; CPC-75212; I-64.20.13; CPC-75213; I-64.20.16; CPC-75231; I-64.20.17; CPC-75232;

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 17.00-სთ-მდე, სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს, რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება(ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზებული დაწესებულებიდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

ზ) ბოლო ხუთი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;

თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ი) მინდობილობა ხელისმომწერ უფლებამოსილ პირზე;

კ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

ლ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

მ) საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერთიფიკატი ან ნებათვა;

5. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო მონაცემებს, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სებ-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ №000904742 შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

7. საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს სატენდერო კომისია, საკვალიფიკაციო მონაცემთა წარდგენის ბოლო დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, რის შედეგადაც დადგინდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია, რომელიც 3 დღის ვადაში ეცნობებათ პრეტენდენტებს.

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნულ ბანკში მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5,საფოსტო ინდექსი 380005, ოთახი№124,125 ტელ./ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88.

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.

---

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, სატენდერო კომისიის 28.01.2003 წლის №1 სხდომის გადაწყვეტილებით, 2003 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებულ ქაღალდის საკანცელარიო ნაწარმის შესყიდვაზე აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2 მიწოდება განხორციელდება 2003 წლის განმავლობაში ეტაპობრივად, სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად, ქვემოთ მოცემული დასახელებების მიხედვით და საქონელი ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით, თავის დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ(CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტებს, კერძოდ:

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	მიწოდების ადგილი
1	პირგადასაღები ქაღალდი ა-4 ფორმატის გოსტ-D-DE-21.23.1; CPC-321l; HS/KN-4816, 4823.1	30000შეკვრა (ეტაპობრივი მიწოდებით)	საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5
2	პირგადასაღები ქაღალდი ა-3 ფორმატის გოსტ-D-DE-21.23.1; CPC-321l; HS/KN-4816, 4823.1	2500შეკვრა (ეტაპობრივი მიწოდებით)	საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5
3	ფაქსის ქაღალდი	400რულონი (ეტაპობრივი მიწოდებით)	საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5
4	პერფორირებული ქაღალდი 420მ-იანი გოსტ-D-DE-21.23.1 CPC-32199.2; HS/KN-4823.5	12000კგ (ეტაპობრივი მიწოდებით)	საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5
5	ცარცის ქაღალდი სხვადასხვა გოსტ-D-DE-21.12.53 CPC-32143.1l; HS/KN-4810.1,2	სებ-ის საჭიროებისამებრ (ეტაპობრივი მიწოდებით)	საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5
6	თვითპირგადასაღები ქაღალდი ა-4 გოსტ-D-DE-21.23.1; CPC-321l; HS/KN-4816, 4823.1	სებ-ის საჭიროებისამებრ (ეტაპობრივი მიწოდებით)	საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5
7	მუყაოს ქაღალდი	(ეტაპობრივი მიწოდებით)	საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 17.00-სთ-მდე სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს, რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება (ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზებული დაწესებულებიდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

ზ) ბოლო ხუთი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;

თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ი) მინდობილობა ხელისმომწერ უფლებამოსილ პირზე;

კ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

ლ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

5. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო მონაცემებს, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სებ-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ №000904742 შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

7. საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო მონაცემთა წარდგენის ბოლო დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, რის შედეგადაც დადგინდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია, რომელიც 3 დღის ვადაში ეცნობებათ პრეტენდენტებს.

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნულ ბანკში მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი№124,125 ტელ/ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.

---

1. საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის 28.01.2003 წლის №1 სხდომის ოქმის თანახმად, 2003 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებული საწვავის შეძენა-მოწოდებასა და ავტოგასამართ სადგურებზე მომსახურეობაზე, აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდება განხორციელდება 2003 წლის განმავლობაში ეტაპობრივად, საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ:

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა ლიტრებში	მიწოდების ადგილი
1	ბენზინი-„რეგულარი" ოქტანური რიცხვით არანაკლებ-91, გოსტ-2084-77, სსტ-41-2000	94000 (ეტაპობრივი მიწოდებით)	მიმწოდებლის ბენზინ გასამართი სადგური
2	ბენზინი-„სუპერი" ოქტანური რიცხვით არანაკლებ-98, გოსტ-2084-77, სსტ-41-2000	48000 (ეტაპობრივი მიწოდებით)	მიმწოდებლის ბენზინ გასამართი სადგური
3	დიზელი ლ-62 გოსტ-305-82	70000 (ეტაპობრივი მიწოდებით)	საქ. ეროვნული ბანკის ავტოპარკი გურგენიძის ქ.№3 და მიმწოდებლის ბენზინ გასამართი სადგური.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 17.00-სთ-მდე სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს, რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება(ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზებული დაწესებულებიდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

ზ) ბოლო ხუთი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;

თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ი) მინდობილობა ხელისმომწერ უფლებამოსილ პირზე;

კ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

ლ) საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერთიფიკატი ან ნებათვა;

მ) ქსელის განვითარების გეგმა როგორც თბილისში, ისე ქვეყნის მასშტაბით.

ნ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

5. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო მონაცემებს, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სებ-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული პირები აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ №000904742 შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

7. საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო მონაცემთა წარდგენის ბოლო დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, რის შედეგადაც დადგინდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია, რომელიც 3 დღის ვადაში ეცნობებათ პრეტენდენტებს.

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკი, ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი№124,125 ტელ./ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება

თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლისა, ვაქვეყნებთ ერთ პირთან მოლაპარაკების მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველოს მიერ მომწოდებელთან ა. წ. 3 თებერვალს გაფორმებულ ხელშეკრულებას:

№ ხელშეკრულების № და გაფორმების თარიღი	პროდუქციის დასახელება	საერთო ღირ. ლარებში
№ 02/2; 03.02.03 წ.	ბენზინი „რეგულარი", დიზელის საწვავი	182 400.

საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადებასთან დაკავშირებით იყიდება სს „კონცერნ საქგვირაბმშენის" უძრავ-მოძრავი ქონება, კერძოდ: ავტომანქანები, მათ შორის, „ჰუნდაის" წარმოების, სხვადასხვა სამშენებლო მექანიზმები, გვირაბის მშენებლობისთვის საჭირო ტექნიკა, კომპრესორები, ვენტილატორები და სხვა. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: შრომის სასახლე, მე-7 სართ. 717-ე ოთახი. სამშაბათს და ხუთშაბათს 12-16 სთ-მდე.

თაობა

უკვე გაუწყეთ, რომ მოსკოვში დამთავრდა „აეროფლოტის" ღია საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 500-მდე ქალ-ვაჟი მონაწილეობდა. უმთავრეს, A ჯგუფში 138 დიდოსტატი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. შეჯიბრებაში საქართველოს წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ. ყველაზე უკეთ ახალგაზრდა დიდოსტატმა მერაბ გაგუნაშვილმა (რეიტინგი 2563) იასპარეზა. მან ექვსი ქულით XI-XXVIII ადგილები გაიყო.

შეგახსენებთ, რომ ბოლო წლებში 18 წლის მოჭადრაკემ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. შარშან ევროპის პირად ჩემპიონატში IV ადგილი დაიკავა და მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მიიღო. ასევე მეოთხე იყო ბლედის საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს გუნდის შემადგენლობაში, ქართული ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდამ მოიპოვა დიდოსტატის წოდება.

ახალგაზრდა დიდოსტატი შორს იყურება

და აი, მერაბ გაგუნაშვილმა წლევანდელი სეზონიც იღბლიანად დაიწყო.

— „აეროფლოტის" ტურნირში შარშანაც ვმონაწილეობდი, — მითხრა მან. — მაშინ მხოლოდ 4,5 ქულა მოვაგროვე. წლეულს კი უფრო შედეგიანად ვიასპარეზე. პირველ ტურში თექვსმეტწლიანთა შორის მსოფლიო ჩემპიონ ლევან ფანცულაიას მოვუგე, მეორე ტურში კი რუსეთის ოლიმპიური გუნდის წევრი მოროზევიჩი (რეიტინგი 2678) დავამარცხე. სლავური დაცვა გავითამაშეთ. იგი მოროზევიჩის საყვარელი ვარიანტია. მეც არაერთხელ გამომიყენებია. თეთრი ფიგურებით ვთამაშობდი და მალევე მივაღწიე პოზიციურ უპირატესობას, რაც პარტიის ბოლომდე შევინარჩუნე. მე-40 სვლაზე მეტოქემ დანებების ნიშნად ხელი გამომიწოდა.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ბოლო ტურში მიღწეული წარმატება. ტურნირის პირველ ნომრად განთესილ ალექსანდრ გრიშჩუკს (2712) შევხვდი. ბლედის ოლიმპიადაზე იგი რუსეთის გუნდში მე-2 დაფაზე თამაშობდა. მართალია, ახალგაზრდაა (20 წლის), თუმცა საკმაოდ ძლიერი დიდოსტატია. იგი რეიტინგით მსოფლიოში მეათეა.

მეტოქეს დებიუტშივე ხარისხი შევწირე და კარგი კომპენსაციაც მივიღე. 46-ე სვლაზე გრიშჩუკი დამნებდა.

— ტურნირზე უკეთესი შედეგის მოპოვება თუ შეგეძლო?

— დღევანდელი გადასახედიდან, ცხადია, შეიძლებოდა. მესამე ტურში უკრაინელმა დიდოსტატმა მოისეენკომ დასაწყისშივე ყაიმი შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი. შავი ფიგურებით გაურკვეველ პოზიციაში ზედმეტ რისკზე წავედი და დავმარცხდი. მეშვიდე პარტიაში კი რუს დიდოსტატ ნოვიკოვთან მიგებული პარტია გავაყაიმე. ფაქტობრივად, ქულა დავკარგე, რითაც საპრიზო ადგილებზე გასვლა შემეძლო.

— მოსკოვში საქართველოს კიდევ 12 მოჭადრაკე გამოდიოდა. მათ შესახებ რას იტყვი?

— კარგად ითამაშეს ზვიად იზორიამ. B ჯგუფში — კონსტანტინე შანავამ, C ჯგუფში — ბაჩანა მორჩიაშვილმა. დასანანია, რომ B ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტი ნინო ხურციძე ავად გახდა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

— სამომავლოდ რას აპირებ?

— წლის ბოლოს მსოფლიო ჩემპიონატში ვიასპარეზებ, რისთვისაც ნორმალური მომზადებაა საჭირო. აპრილში დუბაის საერთაშორისო ტურნირში გამოვალ, სადაც საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს. ზაფხულში ევროპის პირად ჩემპიონატზეც მოვსინჯავ ძალებს. არის სხვა მნიშვნელოვანი შეჯიბრებებიც. ასე რომ, სეზონი დატვირთული მექნება. მთავარია, მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატებთან საასპარეზოდ სათანადოდ მოვემზადო.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

აქვე გაგაცნობთ გაგუნაშვილი — გრიშჩუკის პარტიას ქართველი დიდოსტატის მოკლე კომენტარით.

გაგუნაშვილი (2563) — გრიშჩუკი (2712)

ნიმცოვიჩის დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 კb4 4. e3 0-0 5. მf3 d5 6. კe2 (უფრო ხშირია 6. კd3) b6 7. 0-0 კb7 8. cd ed 9. a3 კd6 10. b4 a6 (ლe7 11. მb5) 11. ლb3 ლe7 12. ეb1 მbd7 13. კd3 მe4?! (13. ... ეfe8) 14. მd5! მd5 15. ლd5 მc3 16. ლc6! (16. ლb3 მb1 17. ლb1 h6 (ან g6) 18. e4 c5! ორმხრივი თამაშით) მb1 17. კb1 a5! (მf6 18. e4±; ეad8 18. e4±) 18. b5 ეad8 (მf6 19. a4 ეfe8; 19. e4!? კa3 20. e5 კომპენსაციით და ინიციატივით) 19. a4 f5! (მf6 20. e4+) 20. ლd5 (20. g3!?) მფh8 21. g3 (21. კf5 მc5!!+) g6 22. კa2! ეde8 (ლe4 23. ლe4 fe 24. მg5+) 23. ლc4 მf6 24. კb2 მe4 25. ეd1 (25. მe5!?; 23. ეc1? კa3!) 25. ... h5 26. მe5 მფh7 27. h4 ლg7 (27. ... g5 28. hg ლg5 29. მფg2 (იდეით ეh1) მg3 30. fg ეg8 31. g4!!+) 28. მფg2 ეd8.

ამ დროს დარბაზში შემოვიდა მსოფლიო ექს-ჩემპიონი ანატოლი კარპოვი და მეც გამახსენდა მისი შემოქმედებიდან პოზიციური სტილი. რაკი შავებმა ითამაშეს h5, დასუსტდა g5 პუნქტი, ამიტომ 29. მf3! (იდეით კb1) g5 30. hg მg5 31. d5! ლh6 (ლg8 32. ლh4+-; ლg6 32. მh4) 32. მh4 (იდეით კb1) ეde8 33. კb1 ეe4 (მe4 34. მf5 +-) 34. ეd4! ლf6 35. f4 ეe3 36. მf5 ეe1 37. კc2 მფg8 38. მd6 cd (ლd6 39. ლd3+-) 39. ეd2! ლe7 (ლh2 40. კh7+-) 40. ეf2 მe4 (ლe3 41. ლc7+; 40. ... მh7+) 41. ეe2!+- მd2 (ეe2 42. ლe2 ეe8 43. ლh5+-) 42. ეd2 (42. ეe7! მc4 43. კh7X) ლe3 43. ეf2 h4 44. ლd3 ლd3 45. კd3 ეe3 46. კf1. შავები დანებდნენ.

ფეხბურთი

შინ და გარეთ

დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების პირველ მეთექვსმეტედფინალურ რაუნდში საბრძოლო ნათლობა მიიღო ახლადშექმნილმა კლუბმა „ოლიმპმა". დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა — ხოჯავას მიერ პირველი ტაიმის მიწურულს შესრულებული ზუსტი დარტყმით ახალბედებმა „ლოკომოტივი 2"-ს სძლიეს — 1:0.

კურიოზული ფაქტი მოხდა გორში, სადაც „დილა" „ვიტ ჯორჯია 2"-ს მასპინძლობდა — სტუმართა მცველმა ხარბედიამ საკუთარ კარში ერთბაშად 2 გოლი გაიტანა, შეხვედრა კი 3:0 დასრულდა.

ბალკანური შეკრებიდან ახლახან დაბრუნებულმა თბილისის „დინამომ" მეტოქის მოედანზე ასეთივე შედეგით მოუგო „მცხეთას". ამ მატჩში „დუბლი" ახალაიამ შეასრულა. ჩვენი ფოტოკორესპონდენტის **ალექსანდრე კოტორაშვილის** სურათზე სწორედ აღნიშნული თამაშის ერთ-ერთი ფრაგმენტია აღბეჭდილი.

აქვე გაუწყებთ კიდევ ორი შეხვედრის შედეგს: „მერცხალი" — „კოლხეთი 2" (ფოთი) 5:1, „ბათუმი" — „კოლხეთი" (ხობი) 4:1.

1/16 ფინალის საპასუხო მატჩები 28 თებერვალსა და 1 მარტს გაიმართება.

* * *

ჩემპიონთა ლიგის II ჯგუფური ეტაპის IV ტურში საპატიო ჯილდოს ცხრაგზის მფლობელს მადრიდის „რეალს" ურთულესი გამოცდის ჩაბარება მოუხდა დორტმუნდში (**„გ" ჯგუფი**). პირდაპირ უნდა ითქვას — მართალია, მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე მინდორზე ახალშესულმა პორტილიომ ზიდანის ზუსტი გადაცემით „სამეფო კლუბი" იხსნა — 1:1, მაგრამ უფრო სამართლიანი „ბორუსიას" გამარჯვება იქნებოდა.

მოგეხსენებათ, ესპანელებმა გასულ კვირაში „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაჭირვებით სძლიეს მეტოქეს — 2:1. მოვლენები ამჯერადაც დრამატულად განვითარდა. მასპინძლებმა ძირითად ძალებს თავი მოედნის ცენტრში მოუყარეს, სადაც მჭიდრო მეურვეობით გასაქანი არ მისცეს ფიგუს, ზიდანს, მაკელელსა და კონსეისაოს, თანაც, იმ იშვიათ ეპიზოდებში, როცა რაული, რონალდო და რობერტო კარლოსი მაინც ახერხებდნენ დასარტყმელ პოზიციებზე გასვლას, შესაშური საიმედოობით ირჯებოდა გერმანელთა მუდამ არასტაბილური მეკარე ლემანი.

თამაშის წინ „რეალის" თავკაცმა დელ ბოსკემ ალალად განაცხადა — ყველაზე უფრო კოლერის მეშინიაო. ჩეხმა გიგანტმა არ „გააწბილა" მეტოქის მოძლევარი და კელის დიდებული გადაცემით უკვე 23-ე წუთზე დააწინაურა ბუნდესლიგელები, მანამდე კი კასილიასმა პირისპირ გასულ ევერტონს მოუგო დუელი. საგულისხმოა, რომ დორტმუნდელებმა ტრავმირებული „დირიჟორის" როსიცკის არყოფნის მიუხედავად დატოვეს მშვენიერი შთაბეჭდილება.

ამავე ჯგუფში ერთნაირი ანგარიშით ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა „მილანმა", რომელიც შევჩენკოს გარეშე ეწვია მოსკოვს, თუმცა საწადელს კლასის ხარჯზე მაინც მიაღწია — 1:0. გოლი პენალტით რივალდომ გაიტანა. იტალიელთა ქართველი მცველი კახი კალაძე, როგორც ყოველთვის, საიმედოდ აკონტროლებდა მარცხენა ფლანგს. ერთი მრავლისმთქმელი ფაქტი: „ლოკომოტივს" 90 წუთის განმავლობაში საერთოდ არ შეუწუხებია ფავორიტის მეკარე დიდა.

„მილანი" — 12, „რეალი" — 5, „ბორუსია" — 4, „ლოკომოტივი" — 1 ქულა.

12 მარტს ითამაშებენ „ბორუსია" — „ლოკომოტივი", „რეალი" — „მილანი".

„დ" ჯგუფში კვლავ შთამბეჭდავად იბურთავა „მანჩესტერმა", რომელმაც სტუმრად თვით „იუვენტუსი" დასცა — 3:0. მატჩის გმირმა — 2 გოლის ავტორმა გიგზმა თამაშის დასაწყისშივე შეცვალა დაშავებული ფორლანი, შესვენების შემდეგ კი ვან ნისტელროოიმ ივაჟკაცა, რომელმაც, თავის მხრივ, გიგზი შეცვალა. დავძენთ, რომ „ბებერ ქალბატონს" ამჯერადაც აკლდა დელ პიერო, ბურთი სხვადასხვა მხარეს 5-ჯერ (!) მოხვდა კარის ძელს, ტრეზეგემ კი რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაანიავა.

„ბაზელი" ლა კორუნიაში ღირსეულად ეთამაშა „დეპორტივოს", თუმცა ტრისტანის მიერ დებიუტშივე გატანილი გოლით საბოლოოდ მაინც დამარცხდა — 0:1.

„მანჩესტერი" — 12, „იუვენტუსი", „დეპორტივო" — 4-4, „ბაზელი" — 3 ქულა.

12 მარტს ითამაშებენ „იუვენტუსი" — „დეპორტივო", „მანჩესტერი" — „ბაზელი".

გია პლატონიშვილი.

ეროვნული ჩემპიონატი

საათები მესამოცედ ჩართეს

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო საქართველოს მოჭადრაკე ქალთა საიუბილეო — მესამოცე ეროვნული ჩემპიონატი. თოთხმეტი მონაწილე, რომელთა შორის ორი დიდოსტატია (მაია ლომინეიშვილი და ანა მათნაძე) და შვიდი — საერთაშორისო ოსტატი, წრიული სისტემით იბრძოლებს მედლებისათვის.

პირველ ტურში შარშანდელი და 2000 წლის საქართველოს ჩემპიონების — მაია ლომინეიშვილის და სოფიო ტერელაძის პარტია მალევე დამთავრდა ყაიმით. ნანა ძაგნიძემ იოლად სძლია ალა ვახანიას, სალომე მელიამ შავი ფიგურებით ბელა ხოტენაშვილს მოუგო, ლელა ჯავახიშვილმა — ნინო ბაციაშვილს, თამარ წერეთელმა კი სოფიო გვეტაძე დაამარცხა.

ჭადრაკთან დიდი ხნის განშორების შემდეგ კვლავ ჩაება ეროვნულ ჩემპიონატში ნინო მელაშვილი, რომელიც ახალგაზრდა სოფიო ხუხაშვილს შეხვდა. მეტოქეებმა სიცილიური დაცვის დახურული ვარიანტი გაითამაშეს. ეტლების ენდშპილში გამოცდილმა მოჭადრაკემ უპირატესობა მოიპოვა და გაიმარჯვა კიდეც.

— ყველაზე დაძაბული და ხანგრძლივი გამოდგა ანა გაეშელისა და ანა მათნაძის ორთაბრძოლა, — მითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა **თენგიზ გიორგაძემ**. — თავიდან პოზიციურ უპირატესობას მათნაძემ მიაღწია, მაგრამ შეტევისთვის სტრატეგიულად არასწორი გეგმა აირჩია და მონაპოვარი ვერ შეინარჩუნა. ეტლების ენდშპილში გაეშელს ორი ზედმეტი პაიკი აღმოაჩნდა, თუმცა, ვერც მან შეძლო უპირატესობის რეალიზება და მეტოქეები 86-ე სვლაზე დაზავდნენ.

დღეს მე-2 ტურში ერთმანეთს შეხვდებიან: **ვახანია-ხუხაშვილი, ბაციაშვილი-მელაშვილი, წერეთელი-ჯავახიშვილი, მათნაძე-გვეტაძე, მელია-გაეშელი, ტერელაძე-ხოტენაშვილი, ძაგნიძე-ლომინეიშვილი.**

ლევან ცინცაძე.

ყოველი მხრიდან

ყაიმები მომრავლდა

იმათ, ვინც თვალს ადევნებს ლინარესის ტრადიციულ საჭადრაკო სუპერტურნირს, იციან, რომ მხოლოდ ყაიმებით დამთავრდა მესამე ტურის ყველა პარტია, არც მეოთხე ტური გამოირჩეოდა შედეგიანობით.

მეტად მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული ანანდისა და კრამნიკის ორთაბრძოლა, თუმცა ის მე-16 სვლაზე ყაიმით დამთავრდა. თეთრებით მოთამაშე ინდოელი დიდოსტატი ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა საიმედოდ მოიგერია ყოველი მისი შეტევა.

ახალგაზრდა დიდოსტატების ვალეხოსა და რაჯაბოვის პარტიის დებიუტში ესპანელის ერთგვარი წარმატება გააქარწყლა ცაიტნოტში არაზუსტმა თამაშმა — ყაიმი ორივესთვის სამართლიანი იყო.

პონომარიოვისა და ლეკოს პარტიაც ყაიმით დასრულდა. ლეკომ კვლავ დაამტკიცა, რომ დიდებულად თამაშობს „შავებით" სიცილიურ პარტიას. ფიდეს ჩემპიონი კი ბოლო სვლამდე იბრძოდა ყაიმისათვის.

4 ტურის შემდეგ კრამნიკს 4-დან 2,5 ქულა აქვს, ანანდს 3-დან — 2, ლეკოს — 3-2, რაჯაბოვს — 4-2, ვალეხოს — 3-1,5; კასპაროვს — 3-1, პონომარიოვს — 4-1.

გუშინ ტურნირზე დასვენების დღე იყო.

ათენის ოლიმპიადის დროშა მწვერვალებს იპყრობს

რამდენიმე დღე ფრიალებდა 2004 წლის ათენის ოლიმპიადის დროშა ანტარქტიდაში ვინსენტის პიკზე (4897 მ) და ამერიკის კონტინენტის უმაღლეს მწვერვალზე ანდებში — აკონკაგუას პიკზე (6962 მ). ასე დაამთავრა 45-დღიანი ექსპედიცია პლანეტის მეორე ბოლოზე სამხრეთ პოლუსის მონახულებით ცნობილმა ბერძენმა ალპინისტმა ნიკოს მანგიტსისმა, რომელიც აღჭურვილი იყო ოლიმპიადის ელჩის წოდებით.

34 წლის მთამსვლელის შემდეგი მიზანია მსოფლიოს უმაღლესი წერტილი — ევერესტი (8848 მ), რომლის მწვერვალზე ოლიმპიადის დროშის აღმართვას 2004 წლის მაისისათვის გეგმავს. 2002 წლის 1 აგვისტოს ბერძენმა ალპინისტმა ოლიმპიური დროშა აღმართა დიდი კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე — იალბუზზეც (5642 მ).

კიმ ბესინჯერი — მოკრივე?

საქვეყნოდ ცნობილი ლამაზმანი ლოს-ანჯელესის ჰოსპიტალში ხერხემლის მძიმე ოპერაციის შემდეგ გონს რომ მოეგო, პირველ რიგში განაცხადა, რომ პროფესიონალი მოკრივე გახდებოდა. ამის მიზეზად კი ის დაასახელა, რომ მისი ქმარი ალეკ ბოლდუინი მას შეურაცხყოფდა როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად. მისი ყოველი ტრავმა შედეგია მათი ცოლ-ქმრული უთანხმოებებისა.

ისე რომ, როგორც კი ექიმები ნებას დართავენ, ის თავის ხუთი წლის ქალიშვილთან აირლენდთან ერთად დაიწყებს კრივის ოსტატობის დაუფლებას საუკეთესო მწვრთნელებთან. „ქალიშვილს უნდა შეეძლოს თავის დაცვა! მეც საბრძოლო ხელოვნება კიდევ გამომადგება". — განაცხადა მსახიობმა.

ვინც ბესინჯერის ხასიათი იცის, ეჭვი არ ეპარება, რომ ის იქამდე არ დამშვიდდება, სანამ კიდევ რამეს არ დაიმტვრევს, ხოლო ქალიშვილს მსოფლიო ჩემპიონს არ გახდის.

ცინცხალი ამბავი

საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის", იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდას" და „პარტიზანის", ბულგარეთის „ლევსკისა" და ცსკა-ს, კვიპროსის „აპოელის" და რუმინეთის „დინამოს", „სტიაუასა" და „რაპიდის" წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს აღმოსავლეთ ევროპის იმ კლუბებს შორის ახალი ტურნირის ჩატარებაზე, რომლებიც ვერ გავიდნენ უეფასა და ჩემპიონთა ლიგის გათამაშების შემდგომ ეტაპებზე.

ნავარაუდევია ტურნირზე აღმოსავლეთ ევროპის 9 ქვეყნის რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, საბერძნეთის, სერბიისა და ჩერნოგორიის, სლოვენიის, ხორვატიის, თურქეთისა და უკრაინის 16 გუნდის დაშვება, თუმცა, სხვა მსურველი ქვეყნებისთვისაც აქ გაწევრება შეზღუდული არ არის.

ტურნირის საბოლოო ფორმულა ინიციატორთა მორიგ სხდომაზე, ივნისში შემუშავდება.

სპორტის რედაქცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 54, ხუთშაბათი, 27 თებერვალი, 2003 წელი.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



1960-იანი წლები, მოსკოვი. თათბირი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში. მარცხნივ — ეფიმ სლავსკი, სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრი, შუაში — ალეკო თავხელიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მომავალი პრეზიდენტი, მარჯვნივ — ანატოლი ალექსანდროვი, აკადემიკოსი.

მოგვაწოდა თამაზ ებანოიძემ.

ღიმილის დოზა

ბიჭს ქუჩაში არაჩვეულებრივი გოგო ხვდება. გადაწყვიტა გაიცნოს და ეუბნება:

— ქალიშვილო, რომელი საათია?
— ექვსის ნახევარია.
— ქალიშვილო, რა გქვიათ?
— სვეტა.
— ქალიშვილო, მომცემთ თქვენს ტელეფონს?
— დარეკვა გინდა?
— რა თქმა უნდა!

ქალიშვილმა ჩანთიდან მობილური ტელეფონი ამოიღო:

— არ წაიღეს ტვინი ამ მობილურით?

* * *

— რით განსხვავდება ჟურნალები ქალებისთვის ჟურნალებისგან კაცებისათვის?
— ტანსაცმლის რაოდენობით, რაც ყდებზე გამოსახულ ქალებს აცვიათ!

* * *

ცხოვრებაში ორი არჩევანი გაქვს: ან იცხოვრო მარტოხელამ და უბედური იყო, ან მოიყვანო ცოლი და სიკვდილი გენატრებოდეს.

* * *

— ვოვოჩკა, ვინ გინდა გამოხვიდე, რომ გაიზრდები?
— პრეზიდენტი!
— ამისთვის, ვოვოჩკა, საჭიროა ბევრი ისწავლო.
— ნუ წაიღეთ ტვინი, მარია ივანოვნა! გუშინ ჩავეწერე ძიუდოს სექციაში!

* * *

— რა უნდა გააკეთო, შენს წინ პატარა მწვანე კაცს რომ დაინახავ?
— უნდა გადახვიდე ქუჩაზე!

SIC!

დიდი ხელოვნის სახლ-მუზეუმი დახმარებას ითხოვს

დღეს 93 წელი შეუსრულდებოდა დიდ ქართველ ბალეტმაისტერს, ცეკვის განუმეორებელ მოვლენას ვახტანგ ჭაბუკიანს.

მისი პროფესიონალიზმი განსაკუთრებული, განუმეორებელი მოვლენა იყო მსოფლიოს ბალეტის ისტორიაში. ეს იყო ახალი მიმდინარეობა — მან დაამკვიდრა გმირული მამაკაცური ბალეტი, მსოფლიოს გააცნო ქართული საბალეტო ხელოვნების შედევრები. ყველა მისი გამოსვლა ანშლაგით მთავრდებოდა. ამ უნიკალური, დახვეწილი ტექნიკის ულამაზესმა ხელოვანმა მთელი ცხოვრება და შემოქმედება მშობლიურ ქვეყანას და მშობლიურ თეატრს მოახმარა.

განგებამ ინება და საქართველომ მსოფლიო საბალეტო ხელოვნებას მისცა ორი უდიდესი პიროვნება, საბალეტო ხელოვნების ორი რეფორმატორი: ქართული ეროვნული ბალეტის ფუძემდებელი ვახტანგ ჭაბუკიანი და ამერიკის ეროვნული ბალეტის ფუძემდებელი ჯორჯ ბალანჩინი. ამერიკელებმა ყველაფერი გააკეთეს ჯორჯ ბალანჩინის სახელის უკვდავსაყოფად. ჩვენთან კი... ჩვენ ბატონი ვახტანგი თეატრიდან გულნატკენი გავუშვით. დღეს მდგომარეობა იცვლება. ამ ურთულეს პერიოდში ქალაქის მერიამ გამონახა საშუალება ჭაბუკიანის მუზეუმის შესაქმნელად, მაგრამ ეს თანხები მცირეა. საბიუჯეტო სახსრებით არ ხერხდება მისი შემოქმედების ამსახველი დიდი დარბაზის გახსნა. გაიხსნება მხოლოდ ორი მემორიალური ოთახი, ეს მოვლენა მიეძღვნება ცეკვის საერთაშორისო დღეს (29 აპრილს).

მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ასეთ ღონისძიებებში, ხელისუფლებასთან ერთად, მთელი საზოგადოება მონაწილეობს, განსაკუთრებით — ბიზნესმენები. სამუშაოს მოცულობა ძალიან დიდი და მნიშვნელოვანია: მოსაძიებელია პირადი ნივთები, მსოფლიოში გაბნეული საინფორმაციო მასალები, კინოფირები და სხვა.

ვახტანგ ჭაბუკიანის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ის გზაა, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული ეროვნული ბალეტის შემდგომ განვითარებას, რათა კვლავაც აღიზარდონ ახალი ჭაბუკიანები, ანანიაშვილები, ნიორაძეები, ცისკარიძეები და სხვანი მრავალნი.

დავით ჯანგველაძე,
ვახტანგ ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმის დირექტორი.

სურათზე: დავით ჯანგველაძე მუზეუმის ექსპოზიციის მომზადებისას.

გახსენება

ნუგზარ ბეკარიშვილი



ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში ვისაც კი კავშირგაბმულობის სისტემაში უმუშავია რიგითი თანამშრომლიდან მინისტრის თანამდებობამდე და ჯერ კიდევ ამ ქვეყნის სტუმარია, ყველამ დიდი დანაკლისი განიცადა; წავიდა ჩვენგან უაღრესად კაცთმოყვარე, ენერგიული, მოუსვენარი, ქვეყნისა და ოჯახის ერთგული პიროვნება **ნუგზარ ბეკარიშვილი,** რომელმაც თან წაიღო ათასობით ადამიანის დიდი სიყვარული.

იგი სრულიად ახალგაზრდა მოვიდა კავშირგაბმულობის უწყებაში და უაღრესად დიდი კვალი დატოვა კავშირგაბმულობის ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობის საქმეში, რადიოფიკაციის განვითარებაში, მაგრამ მისი ორგანიზატორული და პროფესიული უნარი სრულყოფილად გამოჩნდა რესპუბლიკური რადიო-სატელევიზიო გადამცემი ცენტრის უფროსისა და საქართველოს ტელერადიოცენტრის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მუშაობისას.

საქართველოს მთებისა და ბარის მადლმა შეაყვარა მას თოფი და ნადირობა, ნადირობისას მის გვერდით მყოფთ ხშირად უფიქრიათ „ვინ გაჩნდა ამ ქვეყანაზე პირველი — ნუგო თუ თოფი, ვაგლახ, რომ სწორედ თოფმა იმსხვერპლა მისი სიცოცხლე, იმ აბედით დღეს — 19 იანვარს ვერავინ იფიქრებდა, რომ მან უკანასკნელად აიღო თოფი ხელში, ძაღლები გაირეკა და მშობლიურ მთებს მიაშურა. ორმოცი დღის წინათ გოლთეთის მთებში გავარდნილ თოფს მეხის ხმა ჰქონდა.

მისი შინაგანი ბუნება ბავშვობიდანვე ვერ ეგუებოდა უმოქმედობას, უპრინციპობას, უგულობასა და უკაცურობას.

ნუგზარ ბეკარიშვილი ეკუთვნოდა იმ ადამიანების რიცხვს, რომლებიც ნებისმიერ გარემოში, იშვიათ ურთულეს სიტუაციაშიც კი ინარჩუნებდა მაღალ ადამიანურ ღირსებას. ამის დასადასტურებლად შენი მეგობრები ვიხსენებთ 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე კავშირგაბმულობის სახლის წინ ლომივით აქოჩრილ ნუგზარ ბეკარიშვილს რუსულ ტანკებსა და ქართველ ბავშვებს შუა, ანდა 1991 წლის ცნობილი მოვლენების დროს ტელეანძის აფეთქების მცდელობას — „არა, სანამ მე ცოცხალი ვარ, ტელეანძას ვერ ააფეთქებთო“, — ვინ იცის, სწორედ ნუგზარის ამ სიტყვებმა დაახევინა უკან ორ დაპირისპირებულ უგუნურ ძალას.

ჩვენო კეთილო მეგობარო, რა ბედნიერები ვიქნებოდით დღეს შენს მეუღლესა და მეგობართან, ქ-ნ დალისთან, შენს ლევანთან და ინგასთან, შენს შვილიშვილებთან და, რაც მთავარია, შენს მამასთან, ბატონ ვანოსთან ერთად, გაგვეხსენებინა ერთად გატარებული წლები, შენ ხომ შენი ცხოვრება ადამიანების მოფერებაში და სიყვარულში გაატარე.

ამ სიყვარულით გიხსენებთ ყველა, ჩვენო ნუგო, ვინც შენ გიცნობდა.

დიდი მადლობა, რომ ამ ქვეყანას მოევლინე. ავანთებთ სანთლებს არა მარტო შენს მოსაგონებლად, არამედ მადლიერებისა და დაფასების სიმბოლოდ.

შენი უფროსი თაობის მეგობრები.

ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

განცხადება

პოლიტიკური პარტიებისათვის ვაცხადებთ კონკურსს ყველაზე ეფექტური წინასაარჩევნო დაპირებების პაკეტზე. ვადა – 6 თვე დღიდან გამოცხადებისა. გამარჯვებული პროექტი, პრესის გარდა, „გაჟღერდება“ ტელეეკრანიდანაც. დაპირებათა შეუსრულებლობა გარანტირებულია 4 წლით (2004-2007)!..

თამაზ ილმელი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

ინტერესის გამოხატვის მოთხოვნა საკონსულტაციო მომსახურებაზე

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელიც ახორციელებს მსოფლიო ბანკის მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის მეორე პროექტს, აცხადებს კონკურსს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მრჩეველო-კონსულტანტის შესარჩევად.

მომსახურებაში შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის და დაკავშირებული სამთავრობო უწყებებისათვის დახმარების გაწევა ადგილობრივი მმართველობის სექტორის რეფორმის პროგრამის შემუშავებასა და მის შემდგომ განხორციელებაში, რაც გულისხმობს ადგილობრივი მმართველობის/თვითმმართველობის ორგანოების ანგარიშგების, აღრიცხვიანობის და გამჭვირვალობის გაუმჯობესებას. მომსახურებაში აგრეთვე, შედის დახმარების აღმოჩენა ადგილობრივი მმართველობის/თვითმმართველობის სექტორისათვის, კერძოდ, მუნიციპალურ ფინანსებთან დაკავშირებით, საერთაშორისო დახმარების ეფექტურობის გაუმჯობესებაში. შერჩეული კონსულტანტი დაქირავებული იქნება ერთი წლით. ხელშეკრულება შეიძლება გაგრძელდეს ორჯერ, ჯამში სამ წლამდე.

ამჟამად საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ პიროვნებებს ინტერესის გამოსახატავად აღნიშნული მომსახურების მოწოდებაზე. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია იმის დასტურად, რომ შესაძლებლობა აქვთ გასწიონ აღნიშნული მომსახურება, კერძოდ, საკვალიფიკაციო მონაცემები, განხორციელებული მსგავსი მომსახურების აღწერილობა, მსგავს პირობებში საქმიანობის გამოცდილება, სათანადო უნარ-ჩვევები და სხვა.

კონსულტანტი შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო დოკუმენტში მითითებული პროცედურების შესაბამისად: კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ, იანვარი 1997 (განახლებული სექტემბერი 1997, იანვარი 1999 და მაისი 2002).

დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე: 10-დან 18 საათამდე.

ინტერესთა გამოხატვის წერილები მოწოდებული უნდა იყოს ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე, არაუგვიანეს 2003 წლის 1 აპრილისა.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი,
იეთიმ გურჯის ქ. № 7-ბ, თბილისი, 380005,
ტელ: 94-32-40, 94-29-47, 92-34-70, 92-34-69,
ფაქსი: 94-04-39, 43-30-47.
ელ-ფოსტა: MDF@MDF.ORG.GE

გივი ბახტაძე - 80 წელი

ცოცხლობს მოწაფეთა საქმეებში

საქართველოს თერაპევტთა ელიტამ მოიყარა თავი 25 თებერვალს დილომში, თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში. ცუდმა ამინდმა არ შეაშინა ხანდაზმული, ყველასათვის ცნობილი მედიკოსები, რათა თავიანთი მეგობრის, პროფესორ გივი ბახტაძის დაბადების 80 წლისთავი აღენიშნათ. სხდომა გამართეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრამ და საქართველოს ინტერნისტთა ასოციაციამ, რათა კიდევ ერთხელ გაეხსენებინათ შვიდი წლის წინათ გარდაცვლილი კოლეგა და მასწავლებელი. დარბაზში მისი სახელოვანი მეგობრების გვერდით იყვნენ გივი ბახტაძის აღზრდილი, დაკვალიანებული, ფართო სამედიცინო ასპარეზზე მისი ხელდასხმით და მცდელობით გამოსული მედიკოსები, რომლებიც განსაკუთრებით თბილად იხსენებდნენ დიდ მკურნალს, ახალგაზრდა თაობაზე მზრუნველს, ყოველთვის ახლის მაძიებელ ექიმსა და მეცნიერს. იყო რაღაც განსაკუთრებული ხიბლი იმაში, რომ მისმა მოწაფეებმა ფასეულობათა გადაფასების ამ ურთულეს ჟამს არ დაუკარგეს ამაგი თავიანთ მასწავლებელს, რომ ის დღესაც ცოცხლობს მათ საქმეში.

საიუბილეო სხდომა გახსნა აკადემიკოსმა ნოდარ ყიფშიძემ, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა გივი ბახტაძის მიერ განვლილი გზა და განაცხადა, რომ მან წარუშლელი კვალი დატოვა ქართული თერაპიის ისტორიაში.

მოხსენება გამოჩენილი ქართველი ექიმის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის წევრის, პროფესორ გივი ბახტაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე გააკეთა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგემ, პროფესორმა ალექსანდრე ქისტაურმა. სწორედ მისი უდიდესი დამსახურება იყო თვით ეს ხსოვნის საღამო.

– ბატონი გივი დიდებული ოჯახიშვილი გახლდათ, – თქვა მომხსენებელმა, – მას უშესანიშნავესმა მედიკოსებმა და მოქალაქეებმა – ალექსანდრე ალადაშვილმა და მიხეილ წინამძღვრიშვილმა გაუკაფეს გზა მედიცინაში და შესანიშნავ ფუძეზე ჩაყრილმა თესლმა სათანადო ნაყოფიც გამოიღო. ბრწყინვალე მკურნალი, იგი ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე იდგა და მრავალი მის მიერ წამოყენებული და შეთავაზებული მოსაზრება თუ მეთოდი, როგორც წესი, ნოვაციად იქცეოდა ხოლმე. 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 5 მონოგრაფიის, შესანიშნავი პუბლიცისტური წიგნის „ექიმობა ჩემი პროფესიაა“, სამედიცინო ლექსიკონის ავტორი სტუდენტების საყვარელი ლექტორი იყო. მის ლექციებს არ სჭირდებოდა სტუდენტთა აღრიცხვა – როგორც წესი, მათ არავინ აცდენდა.

გივი ბახტაძეზე, დიდ მკურნალზე, შესანიშნავ პიროვნებაზე, თავისი ქვეყნის უდიდეს პატრიოტსა და ბრწყინვალე მოქალაქეზე ილაპარაკეს აკადემიკოსმა ბაადურ რაჭველიშვილმა, პროფესორებმა ოქროპირ გოგიბერიძემ, რომანოზ სვანიშვილმა, გივი კაციტაძემ და სხვებმა. მათ მოგონებებში კვლავ წარმოჩნდა დიდებული ქართველი მედიკოსის და განუმეორებელი ხიბლის ადამიანის, ცნობილ ძველ ქართველ მედიკოსთა მაღალი ზნეობრივი გენის გამგრძელებლის გივი ბახტაძის პიროვნება და მოღვაწეობა.

საქინფორმი.

კრიმინალი

ბანდიტებმა სამშვიდობოს ვერ გააღწიეს

25 თებერვალს, 10 საათზე, ბახტრიონის ქუჩის მე-20 კორპუსში მცხოვრებ გრიგოლ დარჩიაშვილის ბინაში ძალის გამოყენებით შეიჭრნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღითა და დანებით შეიარაღებული ბოროტმოქმედები, რომლებმაც მოკვლის მუქარით დარჩიაშვილსა და მისი ოჯახის წევრებს – მეუღლეს ანა შალამბერიძე-დარჩიაშვილსა და შვილს ზურაბ დარჩიაშვილს მოსთხოვეს ფული და ძვირფასეულობა. მათ წინააღმდეგობა გაუწიეს მომხვდურთ, ზურაბ დარჩიაშვილმა გამოიყენა მასზე გაპიროვნებული საფანტის პისტოლეტი „ვოლტრა-35“ და თავდამსხმელებს ესროლა. ორი ბოროტმოქმედი დაჭრა სახის არეში. ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა აუტეხა ოჯახის წევრებს, ტყვიებით დაცხრილული ქალბატონი ანა შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, გრიგოლი და ზურაბი ყაჩაღებმა ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით მძიმედ დაჭრეს. ყაჩაღები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

განხორციელებული კომპლექსური ოპერატიული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად თბილისის შს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს, ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი დანაყოფების, შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა ოპერატიულად გადაკეტეს დანაშაულის ჩადენის ადგილის მიმდებარე უბნები, კონტროლი გაძლიერდა დედაქალაქის ქუჩებსა და გზაჯვარედინებზე, სამსაათიანი ინტენსიური, ოპერატიული სამძებრო მუშაობის შედეგად დაადგინეს დამნაშავეთა ადგილსამყოფელი ბახტრიონის ქუჩის 22-ე კორპუსში, ბინა 23-ში. განხორციელდა ბოროტმოქმედთა ჯგუფის დაკავების სპეცოპერაცია, რის შედეგად პოლიციამ შეიპყრო ყაჩაღთა ორგანიზებული დაჯგუფების წევრები: თბილისში მცხოვრები, ნასამართლევი, ე. წ. „კანონიერი ქურდი“ გრიგოლ ალოევი, ნასამართლევი ამირან ვარდუაშვილი, მამუკა ოქრუაშვილი, დუშეთის რაიონის სოფელ ომისში მცხოვრები ილია ბაქაქური, თბილისში ბახტრიონის ქუჩის 22-ე კორპუსში მცხოვრებნი შალვა და მამუკა აბრამოვები.

ამოღებულია დანები და უნომრო ავტომატი „აკს-74“ ორი მჭიდითა და 30 საბრძოლო ვაზნით.

ტარდება კომპლექსური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებები დამნაშავე პირთა მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულობების გამოვლენის მიზნით.

საქმეს იძიებს საქართველოს გენერალური პროკურატურა.

ვალერიან გოგოლაშვილი.

სპარტაკ ქობულია, მზია, მანანა ქაჯაიები, ვოვა იოსელიანი, გია მეგრელიშვილი ოჯახებით გულწრფელად თანაუგრძნობენ ციცო, რუზგენ, თენგიზ ბერიშვილებს დედის, სათნო, კეთილშობილი ქალბატონის

ციალა ანჩაბაძე-ბერიშვილის

გარდაცვალების გამო.

ვასილ დავითაია, მურად ანჯაფარიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ რუზგენ და თენგიზ ბერიშვილებს დედის

ციალა ანჩაბაძე-ბერიშვილის

გარდაცვალების გამო.

ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის სპეციალურ დავალებათა სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილეს თენგიზ ბერიშვილს დედის

ციალა ანჩაბაძე-ბერიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს, ბატონ რუზგენ ბერიშვილს დედის

ციალა ანჩაბაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს გენერალური პროკურატურის, ფინანსთა, იუსტიციის სამინისტროებში და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მოკვლევის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობისა და მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთობის სამმართველო სამძიმარს უცხადებს თენგიზ ბერიშვილს დედის

ციალა ანჩაბაძე-ბერიშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს მაია კახიძეს მამის

ავთანდილ ალექსანდრეს ძე კახიძის

გარდაცვალების გამო.

დისწულები ირაკლი, თამრიკო დოლიძეები, რძალი ლალი დოლიძე, სიძე კიჭა არველაძე, დისშვილიშვილები თამრიკო დოლიძე, რეზი, შოთა, აჩი არველაძეები, ბიძაშვილი ნატო ბაგრატიონი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ არჩილის ასული ბაგრატიონი

პანაშვიდი 27, 28 II, 5 სთ., გამოსვენება 1 III, 2 სთ., ჭავჭავაძის გამზირი, 46.

ირაკლი, მანანა, რუსუდან ტყეშელაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეგობრის, პროფესორ

ზურაბ შოთას ძე ტაბიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 27, 28, II, 2 სთ., გამოსვენება 1 III, 2 სთ., გურიელის ქ. № 23.

ძმისწულები მანანა, ლიანა, კობა, ნანა, ირაკლი კოპლატაძეები ოჯახებით, ნათლული გოგი მგელაძე ოჯახით იუწყებიან

დინერი კოპლატაძის

გარდაცვალებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია იუწყება, რომ შსს აკადემიის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეს როლანდ ნიჟარაძეს გარდაეცვალა მამა

გრიგოლ ნიჟარაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შსს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლის დავით სისაურის

ძმის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

შვილები ნუგზარი, რუსუდანი, შვილიშვილები ნინო, თამუნა, შვილთაშვილები მაკა, ანი, რძალი ლარისა, სიძეები კახა, ჯოში, დები რაია, სარა, როზა, დოდო ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუბენ მოსეს ძე დათიკაშვილი

პანაშვიდი 28 II, 1 III, 5 სთ. გამოსვენება 2 II, 3 სთ. ირ. აბაშიძის 42, I სადარბაზო.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრის მასწავლებელი, ქართული კრივის მოამაგე

ამირან გიორგაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სს პროფ. ა. ღვამიჩავას სახ. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი სამძიმარს უცხადებს ცენტრის წამყვან მეცნიერ-თანამშრომელს ირაკლი ცინცაძეს მეუღლის

მარინა ჩაჩავას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს გენერალური პროკურატურა სამძიმარს უცხადებს ბატონ ვახტანგ რჩეულიშვილს მძახლის

მარინა ჩაჩავას

გარდაცვალების გამო.

განცხადება

გიწვევთ ტენდერში მონაწილეობისთვის

1) **ფოთის საზღვაო ნავსადგური** (ქ. ფოთი 4401, დავით აღმაშენებლის ქ. №52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: გაერთიანებული ქართული ბანკის ფოთის №23 ფილიალი, ა/ა №623607, ბ/კ №220101606) აცხადებს ღია ტენდერს ხორბლის ჩასაყრელი ბუნკერების (ორი ბუნკერი) კაპიტალური რემონტის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მომსახურების ადგილი და ვადა:
მომსახურება უნდა განხორციელდეს ფოთის საზღვაო ნავსადგურში 2003 წლის 15 აპრილიდან 2003 წლის 31 დეკემბრამდე;

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №52, ნავსადგურის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, 2003 წლის 27 თებერვლიდან 2003 წლის 24 მარტის 16 საათამდე;

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
4.1. იურიდიული პირებისათვის:
ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.
ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
4.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ის ქმედითუნარიანია.
ბ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5. ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა, ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში, უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №52, ფოთის საზღვაო ნავსადგურის სატენდერო აპარატი, 2003 წლის 25 მარტიდან 2003 წლის 3 აპრილის 16 საათამდე;

8. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

9. ტენდერში საქართველოსა და უცხო ქვეყნების პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მ. დანელია და ლ. კეშელავა. შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №52, ფოთის ნავსადგურის სატენდერო კომისიის აპარატი, საკონტაქტო ტელ: 8(293) 7-01-48.

სამცხე-ჯავახეთი

პენსიონერთა აქცია

პენსიონერთათვის პენსიების გაცემა ახალციხის რაიონში ლამის უკვე ტრადიციულად ქცეული წესის მიხედვით – დიდი დაგვიანებით წარმოებს. ამჟამად გაიცემა 2002 წლის ნოემბრის პენსიები. ჯერჯერობით მხოლოდ ქალაქის პენსიონერებს მიეცათ ნოემბრის პენსია. კიდევ 95,5 ათასი ლარია საჭირო, რათა სოფლის მცხოვრებნიც დაკმაყოფილდნენ. მარტში დეკემბრის პენსიებს გასცემენ და ა. შ. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, ისევე, როგორც წინა წლებში, ახალციხის რაიონი 2004 წელსაც საპენსიო დავალიანებებით შეხვდება.

ამას თუ წინა წლების, კერძოდ, 1998-1999-2000 წლების 10 თვის ე. წ. გაყინულ პენსიებს დავუმატებთ, საკმაოდ უნუგეშო სურათი იხატება.

ეს პენსიონერთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს. სწორედ ამის გამო გასულ კვირას მათ გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია მოაწყვეს მხარის ადმინისტრაციის შენობის წინ. მდგომარეობა თუ არ გამოსწორდება, პენსიონერები ხანგრძლივი აქციით იმუქრებიან.

უმწეო მოხუცთა სასადილო

მეშვიდე წელია ახალციხის რაიონული გამგეობის დაფინანსებითა და მარტოხელა შრომისუუნარო პენსიონერთა სოციალური დახმარების განყოფილების ძალისხმევით მოქმედებს უმწეო პენსიონერთა სასადილო, სადაც უფასოდ კვებავენ 120 მოხუცს. მათგან 47 მწოლიარე ავადმყოფია. სოციალური დახმარების განყოფილება (ხელმძღვანელი – ა. გოგოლაძე) თავისი თანამშრომლებით მათ უყურადღებოდ არ ტოვებს და სადილი ბინაზე მიაქვს.

მარტოხელა მოხუცებს ჰუმანიტარული დახმარება (კვების პროდუქტები) გაეროს სასურსათო პროგრამითაც ეძლევათ.

ვერიკო მოდებაძე,
„სრ“ საკ. კორ.

დედა ლალი ჯინჭარაძე, მამა ტარიელ ჩაჩუა, და შორენა, ძმები გიორგი, მიშიკო, ბებია გუგული ჩაჩუა, ბაბუა ბუდუ ჯინჭარაძე იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

ირინა ტარიელის ასული ჩაჩუა

პანაშვიდი 27, 28 II, 4 სთ. გამოსვენება 1 III, 2 სთ. ჭოველიძის (ბელინსკის) ქ. №67.

თენგიზ კალანდაძე და ბექან ხურციძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ტარიელ ჩაჩუას ოჯახს

შვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ავთანდილ თევზაძე ოჯახით თანაუგრძნობს ტარიელ ჩაჩუას ოჯახს

შვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რაინგზის რიგი 20.